ჰაინრიხ ბიოლი

კატარინა ბლუმის შელახული ღირსება ანუ როგორ იბადება ძალმომრეობა და სადამდე მივყავართ მას

მთარგმნელისგან

რთული ცხოვრება განვლო გერმანელმა მწერალმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა ჰაინრიხ ფიოდორ ბიოლმა. იგი კელნში დაიბადა, კათოლიკურ ოჯახში. ვილჰელმ კაიზერის გიმნაზიის დასრულების შემდგომ ჯერ დურგლად მუშაობდა, მერე – წიგნების მაღაზიაში. ლექსებსა და მოთხრობებს სკოლაშივე წერდა. 1939 წელს კელნის უნივერსიტეტში ჩაირიცხა, შემოდგომაზე კი მეორე მსოფლიო ომში გაიწვიეს. ჯერ საფრანგეთში იბრძოდა, მერე უკრაინის ფრონტზეც მოხვდა. ომის დროს, 1942 წელს, იქორწინა ანა-მარია ჩეხზე, რომელთანაც ორი ვაჟი შეეძინა. 1945 წლის აპრილში ამერიკელებს ჩაბარდა ტყვედ. დურგლობა ტყვეობის შემდგომაც გაიხსენა, თუმცა კი მალე კელნის უნივერსიტეტსა და მწერლობას დაუბრუნდა.

ბიოლის ნაწარმოებები 1947 წლიდან იბეჭდება და ამ დროიდანვე პოპულარული ხდება. მისი მოთხრობა «კატარინა ბლუმის შელახული ღირსება, ანუ როგორ იბადება ძალმომრეობა და სადამდე მივყავართ მას» 1974 წელს გამოქვეყნდა

ჟურნალ «შპიგელში» და სულ მალე ბესტსელერად იქცა. ეს არის დრამა ახალგაზრდა ქალისა, რომელიც სენსაციებს გამოკიდებულ ჟურნალისტთა მსხვერპლი ხდება...

ჰაინრიხ ბიოლი წლების განმავლობაში დასავლეთ ევროპის მწერალთა გაერთიანების – პენკლუბის თავმჯდომარე იყო. მეორე მსოფლიო ომგამოვლილი თავგამოდებით აკრიტიკებდა ვიეტნამის ომს და საზოგადოდ, ყოველგვარ ძალადობას, განსაკუთრებული სიმძაფრით განიცდიდა დევნილთა პრობლემებს. საჯაროდ აცხადებდა, ჩვენ, მწერლები, ასეთებად გავჩნდით, ყველაფერში უნდა ჩავერიოთო.

საქართველოს ორჯერ ესტუმრა – 1966 და 1972 წლებში. მეგობრობდა ქართველ გერმანისტებთან. მასზე წერდნენ, ქართველი რომ ყოფილიყო, ალბათ, ერის სულიერ მამას უწოდებდნენო.

1

მოთხრობის სიუჟეტი და მთავარი გმირები გამოგონილია. მასში წარმოდგენილი ჟურნალისტური ხერხები და მეთოდები ძალიან წააგავს გაზეთ «ბილდისას», მაგრამ ეს მსგავსება არც წინასწარგანზრახულია და არც შემთხვევითი, არამედ – გარდაუვალი.

მოთხრობას აქვს რამდენიმე ირიბი და სამი პირდაპირი წყარო, რომელთაც მხოლოდ ერთხელ, დასაწყისში ვახსენებთ, შემდეგ კი აღარ დავუბრუნდებით. პირდაპირი წყაროებია: პოლიციის დაკითხვის ოქმები; ადვოკატი, დოქტორი ჰუბერტ ბლორნა; მისი სკოლისა და სტუდენტობის მეგობარი, პროკურორი პეტერ ჰახი. ამ უკანასკნელმა, ეჭვგარეშეა, საფუძვლიანად შეავსო დაკითხვის ოქმები და გამოძიების ის ნაწილი გამოამზეურა, რომელიც ოქმებში არ შეუტანიათ. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ჰახმა ეს ყველაფერი გააკეთა არა

ოფიციალურად, არამედ თავისივე სურვილით, რადგან გულთან ახლოს მიიტანა მეგობრის, ბლორნას წუხილი. მართალია, მის საქციელს ახსნას ვერ უძებნიდა, მაგრამ თავს იმშვიდებდა, კარგად რომ დავფიქრდე, სულაც არ არის გაუგებარი, მეტიც, შესაძლოა ლოგიკურიც კი იყოსო. ამდენად, თუ კატარინა ბლუმის საქმე, ბრალდებულის ქმედების გათვალისწინებით და მისი ადვოკატის, დოქტორ ბლორნას რთული პოზიციის გამო, მეტ-ნაკლებად ფიქციურია, ჰახის მცირე, მეტად ადამიანური უტაქტობებიც, გასაგები და საპატიოა.

აქ აღარ აღვწერთ მნიშვნელოვან და ნაკლებმნიშვნელოვან ირიბ წყაროებს, რადგან საქმის ვითარებიდან გამომდინარე, მისი ბუნდოვანება, აწეწილ-დაწეწილი, არეული, საეჭვო თუ დამაჯერებელი მხარეები და ცალკეულ პირთა თანამონაწილეობა ცხადი ხდება თავად მოთხრობიდან.

2

თუ ჩვენების წყაროებზე ბევრი ლაპარაკის შემდეგ ისინი ისევ წყალწყალად მოგეჩვენებათ, ბოდიშს გიხდით, მაგრამ ამის გვერდის ავლა შეუძლებელი იყო. ასევე თუ გავითვალისწინებთ «წყაროებსა» და «დინებას», მაშინ კომპოზიციაზე მსჯელობას აზრი აღარ ექნება. ამის ნაცვლად უმჯობესია თავმოყრის ცნება შემოვიტანოთ (ამისთვის არსებობს უცხო სიტყვა – კონდუქცია). ეს ცნება ყველასთვის გასაგებია, ვისაც ბავშვობაში (ან მოზრდილობისას) გუბურაში უთამაშია, არხები ერთმანეთთან დაუკავშირებია, დაუცლია და მიმართულება შეუცვლია, ვიდრე ბოლოს გუბურის წყალს მთავარ არხამდე არ მიიყვანდა, რათა უფრო დაბლა, სხვის მიერ მომზადებულ თხრილში ან არხში ჩაეშვა, ყველა წესისა და კანონის მოთხოვნათა დაცვით. შედეგად, მხოლოდ დრენაჟს ან წყალსაშრობს მიიღებდა. ესეც შენი თვალსაჩინო წესრიგი! და თუ ეს მოთხრობა ერთ ადგილას «დაგუბდება» წყლის დონეთა სხვაობის გამო, ნუ დაგვძრახავთ, რადგან ბოლოს და ბოლოს, ხომ არსებობს დატბორვა, ქვიშით დაფარვა, უბედური შემთხვევები,

მიწისქვეშა დინებები და წყაროები, რომლებიც ერთმანეთს ვერ უერთდებიან და ა.შ და ა.შ.

3

ფაქტები, რომლებსაც შემოგთავაზებთ, სასტიკია: ოთხშაბათს, 1974 წლის 2 თებერვალს, დიდმარხვის წინადღეს, 18:45 საათზე ოცდახუთი წლის ქალი შინიდან გავიდა საცეკვაოდ და გასართობად. ოთხი დღის შემდეგ კი უნდა აღინიშნოს, რომ (აქვე ვახსენებთ დონეთა აუცილებელ სხვაობას, რომელიც დინებას აადვილებს) მოქმედება დრამატულად განვითარდა. შაბათ საღამოს, თითქმის იმავე დროს, ზუსტად რომ ვთქვათ, 19:04 საათზე, კატარინა უკვე რეკავს ობერკომისრის, ვალტერ მოედინგის ბინის კარზე. მოედინგი კი ამ დროს შეიხის ტანსაცმელში გამოწყობას აპირებდა, რაღა თქმა უნდა, სამსახურებრივი მოვალეობისა და არა საკუთარი სურვილის გამო. კატარინა გაოგნებულ კომისარს ეუბნება, რომ მან 12:15 საათზე საკუთარ ბინაში ერთი გასროლით მოკლა ჟურნალისტი ვერნერ ტოტგესი. ამასთანავე, სთხოვს კომისარს, ეს ცნობა ოქმში შეიტანოს და განკარგულება გასცეს, რათა კატარინას ბინის კარი გატეხონ და «აიყვანონ» ვერნერ ტოტგესი. იმასაც დასძენს, რომ თვითონ 12:15-დან 19:00 საათამდე ქალაქში დაეხეტებოდა მოსანანიებლად, მაგრამ ვერ შეძლო. გარდა ამისა, ითხოვს დააპატიმრონ, რადგან სიამოვნებით იქნებოდა იქ, სადაც მისი «საყვარელი ლუდვიგი» იმყოფება.

მოედინგი ახალგაზრდა ქალს არაერთი დაკითხვიდან იცნობდა და ესიმპათიურებოდა კიდეც, ამიტომ მის სიტყვებში წუთითაც არ შეუტანია ეჭვი. კატარინა მას მანქანით მიჰყავს პოლიციის განყოფილებაში, სადაც ყველაფერს მოახსენებს თავის უფროსს, პოლიციის მთავარ კომისარს ბაიცმენეს და ბრძანებას გასცემს ახალგაზრდა ქალი საკანში მოათავსონ. თხუთმეტი წუთის შემდეგ კატარინას სახლის წინ ხვდება ბაიცმენეს, სპეციალურად გაწვრთნილი ჯგუფით კარს შეამტვრევს და ახალგაზრდა ქალის სიტყვებიც დასტურდება.

ბევრ სისხლზე არ ღირს ლაპარაკი, დონეთა შორის სხვაობას კი ვერ გავექცევით, ხოლო მკითხველს თანამედროვე ტელე თუ კინოტრილერს შევთავაზებთ. აქ თუ რაღაც უნდა დაიღვაროს, ეს სისხლი არ იქნება. მხოლოდ ფერთა ერთგვარ ეფექტზე მივუთითებთ: ტყვიით განგმირულ ტოტგესს, საწოლის ძველი გადასაფარებლისგან შეკერილი შეიხის იმპროვიზებული კოსტიუმი ეცვა. ყველამ კარგად იცის, რა ეფექტის მოხდენა შეუძლია წითელ სისხლს ქათქათა თეთრზე... ამ დროს პისტოლეტი უბრალო სათამაშოდ იქცევა, ხოლო კოსტიუმი – მხატვრის ტილოდ. ამიტომ აქ გაცილებით მისაღებია მაგალითად მოვიყვანოთ თანამედროვე მხატვრობა და დეკორაცია, ვიდრე დრენაჟი. რას იზამ, ასეთია რეალობა!

4

კარგა ხანს საკმაოდ სარწმუნოდ მიაჩნდათ ის ფაქტი, რომ ფოტოჟურნალისტი ადოლფ შონერიც ბლუმის მსხვერპლი იყო. შონერი ოთხშაბათს, ტყეში, ქალაქის დასავლეთით იპოვეს ტყვიით განგმირული. შემდგომ კი ქრონოლოგიურმა თანამიმდევრობამ დაამტკიცა, რომ ეს თვალსაზრისი არასწორი იყო.მოგვიანებით ტაქსის მძღოლმა აღიარა, რომ შონერი შეიხის სამოსით ანდალუზიურად გამოწყობილ გოგონასთან ერთად ზუსტად ტყის ზემოთ ხსენებულ ნაწილში წაიყვანა. ტოტგესი კვირას მოკლეს, შონერი კი – სამშაბათს. მართალია მალე გაარკვიეს, რომ ტოტგესის გვერდით ნაპოვნი პისტოლეტით შონერს ვერ მოკლავდნენ, მაგრამ ეჭვი ბლუმისადმი არ გაქარწყლებულა. თუ მას ჰქონდა მიზეზი ტოტგესზე შურის საძიებლად, შეიძლება იგივე ითქვას შონერზეც. ძიებისთვის დაუჯერებელი იყო, კატარინას ორი იარაღი ჰქონოდა და ამასთანავე, ორი მკვლელობა საღ ჭკუაზე მყოფს ჩაედინა. როდესაც მას მოგვიანებით ჰკითხეს, მოკალი თუ არა შონერიცო, მან დამაეჭვებელი კითხვითვე უპასუხა:

«დიახ, რატომაც არა?» შემდეგ უკვე გადაიფიქრეს მისთვის შონერის მკვლელობაც დაებრალებინათ, რადგან ალიბის მოძიებამ ერთმნიშვნელოვნად დაადასტურა მისი უდანაშაულობა. ვერავინ, ვინც კატარინა ბლუმს იცნობდა ან გამოძიების პროცესში მისი ხასიათი შეისწავლა, ვერ იფიქრებდა, შონერი კიდევაც რომ მოეკლა, ასე ადვილად აღიარებდა ამას. ტაქსის მძღოლმა, რომელიც პატარა პარკის გავლით ტყისკენ მიდიოდა (მე მას უფრო გაველურებულ ბუჩქნარს ვუწოდებდიო, თქვა), ბლუმი ფოტოზე ვერ ამოიცნო. «ღმერთო ჩემო, – თქვა მან, – 1,63-1,67 მეტრი სიმაღლის, 24-27 წლის მშვენიერი გოგონები რამდენი დადის კარნავალზე». შონერის ბინაში ვერ იპოვეს ვერც ერთი სამხილი ბლუმის წინააღმდეგ, ვერც ანდალუზიელი ქალის სამოსის ვერანაირი კვალი. შონერის მეგობრებმა და კოლეგებმა მხოლოდ ის იცოდნენ, რომ იგი სამშაბათს, შუადღისით რესტორნიდან, სადაც ჟურნალისტები იკრიბებოდნენ, «ვიღაც მაწანწალასთან ერთად გაიპარა».

5

კარნავალის მთავარ ორგანიზატორს, ღვინით მოვაჭრესა და შამპანურის ფირმის წარმომადგენელს, რომელსაც შეეძლო ეტრაბახა იუმორის გრძნობით, გულიდან მოეშვა, როცა გაიგო, რომ ორივე მკვლელობის შესახებ მხოლოდ ორშაბათსა და ოთხშაბათს გახდა ცნობილი. მისი თქმით: «ასეთი რაღაც დღესასწაულის დასაწყისში რომ მომხდარიყო, საზეიმო განწყობას ბუნებრივია, ბოლო მოეღებოდა. თუ შეიტყობდნენ, რომ საკარნავალო სამოსს დანაშაულებრივი განზრახვით იყენებდნენ ბოროტმოქმედები, ბუნებრივია, აღარავინ მოისურვებდა ასეთ კარნავალზე მონაწილეობას და ბიზნესიც ჩაფლავდებოდა. ეს მკრეხელობა სულაც არ გახლავთ. სწორედ უდარდელ მხიარულებას შეუძლია ნდობის მოპოვება და ეს არის წარმატების საფუძველი».

6

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა ორივე მკვლელობის შესახებ, ამ ამბავს საკმაოდ უცნაურად გამოეხმაურა გაზეთი «ცაიტუნგი». ეს ერთგვარი სულელური აფორიაქება გახლდათ! მთავრული ასოებით დაბეჭდილი მყვირალა სათაურებით აჭრელებული წამყვანი გვერდები, საგანგებო სიუჟეტები, უზარმაზარი შრიფტით გამოყვანილი შეტყობინებები. ისეთი აყალმაყალი ატყდა, თითქოს იმ სამყაროში, სადაც გამუდმებით ისვრიან, ჟურნალისტის მკვლელობა იმაზე ბევრად სენსაციური ყოფილიყო, ვიდრე რომელიმე წამყვანი ბანკის მეპატრონის ან დიდმოხელის, ან სულაც საშიში მძარცველისა. ფაქტია, პრესა გადამეტებულ ყურადღებას იჩენდა, რადგანაც არა მარტო «ცაიტუნგი», არამედ სხვა გაზეთებიც ჟურნალისტის მკვლელობას, შეიძლება ითქვას, გამორჩეულად აშუქებდა. ერთდროულად მიიჩნევდა საშინელ, ამაზრზენ და თითქმის საზეიმო მოვლენად, შეიძლება ითქვას, რიტუალურ მკვლელობადაც. ლაპარაკობდნენ «პროფესიულ მსხვერპლზეც». ბუნებრივია, «ცაიტუნგიც» ჯიუტად ჩაეჭიდა ვერსიას, რომ შონერიც ბლუმის მსხვერპლი იყო. იმასაც დასძენდნენ, ტოტგესი არ მოკვდებოდა, ჟურნალისტი კი არა, მეწაღე ან მეფუნთუშე რომ ყოფილიყოო. ამით ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ უმჯობესი იყო პროფესიით განპირობებულ მკვლელობაზე ელაპარაკათ. თუმცა ჯერ კიდევ ასახსნელია, რატომ დაგეგმა და რატომ განახორციელა კიდეც მკვლელობა კატარინა ბლუმმა. გადამწყვეტ მომენტში რატომ აიღო ხელში პისტოლეტი, მეტიც, რატომ გაისროლა ისეთმა ჭკვიანმა და ცივსისხლიანმა ახალგაზრდა ქალმა, როგორიც კატარინა ბლუმია.

7

ახლა, დაბალი დონიდან მაღალ სფეროებში გადავინაცვლოთ. შორს სისხლი. დავივიწყოთ პრესის შეშფოთება...

ამასობაში კატარინა ბლუმის სახლი დაასუფთავეს, გამოუსადეგარ ხალიჩებს ნაგავში გადაუძახეს, ავეჯი გაწმინდეს და თავის ადგილზე მოათავსეს. ყველაფერი ეს დოქტორ ბლორნას ხარჯითა და მითითებით მოხდა, რომელიც თავისი მეგობრის, ჰახის მიერ იყო უფლებამოსილი. ამავე დროს, ჰახი არ იყო დარწმუნებული, რომ ბლორნა იქნებოდა კატარინას ქონების განმკარგველი. ხუთი წლის განმავლობაში კატარინა ბლუმს თავის ასი ათასმარკიან ბინაში სამოცი ათასი ჰქონდა გადახდილი. ეს უკვე რაღაც სახეიროაო, ამბობდა მისი ძმა, რომელიც ამ დროისთვის მცირევადიან სასჯელს იხდიდა. საკითხავია, ვინ გადაიხდიდა პროცენტს ან ვინ დაფარავდა დარჩენილ ორმოცი ათასის კრედიტს, თუ გავითვალისწინებდით ვადაგადაცილების შემთხვევაში ვალის სისტემატურ ზრდასაც. მაგრამ მარტო აქტივები და პასივები არ დარჩენილა! ტოტგესი კარგა ხანია დაკრძალეს (შესაფერისი პატივით, როგორც დაადგინეს ვიღაც-ვიღაცებმა), შონერის სიკვდილსა და დაკრძალვას კი ჩვენდა გასაოცრად არ გამოუწვევია ასეთი ინტერესი და ამდენი ყურადღება. ჩნდება კითხვა – მაინც რატომ? იმიტომ, რომ არ იყო თავისი პროფესიის მსხვერპლი, მაგრამ ხომ შეიძლებოდა ეჭვიანობის დრამას ემსხვერპლა? შეიხის კოსტიუმი ნივთმტკიცებულებათა ოთახში ინახებოდა, ასევე პისტოლეტიც (08 ნომრით), რომლის წარმომავლობა მხოლოდ ბლორნამ იცოდა, პოლიცია და პროკურატურა კი უშედეგოდ ეძებდნენ მას.

8

ბლუმის საქმის გამოძიება თავიდან კარგად მიდიოდა, მხოლოდ მაშინ შეფერხდა, როცა კვირადღემდე მივიდა. გაირკვა, რომ ბლორნამ თავად მიუთვალა ბლუმს ოთხშაბათ საღამოს მთელი ორი კვირის ხელფასი (280 გერმანული მარკა), ერთი მიმდინარე, მეორე – მომავალი კვირისა, რადგან თვითონ ოთხშაბათ საღამოს

ცოლთან ერთად ზამთრის შვებულების გასატარებლად მიემგზავრებოდა. კატარინა შეჰპირდა ცოლ-ქმარ ბლორნებს, რომ ის ბოლოს და ბოლოს, დაისვენებდა, კარნავალზეც გაერთობოდა და ძველებურად არც სეზონური სამუშაოს ძებნას დაიწყებდა. მან ასევე სიხარულით აუწყა ბლორნებს, რომ მისმა ნათლიამ, მეგობარმა და მესაიდუმლემ ელზე ვოლტერსჰაიმმა ოჯახურ წვეულებაზე მიიპატიჟა და ძალიან კმაყოფილია, რადგან კარგა ხანია არ უცეკვია, იქ კი ამის საშუალება მიეცემა. ამაზე ფრაუ ბლორნამ უპასუხა, – მოიცადე, კატარინა, როცა დავბრუნდებით, ჩვენც გავმართავთ წვეულებას და რამდენიც გინდა, იცეკვეო.

მას შემდეგ, რაც კატარინა ქალაქში ჩამოვიდა, მუდამ იმაზე ჩიოდა, რომ შესაძლებლობა არ მიეცა ერთხელ მაინც წასულიყო სადმე საცეკვაოდ. ჩვენთან მხოლოდ ისეთი ბუნაგებია, სადაც უფულო სტუდენტები იაფფასიანი ბოზების საძებნელად დადიან. მართალია, მრავლადაა ბოჰემური რესტორნები, მაგრამ იქ სიცარიელეს ვგრძნობ და არც საეკლესიო საცეკვაო ღონისძიებები მიტაცებსო, ხშირად იტყოდა. როგორც დადგინდა, კატარინამ ოთხშაბათ საღამოს კიდევ ორი საათი დაჰყო ცოლ-ქმარ ჰიპერცებთან, სადაც ხანდახან წაიმუშავებდა ხოლმე. რადგან ჰიპერცებიც სადღესასწაულო დღეებში თავიანთ ქალიშვილთან ლუეგოში მიემგზავრებოდნენ, კატარინამ ორივე მოხუცი თავისი მანქანით სადგურამდე მიიყვანა. მიუხედავად პარკირების სირთულისა, მაინც თავისი გაიტანა, ისინი ბაქანთან მიაცილა და ჩემოდნებიც მიუტანა (არა, ფულის გამო არა! ამგვარი მზრუნველობისთვის ვერაფერს შევთავაზებდით, ეს მას გულს ატკენდაო, – განმარტა ფრაუ ჰიპერცმა). როგორც დამტკიცდა, მატარებელი 17:30 საათზე გავიდა. კატარინას ხუთი ან ათი წუთი მაინც დასჭირდებოდა საკარნავალო აურზაურში თავისი მანქანის საპოვნელად, შემდეგი ოცი ან ოცდახუთი წუთი კი – ქალაქის განაპირას მდებარე სახლამდე მისასვლელად, სადაც მხოლოდ 18:00-სა და 18:15 საათს შორის თუ მიაღწევდა. სიმართლე ითქვას, არც ერთი წუთი არ დარჩენილა აუხსნელი. მან ბანაობა, ჩაცმა და წახემსებაც მოასწრო და 19:25 საათზე უკვე ფრაუ ვოლტერსჰაიმთან იყო წვეულებაზე, სადაც ტრამვაით მივიდა და არა მანქანით. თანაც არც ბედუინის ცოლისა და არც ანდალუზიელი ქალის

სამოსი ჩაუცვამს. სავარაუდოდ, მხოლოდ წითელი მიხაკი ეკეთა თმაში, წითელი წინდა და ფეხსაცმელი, ყელამდე დახურული ყავისფერი ჩინური ბლუზა და ტვიდის უბრალო, იმავე ფერის ბოლოკაბა ეცვა. შეიძლება არცთუ საყურადღებოა, მანქანით მივიდა კატარინა წვეულებაზე თუ ტრამვაით, მაგრამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რადგან ძიებისთვის ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

9

მას შემდეგ, რაც ვოლტერსჰაიმის ბინაში მივიდა, გამოძიება გაადვილდა, რადგან კატარინას 19:25 საათიდან პოლიცია უთვალთვალებდა, ისე, რომ მან არაფერი იცოდა ამის შესახებ. მთელი საღამო, 19:30-დან 22:00 საათამდე, სანამ ამ ბინას დატოვებდა, იგი ცეკვავდა ვინმე ლუდვიგ გოტენთან, როგორც შემდგომ თავადვე აღიარა, «თავდავიწყებით და მხოლოდ მასთან».

10

აქვე აუცილებელია, პროკურორ პეტერ ჰახს მადლობა გადავუხადოთ იურიდიული საიდუმლოს ტოლფასი ცნობის მოწოდებისთვის, რომ კრიმინალური პოლიციის კომისარმა ერვინ ბაიცმენემ, მას შემდეგ, რაც ბლუმმა გოტენთან ერთად ვოლტერსჰაიმის ბინა დატოვა, განკარგულება გასცა ვოლტერსჰაიმისა და ბლუმის ტელეფონებისთვის მოესმინათ. თან მთელი სერიოზულობით, თითქოს ყველაფერ ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ბაიცმენე, ასეთ შემთხვევაში შესაბამის ხელმძღვანელს ურეკავდა ხოლმე და ეუბნებოდა, რომ კვლავ თავისი „ყური» ესაჭიროებოდა, ამჯერად ორი, ცხადია.

11

გოტენს კატარინას სახლიდან არ დაურეკავს. ყოველ შემთხვევაში ჰახმა არაფერი იცოდა ამის შესახებ. სარწმუნოა, რომ კატარინას ბინა კარგად ისმინებოდა. 10:30 საათამდე ხუთშაბათ დილით არც არავის დაურეკავს და არც ბინიდან გასულა. დრო არ იცდიდა, ბაიცმენე კი მოთმინებას კარგავდა და ნერვიულობდა. რვა კარგად შეიარაღებულ თანამშრომელთან ერთად, უსაფრთხოების ყველა ნორმის დაცვით შეიჭრა ბინაში, გაჩხრიკა, მაგრამ გოტენი ვერ იპოვა. მხოლოდ ძალიან მშვიდი, შეიძლება ითქვას, ბედნიერებისგან გაბრწყინებული კატარინა იდგა კარადასთან. დიდი ფინჯნით ყავას სვამდა და თაფლწასმულ კარაქიან პურის ნაჭერს გემრიელად მიირთმევდა. მისი საქციელი ეჭვს იწვევდა, რადგან იგი გაკვირვებული კი არა, უფრო კმაყოფილი ჩანდა, თითქოს გამარჯვებული იერიც კი დაჰკრავდა.. შიშველ სხეულზე ღიღილოებით მოჩითული, მწვანე ფლანელის საბანაო ხალათი ეცვა, და როცა მას კომისარი ბაიცმენე შეეკითხა (როგორც შემდეგ გაიხსენა, «საკმაოდ უხეშად»), თუ სად იყო გოტენი, ქალმა უპასუხა, რომ არ იცოდა როდის დატოვა ლუდვიგმა მისი ბინა. თავად 9:30 საათზე გაიღვიძა, როცა იგი უკვე წასული იყო.

– გამოუმშვიდობებლად?

– დიახ!

12

აქვე უნდა მივუთითოთ ბაიცმენეს მეტად საჩოთირო შეკითხვაზე, რომელიც ჰახმა ერთხელ აღიდგინა მეხსიერებაში, შემდეგ უარყო, შემდეგ ისევ გაიხსენა და მეორეჯერაც უარყო. ბლორნას ეს შეკითხვა მნიშვნელოვნად მიაჩნდა, რადგან დარწმუნებული იყო, თუ იგი მართლა დაუსვეს ბლუმს, სწორედ ამან განაპირობა კატარინას გაბოროტება, შერცხვენა და გაბრაზება.

ბლორნას და მის ცოლს ხომ კატარინა ბლუმი სექსუალურ საკითხებში მეტად მგრძნობიარედ, თითქმის უკარებად მიაჩნდათ. კარგად უნდა აიწონ-დაიწონოს, მართლა შეეძლო თუ არა ბაიცმენეს ამ საჩოთირო შეკითხვის დასმა. რა თქმა უნდა, ბაიცმენეს შეეძლო თვალსა და ხელს შუა გამქრალი გოტენის გამო, რომელიც უკვე გამოჭერილი ეგონათ, ასე მოქცეულიყო. დავუშვათ, კარადასთან გამომწვევად მიყრდნობილ კატარინას მართლაც შეეკითხა: «მან გიხმარა?» ამ შეკითხვაზე კატარინა მართალია ყურებამდე გაწითლდა, მაგრამ მაინც გამარჯვებული იერით უპასუხა: «არა, ამას ასე არ ვიტყოდი». დაბეჯითებით შეიძლება ვთქვათ, რომ ამ შეკითხვის დასმისას მათ შორის ნდობაზე ფიქრიც ზედმეტი იქნებოდა.

ფაქტია, მათ შორის ნდობა დაიკარგა. ის, რომ ბაიცმენეს, რომელიც კარგი რეპუტაციით სარგებლობდა, სურდა კატარინას ნდობა მოეპოვებინა, სულ არ ნიშნავდა იმას, რომ მან ეს საჩოთირო შეკითხვა მართლა დასვა. ჰახს კი ნაცნობები და მეგობრები მუსუსად იცნობდნენ და ამიტომაც გასაკვირი არ იყო, თავში უხეში აზრი მოსვლოდა, როცა საკმაოდ მიმზიდველი ბლუმი სამზარეულოს კარადას მიყრდნობილი იხილა. და არა მხოლოდ სიამოვნებით დაესვა ეს შეკითხვა, არამედ ასე უხეშად განმარტებული რამ თავადვეც ჩაედინა.

13

ბოლოს ბინა საფუძვლიანად გაჩხრიკეს. ამოიღეს რამდენიმე, უპირველესად წერილობითი ნივთმტკიცება.

კატარინა ბლუმს საბაზანოში პოლიციელი ქალის თანდასწრებით უნდა ჩაეცვა, თუმცა კი არ დაუხურავთ კარი, რომელსაც ორი შეიარაღებული პოლიციელი იცავდა. კატარინას უფლება მისცეს ხელჩანთა წაეღო, და რადგან მისი დაპატიმრება გამორიცხული არ იყო, საღამურის, წიგნისა და ტუალეტის მოწყობილობის წაღებაც შეეძლო. მისი ბიბლიოთეკა მოიცავდა სასიყვარულო

რომანებს, ასევე ნაპოლეონისა და შვედეთის დედოფლის ბიოგრაფიულ თხზულებებს. ყველა წიგნი ბიბლიოთეკას ეკუთვნოდა. კატარინა კი ისევ და ისევ სვამდა შეკითხვას: «რატომ, რატომ, რა დავაშავე ასეთი?» ქალმა გამომძიებელმა თავაზიანად განუმარტა, რომ ლუდვიგი კარგა ხნის ძებნილია, რომელსაც ბანდიტიზმში, ბანკის გაძარცვაში, მკვლელობასა და სხვა დანაშაულებრივ ქმედებებში ეძება ბრალიო.

14

როცა კატარინა ბლუმი, ბოლოს და ბოლოს, 11:00 საათზე სახლიდან დაკითხვაზე მიჰყავდათ, ბევრი ყოყმანის შემდეგ გადაწყვიტეს, მისთვის ხელბორკილი არ დაედოთ. ბაიცმენე ხელბორკილის დადებას მოითხოვდა, მაგრამ გამომძიებელ პლეცერთან და თავის ასისტენტ მოედინგთან მცირე თათბირის შემდეგ დათანხმდა, ამაზე უარი ეთქვათ. დღესასწაულის გამო ბლუმის მეზობლები სამუშაოდან ისვენებდნენ, თუმცა ჯერ არც საზეიმო სატურნალიურ [სატურნალია (ლათ.) – ძველ რომში: სახალხო ზეიმი, დღესასწაული, რომელიც ეწყობოდა ხოლმე ნაყოფიერების ღმერთის – სატურნის პატივსაცემად მინდვრის სამუშაოების დამთავრების შემდეგ: აქ: მორიგი სახალხო დღესასწაული.]

მსვლელობაზე გასულიყვნენ სახლიდან. ფოიეში, დილის საბანაო ხალათმოსხმული იდგა ათსართულიანი აპარტამენტის ოცდაათიოდე მობინადრე. იქვე, ლიფტთან კი ფოტოჟურნალისტი შონერი მოკალათებულიყო. გამოვიდა თუ არა ლიფტიდან, ბაიცმენესა და მოედინგს შორის ჩამდგარი, პოლიციელებით გარშემორტყმული კატარინა, ყოველი მხრიდან ფოტოები გადაუღეს – წინიდან, გვერდიდან, უკნიდან... დარცხვენილი და შეცბუნებული კატარინა ხელჩანთითა და პოლიეთილენის პარკით, რომელშიც ორი წიგნი და საწერ-კალამი ჩაედო, სახის დაფარვას ცდილობდა. თმაგაჩეჩილმა, უსიამოვნო გამომეტყველებით ჩაიარა თავმოყრილი ხალხის წინ.

15

მას შემდეგ, რაც კატარინას თავისი უფლებები განუმარტეს და საშუალებაც მისცეს, თავი მოეწესრიგებინა, ბაიცმენეს, მოედინგის, ფრაუ პლეცერის, ასევე პროკურორების, დოქტორ კორტენისა და ჰახის თანდასწრებით დაიწყო დაკითხვა, რომლის ჩანაწერიც აქვე მოგვყავს:

«ჩემი სახელია კატარინა ბრეტლოხი, ქალიშვილობის გვარი – ბლუმი. დავიბადე 1947 წლის 2 მარტს, კურის ოლქში, გრემელსბროიხში. მამა – პეტერ ბლუმი მაღაროში მუშაობდა. ექვსი წლის ვიყავი, როდესაც იგი ომში მიღებული ფილტვის ჭრილობით გარდაიცვალა. მან ომის შემდეგ კვლავ მაღაროში დაიწყო მუშაობა და ექიმებმა პნევმოკონიოზი დაუდგინეს. დედას, მისი გარდაცვალების შემდეგ სოციალური სამსახურისა და მეშახტეთა კავშირის შეუთანხმებლობის გამო პრობლემები შეექმნა მამის პენსიასთან დაკავშირებით. ბავშვობაში იძულებული ვიყავი ოჯახის საქმე მე მეკეთებინა, რადგან მამა აღარ მყავდა, დედა კი რამდენიმე ადგილას მუშაობდა დამლაგებლად... სკოლაში კარგად ვსწავლობდი. მიუხედავად იმისა, რომ სწავლის დროსაც სახლში ბევრი საქმე მებარა, მეზობლებსაც ვეხმარებოდი ცხობაში, ხარშვაში, კონსერვების მომზადებასა და პირუტყვის დაკვლაშიც. თანასოფლელებთან ერთად მოსავლის აღებაშიც ვმონაწილეობდი. 1961 წელს, სკოლის მიტოვების შემდეგ, ჩემი ნათლიის, კურში მცხოვრები ფრაუ ელზე ვოლტერსჰაიმის დახმარებით, გერბერის საყასბოში დამხმარის ადგილი ვიშოვე, სადაც დახლთანაც ვიდექი ხოლმე. 1962-დან 1965 წლამდე ვსწავლობდი კურის სამეურნეო სკოლაში ჩემი ნათლიის, ფრაუ ელზე ვოლტერსჰაიმის ხელშეწყობით, რომელიც ამავე სკოლის მასწავლებელი იყო. სკოლა წარმატებით დავამთავრე. 1966-დან 1967 წლამდე ოფთერსბროიხში, კოეშლერის სადღეღამისო საბავშვო ბაღში ვმუშაობდი საქმის მწარმოებლად, შემდეგ კი ექიმთან, დოქტორ კლუტჰენთან მიმიღეს სახლში დამხმარედ, კვლავ ოფთერსბროიხში, სადაც მხოლოდ ერთ წელიწადს დავრჩი,

რადგან ჰერ დოქტორი მომეტებულ «ყურადღებას» იჩენდა ჩემდამი. ბუნებრივია, მეც თავს მაბეზრებდა და ეს ვერც ფრაუ დოქტორმა აიტანა. სიმართლე გითხრათ, მამაკაცების ამგვარი დამოკიდებულება ყოველთვის მაღიზიანებდა. 1968 წელს, როცა რამდენიმე კვირით სამუშაოს გარეშე დავრჩი და დედასთან ერთად სახლში ვსაქმიანობდი, დროდადრო გემელსბროიხის მედოლეთა საზოგადოებასაც ვეხმარებოდი შეკრებებისა და კეგლის საღამოების მოწყობაში. იქ ჩემი უფროსი ძმის, კურტ ბლუმის მეშვეობით საფეიქრო ქარხნის მუშა ვილჰელმ ბრეტლოხი გავიცანი. რამდენიმე თვეში ვიქორწინეთ კიდეც. ჩვენ გემელსბროიხში ვცხოვრობდით, სადაც დროდადრო, ექსკურსიების მოზღვავებისას, კლოოგის სასტუმროს სამზარეულოში ვმუშაობდი და ხანდახან მიმტანობასაც ვითავსებდი. გათხოვებიდან ნახევარი წლის შემდეგ, ქმრისადმი დაუძლეველი ანტიპათია გამიჩნდა. უფრო დაწვრილებით ამაზე ლაპარაკი არ მსურს. ქმარი მივატოვე და ქალაქში გავემგზავრე. როცა უმიზეზოდ ქმრის მიტოვება დამწამეს, ქალიშვილობის გვარი დავიბრუნე. შემდგომ ფრაუ ვოლტერსჰაიმთან დავბინავდი, ვიდრე რამდენიმე კვირაში სამეურნეო ექსპერტის, დოქტორ ფენერნის ოჯახში დამხმარისა და მეურნის ადგილს ვიშოვიდი და საცხოვრებლად იქვე გადავიდოდი. ჰერ დოქტორ ფენერნი დამეხმარა, სწავლა საღამოს კურსებზე გამეგრძელებინა და გამოცდაც ჩავაბარე პროფესიონალი მეურნის სპეციალობაზე. დოქტორი ფენერნი ძალიან კარგად მექცეოდა და გამოცდის ჩაბარების შემდეგაც მასთან დავრჩი. 1969 წლის ბოლოს დოქტორ ფენერნი დააკავეს. დიდმა ფირმებმა, სადაც იგი მუშაობდა, გადასახადების მითვისებაში დასდეს ბრალი. დაკავებამდე მან კონვერტი გადმომცა, რომელშიც ჩემი სამი თვის გასამრჯელო იდო და მთხოვა, ისევ გამეგრძელებინა ძველი საქმიანობა. მალე დავბრუნდებიო, მითხრა. მაგრამ მის ბიუროში მხოლოდ ერთ თვეს მომიწია დარჩენამ. იქ მომუშავე პერსონალზე ვზრუნავდი, სახლსა და ბაღში სისუფთავესა და წესრიგს ვიცავდი, სარეცხიც ჩემზე იყო. ჰერ ფენერნისთვის წინასწარი გამოძიების საკანში მუდამ სუფთა თეთრეული და საჭმელი მიმქონდა, უმეტესად არდენული პაშტეტი, რისი მომზადებაც კურში, ყასაბ გრებერთან ვისწავლე. მალე დოქტორ ფენერნის სამეურნეო საქმიანობა შეწყდა, სახლი დაილუქა და იძულებული გავხდი, ოთახი დამეცალა. ჰერ დოქტორ ფენერნს გაფლანგვა და დოკუმენტების

გაყალბება დაუმტკიცდა. ახლა კი ნამდვილად მოხვდა ციხეში. მე ციხეშიც ვაგრძელებდი მის მონახულებას. მინდოდა მისთვის ორი თვის ხელფასი დამებრუნებინა, ვალად რომ მქონდა, მაგრამ მან ამის უფლება არ მომცა. მალე ახალი ადგილი ვიშოვე ცოლ-ქმარ ბლორნებთან, რომელთაც ჰერ ფენერნისგან ვიცნობდი.

ბლორნები ქალაქის სამხრეთით, ხეივანში მდებარე ბუნგალოში ცხოვრობდნენ. შემოთავაზებაზე, საცხოვრებლად მათთან გადავსულიყავი, უარი განვაცხადე. ბოლოს და ბოლოს, მსურდა დამოუკიდებელი, თავისუფალი ვყოფილიყავი. ცოლ-ქმარი ბლორნები ძალზე ლმობიერად მექცეოდნენ. დოქტორი ბლორნა დამეხმარა (ის ხომ სოლიდურ არქიტექტურულ ბიუროში მუშაობდა) ბინის შეძენაში, რომელიც ქალაქის სამხრეთ გარეუბანში მდებარეობდა და რომლის სარეკლამო ლოზუნგიც გახლდათ: «მდინარის პირას ელეგანტური სავანე».

ბინის შეძენაში ცოლ-ქმარი ბლორნები დამეხმარნენ, ისინი ხომ კარგად იცნობდნენ პროექტს. ჰერ ბლორნა ერთ-ერთი ფირმის ადვოკატი იყო, ხოლო ფრაუ ბლორნა – არქიტექტორი. დოქტორ ბლორნასთან ერთად დავიანგარიშე, თუ რა დამიჯდებოდა ოროთახიანი ბინა სააბაზანოთი და ტუალეტით. რამდენი პროცენტი მექნებოდა ყოველთვიური გადასახადი და რამდენ ხანში შევძლებდი მთლიანი თანხის დაფარვას. ამ დროისთვის უკვე 7.000 გერმანული მარკა მქონდა გადანახული, 30.000-ის თავდებად კი ცოლ-ქმარი ბლორნები დამიდგნენ. 1970 წლის დასაწყისში, უკვე ახალ ბინაში გადავედი. თავიდან, 1.100 გერმანული მარკა უნდა შემეტანა თვეში და რადგან ბლორნებთან კვების ფულს არ ვიხდიდი, მომჭირნედ ცხოვრება შევძელი და კრედიტის დაფარვაც უფრო მიადვილდებოდა, ვიდრე ვიფიქრებდი. ოთხი წლის განმავლობაში ვუძღვებოდი ბლორნების საოჯახო მეურნეობას. ჩემი სამუშაო დღე შვიდ საათზე იწყებოდა და საღამოს შვიდის ნახევარზე მთავრდებოდა. ამ დროისთვის ვასწრებდი სახლის საქმეს, დალაგებას, სურსათის შეძენას, ვახშმის მომზადებას. სარეცხზეც მე ვზრუნავდი. ხუთის ნახევრიდან რვის ნახევრამდე კი ჩემი სახლის საქმით ვიყავი დაკავებული. ყველაფერს რომ მოვრჩებოდი, ჩვეულებრივ საათ-ნახევარი ან ორი საათი პენსიონერ წყვილთან, ჰიპერცებთან ვმუშაობდი. შაბათ-კვირას, ორივე

ოჯახი ორმაგს მიხდიდა. თუ თავისუფალი დრო დამრჩებოდა, რესტორნის მეპატრონე კლოფტსაც ვეხმარებოდი. მეტწილად კი ჩემივე ინიციატივით სხვადასხვა ფირმას ვეხმარებოდი ოფიციალური მიღებების, ქორწილების, შეკრებებისა თუ საზეიმო საღამოების მოწყობაში, ხანდახან კი ამას ფირმა «კლოფტის» დავალებითაც ვაკეთებდი. მიმუშავია საორგანიზაციო დაგეგმარების მოანგარიშედ, მიმტანად და მზარეულადაც. ჩემი საშუალო შემოსავალი თვეში 1.800-2.300 გერმანულ მარკას შეადგენდა. საფინანსო სამმართველოში თავისუფალი პროფესიის მქონედ მიცნობდნენ. გადასახადებსა და დაზღვევას თვითონვე ვიხდიდი, თუმცა კი საქმიან ქაღალდებს ბლორნას ფირმა აწესრიგებდა.

1972 წლიდან «ფოლკსვაგენი» შევიძინე (1968 წლის გამოშვება), უფრო სწორად იგი «კლოფტის» თანამშრომელმა ვერნერ კლომერმა იაფად დამითმო. ჩემთვის, რა თქმა უნდა, ძნელი იყო საზოგადოებრივი ტრანსპორტით სხვადასხვა სამუშაოზე სიარული, რომელთაც ხშირად ვიცვლიდი. მანქანით ბუნებრივია უფრო მობილური გავხდი და ადვილად ვახერხებდი მიღებებსა და დღესასწაულებზე დამხმარედ მუშაობას, რომლებიც უმეტესწილად ქალაქგარეთ იმართებოდა.

16

დაკითხვის ეს ნაწილი მიმდინარეობდა 10:45-დან 12:30 საათამდე, ხოლო ერთსაათიანი შესვენების შემდეგ, 13:30-დან 17:45 საათამდე. შესვენებისას ბლუმმა უარი განაცხადა პოლიციის სამმართველოს ხარჯზე შეთავაზებულ ყავასა და ყველიან ბუტერბროდზე. ვერც მისადმი კეთილგანწყობილმა ფრაუ პლეცერმა და ასისტენტმა მოედინგმა შეაცვლევინეს აზრი. მისთვის, როგორც შემდგომ ჰახმა გაიხსენა, ნამდვილად შეუძლებელი იყო, სამსახურებრივი პიროვნულისგან განეცალკავებინა და დაკითხვის აუცილებლობას გაგებით მოჰკიდებოდა.

ბაიცმენე, შეხსნილი საყელოთი და მოშვებული ჰალსტუხით ყავას და პურს შეექცეოდა, ის არა მხოლოდ მამობრივად, არამედ მართლა მამასავით ექცეოდა კატარინას, ბლუმმა კი მაინც მოითხოვა საკანში წაეყვანათ. პოლიციელებმაც დაჟინებით შესთავაზეს ყავა და პური, მაგრამ ის ჯიუტად აქნევდა თავს, სკამზე იჯდა, სიგარეტს ეწეოდა და საკნის ჭუჭყიან უნიტაზს ამრეზით უყურებდა. მას შემდეგ, რაც ფრაუ პლეცერმა და ორმა პოლიციელმა ქალმა პულსი გაუსინჯა და ნორმალური აღმოჩნდა, კატარინამ ამჯერად მოისურვა ახლომდებარე კაფედან მისთვის კექსის ნაჭერი და ერთი ფინჯანი ჩაი ამოეტანათ, იმ პირობით, რომ თვითონ გადაიხდიდა. ყურადღება არ მიუქცევია იმისთვის, რომ ერთ-ერთმა ახალგაზრდა პოლიციელმა, დაკითხვისას კატარინას სააბაზანოს ღია კარის წინ რომ იდგა, გაგიმასპინძლდებიო, – შესთავაზა. პოლიციის ორივე მოხელემ და ფრაუ პლეცერმა დაასკვნეს, კატარინას იუმორის გრძნობა არა აქვსო.

17

დაკითხვა 13:30-დან 17:45 საათამდე გაგრძელდა. ბაიცმენე სიამოვნებით გადავიდოდა მოკლე დაკითხვაზე, მაგრამ ბლუმმა მოითხოვა წვრილმანებზეც გაემახვილებინათ ყურადღება, რაზედაც ორივე პროკურორისგან თანხმობა მიიღო. ბაიცმენესაც თავიდან არ უნდოდა, მაგრამ მას შემდეგ დათანხმდა, რაც დაწვრილებითი დაკითხვის მიზეზი შეიტყო.

17:45 საათზე იმაზე დაფიქრდნენ, შეეწყვიტათ თუ გაეგრძელებიათ დაკითხვა, გაეთავისუფლებინათ თუ საკანში წაეყვანათ ბლუმი. 17:00 საათზე კატარინამ მოიღო მოწყალება და ჩაი მიირთვა ლორიანი ბუტერბროდით. ამავდროულად, დათანხმდა გაეგრძელებინათ დაკითხვა, რადგან ბაიცმენე შეჰპირდა, სწორედ ამ დაკითხვის შემდეგ გაგათავისუფლებო. კითხვაზე, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა ფრაუ ვოლტერსჰაიმთან, კატარინამ განმარტა, რომ ფრაუ

ვოლტერსჰაიმი მისი ნათლიაა, დედამისის შორეული ბიძაშვილი, მან ქალაქში ჩამოსვლისთანავე მომძებნა და ჩემთან ურთიერთობა განაახლაო.

«20 თებერვალს, – განაგრძო კატარინამ, – ფრაუ ვოლტერსჰაიმმა თავის სახლში, ზეიმზე მიმიწვია, რომელიც სინამდვილეში 21-ში, დიდმარხვის წინადღეს უნდა გამართულიყო და რადგან ფრაუ ვოლტერსჰაიმი იმ ღამეს სამსახურში უნდა წასულიყო, წვეულება წინა დღით გადმოიტანეს. ეს პირველი საცეკვაო საღამო იყო, რომელშიც ოთხი წლის განმავლობაში მივიღე მონაწილეობა. თუმცა აქ ჩემს ჩვენებაში შესწორებას შევიტან: სხვადასხვა მიზეზის გამო, ორ-სამჯერ, შეიძლება ოთხჯერაც ბლორნებთანაც მომიწია ცეკვამ, როცა მათ საღამოობით, სტუმრების გამასპინძლებისას ვეხმარებოდი. გვიან, როცა დალაგებასა და ჭურჭლის რეცხვას მოვრჩებოდი, როცა ყავა უკვე გატანილი მქონდა, დოქტორი ბლორნა ბარიდან გამათავისუფლებდა და მას სალონში მივყავდი. იქ ვცეკვავდი როგორც დოქტორ ბლორნასთან, ასევე მის მეგობარ სხვა ბატონებთან აკადემიური, ბიზნეს და პოლიტიკური წრეებიდან. მერე უხალისოდ ვემორჩილებოდი რომელიმე მათგანის სურვილს, სახლამდე გავეცილებინე, მერე კი საერთოდ უარი ვთქვი ამაზე, რადგანაც შეზარხოშებული ბატონები საკმაოდ მომაბეზრებლები ხდებოდნენ. უფრო ზუსტად, მას შემდეგ, რაც მანქანა შევიძინე, შინ მარტო მივდიოდი. ადრე იძულებული ვიყავი, ვინმეს გავეცილებინე. აი, ამ ბატონთანაც (კატარინამ მიუთითა ჰახზე, რომელიც აწითლებული იდგა იქვე) ვცეკვავდი ხანდახან».

შეკითხვა, აბეზრებდა თუ არა ჰახიც კატარინას თავს, არავის დაუსვამს.

18

დაკითხვისას გამოირკვა, რომ კატარინა ბლუმი განსაცვიფრებელი პედანტობით აკონტროლებდა ყველაფერს, რაც ოქმში შეჰქონდათ. აიძულებდა დაკითხვის მონაწილეთ, თავიდან წაეკითხათ ყოველი წინადადება. მაგალითად, ბოლო

აბზაცში მოხსენიებული განმარტება – მომაბეზრებელი სინაზედ შეიტანეს ოქმში, დასკვნაშიც ასე ჩაწერეს, ბატონები სინაზეს იჩენდნენ ჩემდამიო. რა თქმა უნდა, ამის წინააღმდეგაც გაილაშქრა კატარინამ და ენერგიულად იცავდა თავის მოსაზრებას. საქმე ეხებოდა აზრთა სხვადასხვაობას კატარინასა და ადვოკატებს შორის, კატარინასა და ბაიცმენეს შორის. კატარინა ამტკიცებდა, სინაზე ორმხრივია, ხოლო მომაბეზრებელი დამოკიდებულება ცალმხრივი, მე კი ყოველთვის მომაბეზრებელ ურთიერთობაზე ვლაპარაკობდიო. ხოლო როცა ბატონებმა მიიჩნიეს, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვსო, კატარინა დაკითხვის გაჭიანურებაში დაადანაშაულეს. მან განაცხადა, რომ იმ ოქმს ხელს არ მოაწერდა, სადაც აბეზარი ან მომაბეზრებელი დამოკიდებულების მაგივრად სინაზე ეწერებოდა. განსხვავება ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია და ერთ-ერთი მიზეზიც, რის გამოც ქმარს დავშორდი, ამას უკავშირდება, ჩემი ქმარი არასოდეს ყოფილა ნაზი, არამედ ყოველთვის აბეზარი და უხამსი იყოო. ამგვარი კამათი გამოიწვია სიტყვა ლმობიერმაც, რაც ცოლ-ქმარ ბლორნებთან დაკავშირებით გამოიყენა. ოქმში ჩაწერეს: «ჩემდამი კეთილად განწყობილი», ბლორნა კი ამბობდა, ლმობიერი უნდა ეწეროსო. ხოლო როცა შესთავაზეს სიტყვა დიდსულოვანი, რადგან ლმობიერი მეტად ძველმოდურად ჟღერსო, კატარინა აღშფოთდა და ამტკიცებდა, კეთილგანწყობასა და დიდსულოვნებას ლმობიერებასთან არავითარი კავშირი არა აქვსო. კატარინას მხოლოდ ლმობიერებად წარმოედგინა ბლორნების დამოკიდებულება მისდამი.

19

ამასობაში კატარინას მეზობლები დაჰკითხეს, რომელთა უმრავლესობას არც არაფერი ჰქონდა მასზე სათქმელი. ისინი კატარინას ლიფტში თუ შეხვდებოდნენ ხოლმე, ესალმებოდნენ და მხოლოდ ის იცოდნენ მის შესახებ, რომ წითელი «მერსედესი» ჰყავდა. ზოგიერთს რომელიმე მაღალი თანამდებობის პირის მდივანი ეგონა, სხვებს – მაღაზიაში განყოფილების გამგე, რადგან ყოველთვის

გამოპრანჭული, თავაზიანი, მაგრამ მაინც ოდნავ უკარება იყო. კატარინას მეზობლად მცხოვრები, მეხუთე სართულის ხუთი მობინადრიდან ორმა უფრო ზუსტი ცნობები მიაწოდა გამომძიებლებს. ერთ-ერთი სილამაზის სალონის მფლობელი იყო, ფრაუ შმილი, მეორე – ელექტროხელსაწყოების ქარხნის მუშა, ამჟამად პენსიაზე მყოფი, სახელად რუვიდელი. გამაოგნებელი იყო ორივე მათგანის ერთნაირი მტკიცება, კატარინასთან ხშირად მამაკაცები მოდიოდნენ, ხან კი თავადვე მოჰყავდაო. ფრაუ შმილი ამტკიცებდა, სისტემატურად დადიოდნენ, განსაკუთრებით ბოლო ორი თუ სამი კვირის განმავლობაშიო. ბოლო სტუმარი, ორმოცი წლის, ძალიან ელეგანტური მამაკაცი იყო, ალბათ უფრო მაღალი წრის წარმომადგენელიო. ჰერ რუვიდელი კი სტუმარს ახასიათებდა, როგორც საკმაოდ ახალგაზრდა ფრანტს, რომელიც ხან მარტო მოდიოდა ბლუმის ბინაში, ხან მასთან ერთად. თანაც ორი წლის განმავლობაში, რვაჯერ თუ ათჯერ ვნახეო. «ეს ის ვიზიტებია, რომელსაც მე შევესწარი და რასაც არ შევსწრებივარ, იმაზე ვერაფერს მოგახსენებთ», – წაიბურტყუნა მან, რამაც მაინცდამაინც დამაჯერებელი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა.

საღამოს, როცა აღშფოთებულ კატარინას მოსთხოვეს, ამ ჩვენებებზე ახსნა-განმარტება მიეცა, სანამ შეკითხვას დაუსვამდა, მხოლოდ ჰახი შეეცადა დახმარებოდა და მიანიშნა, დასახელებული სტუმრები, შეიძლება სწორედ ისინი იყვნენ, სახლამდე რომ მიგაცილებდნენ ხოლმეო. კატარინამ, რომელიც სიბრაზისა და სირცხვილისგან სულ უფრო წამოენთო, კითხვას კითხვითვე უპასუხა, აკრძალული ხომ არ არის ბატონების შინ მიღებაო. ამით მან მეგობრული განზრახვით შეთავაზებულ დახმარებაზე უარი განაცხადა ან კიდევ სულაც არ მიიჩნია ეს დახმარება მეგობრულად. მაშინ ჰახმაც უფრო მკაცრად განუმარტა, რომ აქ სერიოზულ საქმეს იძიებენ, სახელდობრ, ლუდვიგ გოტენისას, და რომ პროკურატურა უკვე ერთი წელია ამ საქმეზე მუშაობს. შემდეგ კი დაჟინებით ჩაეძია, აღნიშნული ვიზიტები მხოლოდ ერთი და იმავე ბატონის სტუმრობას ხომ არ ნიშნავსო. მაშინ ბაიცმენემ უხეშად დაუმატა, – გამოდის, გოტენს უკვე ორი წელია, რაც იცნობდითო. ამ მტკიცებამ კატარინა ისე აღაშფოთა, რომ თავიდან ხმა ვერ ამოიღო, ბაიცმენეს თავის ქნევით შესცქეროდა

და უჩვეულოდ თბილად წაიჩურჩულა, – ო, არა! მე ის მხოლოდ გუშინ გავიცანიო. ეს კი ძალზე არადამაჯერებლად ჟღერდა. ხოლო როდესაც მოსთხოვეს განემარტა, თუ რას ნიშნავდა მამაკაცების ვიზიტები, იგი მხოლოდ თავს აქნევდა და დაკითხვას აფერხებდა. ბაიცმენემ კვლავ მამობრივი სითბოთი მიმართა, არაფერია იმაში ცუდი, თუ მეგობარი გყავდა, რომელიც (და აქ მან კიდევ ერთი ფსიქოლოგიური შეცდომა დაუშვა) აბეზარი კი არა, ნაზი იყო, განქორწინებული ხარ, ამას ღალატად ვერავინ ჩაგითვლის და სულაც არ არის დასაძრახი (მესამე, გადამწყვეტი შეცდომა!), თუ შეძლებ და აბეზარი კი არა, ნაზი დამოკიდებულებისგან ერთგვარ მატერიალურ სარგებელსაც ნახავს ადამიანიო. ამან კატარინა გააკერპა. ის კვლავ აყოვნებდა დაკითხვას და დაჟინებით მოითხოვდა ან საკანში წაეყვანათ, ან სულაც შინ. იქ მყოფთა გასაოცრად, ბაიცმენე დაიღალა და მოლბა. ამასობაში 20:40 საათიც გამხდარიყო. წაიყვანეთ კატარინა სახლშიო, განკარგულება გასცა ბაიცმენემ, მაგრამ როცა ქალი უკვე წასასვლელად მოემზადა, მოულოდნელად შეეკითხა: – როგორ გავიდა ღამით სახლიდან შეუმჩნევლად თქვენი ნაზი ლუდვიგი, როცა ყველა შესასვლელსა და გასასვლელს იცავდნენ? თუ თქვენ საიდუმლო გასასვლელი იცოდით და მას უჩვენეთ? ამას მე აუცილებლად გავარკვევ, ნახვამდის.

20

მოედინგმა, ბაიცმენეს თანაშემწემ, რომელმაც კატარინა შინ წაიყვანა, მოგვიანებით გაიხსენა, რომ ახალგაზრდა ქალის მდგომარეობამ ძალზე შეაშფოთა. შიშობდა, რაიმე არ აეტეხა თავისთვის. ქალი განადგურებული ჩანდა და მისდა გასაოცრად, სწორედ ამ მდგომარეობაში გამოამჟღავნა იუმორის გრძნობა. როცა მანქანით ქალაქში მიქროდნენ, მოედინგმა ჰკითხა, რას ფიქრობ, ხომ არაფერი დაშავდება, უბრალოდ, სადმე ფინჯანი ყავა რომ დავლიოთ და ვიცეკვოთო. კატარინამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და უთხრა, – დაშავდება კი არა, ძალიან კარგი იქნებოდაო. შემდეგ კი როცა მის სახლს

მიუახლოვდნენ, სარკასტულად მიმართა: «აჰ, აჯობებს გადავდოთ, როგორც მოგეხსენებათ, საკმაოდ განებივრებული ვარ მამაკაცების ვიზიტებით, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა მაინც მადლობელი ვარ». მოედინგი მთელი საღამო, და ლამის მთელი ღამე ცდილობდა დაერწმუნებინა ბაიცმენე, დაეკავებინათ კატარინა ბლუმი მისივე უსაფრთხოების გამო. როდესაც ბაიცმენე შეეკითხა, ხომ არ შეგიყვარდა ეგ ქალიო, უპასუხა, რომ მხოლოდ მოსწონდა, თუმცა კი კატარინა ჩემდამი სავსებით გულგრილიაო, და ისიც მოახსენა, რომ არ სჯეროდა ბაიცმენეს შეთქმულების ვერსიისა, რომელშიც ვითომდა კატარინა იყო გახვეული.

რაც მოედინგს გამორჩა და არ მოუყოლია, ფრაუ ბლორნასგან გახდა ცნობილი. ეს გახლდათ ორი რჩევა, რაც მან კატარინას მისცა, როდესაც ფოიედან ლიფტამდე მიაცილებდა. საკმაოდ უხერხული რჩევები, რომლებიც შეიძლება ძვირად დასჯდომოდა. მან ლიფტთან მდგომ კატარინას უთხრა: «ხვალ ყურმილი არ აიღოთ და არც გაზეთები გადაშალოთ». გაურკვეველი დარჩა, «ცაიტუნგს» გულისხმობდა თუ საერთოდ გაზეთებს.

21

თითქმის 15.30 საათი იყო, როცა ზემოთ ხსენებული მოვლენები განვითარდა (ხუთშაბათი, 21. 02. 1974). სწორედ ამ დღეს ბლორნამ, ზამთრის აგარაკზე პირველად მოირგო თხილამურები და დიდი გასეირნება დააპირა. ამ წუთიდან მისი შვებულება, რომელსაც ასე დიდხანს ელოდა, ჩაიშალა.

უკვე წინა საღამოს, ჩამოსვლისთანავე, ტრუდესთან ერთად ორი საათი ისეირნა თოვლში, შემდეგ, ერთი ბოთლი ღვინო მოგუზგუზე ბუხართან და ღრმა ძილი ღია ფანჯარასთან; პირველი აუჩქარებელი საუზმე შვებულებისას, რამდენიმე საათს იჯდა ტერასაზე მოწნულ სავარძელში, თბილად გახვეული... და სწორედ იმ წუთას, როცა გასეირნება დააპირა, ამ ტიპმა ამოყვინთა «ცაიტუნგიდან» და

ყოველგვარი შესავლის გარეშე კატარინაზე დააყარა შეკითხვები. მიიჩნევდა თუ არა, რომ კატარინას დანაშაულის ჩადენა შეეძლო?

– როგორ? – უპასუხა მან, – მე ადვოკატი ვარ და ვიცი, ვის შეუძლია დანაშაულის ჩადენა და ვის არა. რა დანაშაულზეა ლაპარაკი? კატარინა? წარმოუდგენელია, რამ მოგაფიქრათ? საიდან იცით?

მან ბოლოს და ბოლოს გაიგო, რომ დიდი ხნის ძებნილ ბანდიტს ღამე გაუთევია კატარინასთან, რაც უკვე დაუსაბუთებიათ კიდეც, ხოლო დაკითხვა დილის 11 საათიდან დაუწყიათ, გადაწყვიტა, უკან გაფრენილიყო და დახმარებოდა, მაგრამ იმ გაზინთულმა (ვერ გაერკვია, მართლა გაზინთული იყო თუ ეს შემდეგ დაასკვნა) ტიპმა «ცაიტუნგიდან» უთხრა, ჯერ არც ისე ცუდადაა საქმეო და შეეკითხა, ხომ ვერ გაიხსენებდა კატარინას ხასიათიდან რაიმე განსაკუთრებულს. და როდესაც ჰერ ბლორნამ პასუხი დააგვიანა, ჟურნალისტმა მიიჩნია, რომ დუმილი ცუდის ნიშანი იყო და შეიძლებოდა ეს ბოროტად გამოეყენებინა კიდეც. რადგან საქმე ეხებოდა front-page-story-ს [front-page-story (ინგლ.) – პირველი გვერდის მასალა.], ანუ კატარინას უხასიათობის ერთმნიშვნელოვან დასაბუთებას. მაშინ უკვე გაცოფებულმა და გაღიზიანებულმა ბლორნამ წამოიძახა, – კატარინა ჭკვიანი და ფხიზელი პიროვნებაა. თუმცა კი უკმაყოფილო დარჩა, რომ ამ სიტყვებით ვერ გამოხატა ის, რისი თქმაც სურდა. მეტიც, რაც აუცილებელი იყო, ისიც ვერ გამოხატა ხეირიანად. მას არასდროს ჰქონია საქმე გაზეთებთან და მით უმეტეს «ცაიტუნგთან», და როცა რეპორტიორი თავისი «პორშეთი» გაემგზავრა, ბლორნამ სწრაფად მოიხსნა თხილამურები. უკვე იცოდა, რომ მისი შვებულება დამთავრდა! ტრუდესთან ავიდა, რომელიც საბანში გახვეული, ნებიერად, ნახევრად მძინარე, მზეზე იწვა და ყველაფერი უამბო. დარეკე, – უთხრა მან და ისიც შეეცადა დაერეკა სამჯერ, ოთხჯერ, ხუთჯერ, მაგრამ ყოველთვის ერთსა და იმავე პასუხს იღებდა: «აბონენტი მიუწვდომელია». მან საღამოს 11-ზე კვლავ სცადა დაკავშირება, მაგრამ ისევ არავინ უპასუხა. ამის შემდეგ ბლორნამ ბევრი დალია და ცუდად ეძინა.

22

როცა ბლორნა პარასკევს, დილით ადრე, სასაუზმოდ ჩავიდა, ტრუდემ მას «ცაიტუნგი» გაუწოდა. კატარინა პირველ გვერდზე! უზარმაზარი ფოტო, უზარმაზარი შრიფტი. სათაური: მძარცველის საყვარელი კატარინა ბლუმი უარყოფს ბატონების ვიზიტებს! შემდეგ კი გაზეთი იუწყებოდა: «გუშინ, წელიწად-ნახევრის შემდეგ, ძებნილ ბანდიტსა და მკვლელს, ლუდვიგ გოტენს დაიჭერდნენ, მის შეყვარებულს, შინამოსამსახურე კატარინა ბლუმს რომ მისი კვალი არ დაეფარა და გაქცევაში ხელი არ შეეწყო. პოლიცია ვარაუდობს, რომ ბლუმი უკვე კარგა ხანია დამნაშავესთან თანამშრომლობს (გაგრძელება იხილეთ მეორე გვერდზე, სათაურით: ბატონების ვიზიტები).

ბლორნამ იქვე ისიც წაიკითხა, რომ «ცაიტუნგმა» მისი სიტყვები, კატარინა ჭკვიანი და ფხიზელი ქალიაო, შეცვალა „ყინულივით ცივად» და „ანგარიშიანად». ადვოკატის ზოგადი განმარტება დანაშაულის შესახებ კი კატარინას მიაწერა და დაასკვნა, მას შეეძლო დანაშაულის ჩადენაო!

ბლორნამ შემდეგ სტრიქონებსაც შეავლო თვალი: «მღვდელმა გრემელბროიხიდან აღიარა: «მისგან არაფერია გასაკვირი. მამამისი ფარული კომუნისტი იყო, დედამისმა კი, რომელსაც გულმოწყალების გამო სახლში დამლაგებლად ვამუშავებდი, ღვთის მსახურებისთვის განკუთვნილი ღვინო მოიპარა ეკლესიიდან და თავის საყვარელთან ერთად იქვე ორგია გამართა».

«ბლუმს ორი წლის განმავლობაში ხშირად აკითხავდნენ მამაკაცები. ხომ არ იყო მისი სახლი კრიმინალთა ფარული ცენტრი? ბანდიტების შეხვედრის ადგილი? იარაღის საწყობი? ან როგორ იშოვა ოცდაშვიდი წლის შინამოსამსახურე გოგონამ საკუთარი ბინა, რომელიც 110.000 მარკად არის შეფასებული? წილი ხომ არ ჰქონდა ბანდიტების ნადავლში? პოლიცია კვლავ მოგვაწვდის ცნობებს... პროკურატურას საყურადღებო დოკუმენტები გააჩნია. ხვალ მათი რიცხვი კიდევ უფრო მეტი იქნება. «ცაიტუნგს» როგორც ყოველთვის, სადავეები უპყრია ხელთ! ყველა ახალი საიდუმლო ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ იხილეთ ჩვენს ხვალინდელ საკვირაო გამოშვებაში».

ბლორნამ საღამოს, აეროპორტში აღიდგინა მომხდარის თანამიმდევრობა.

10:25: ძალზე აღელვებული ლუდინგის ზარი, რომელიც დაჟინებით მთხოვდა, მაშინვე დავბრუნებულიყავი. ასევე უაღრესად შეშფოთებულ ალოიზს დავკავშირებოდი. ალოიზი, გვარიანად თავგზააბნეული ჩანს. ასეთი არასოდეს ყოფილა. თანაც ამ დროს ქრისტიან მეწარმეთა შეკრებაზე იმყოფება ბად-რედინგში, სადაც მთავარი მოხსენებით უნდა გამოვიდეს.

10:40: კატარინას ზარი. კატარინა შემეკითხა, მართლა ისე ვთქვი თუ არა, როგორც «ცაიტუნგში» წერენო. ძალიან მესიამოვნა, რომ შევძელი ამეხსნა. ავუხსენი კიდეც, მან კი მითხრა (როგორც მახსოვს): «მე თქვენი მჯერა, მჯერა. ახლა უკვე ვიცი, თუ როგორ მუშაობენ ეს ღორები. ამ დილით ჩემს მძიმე ავადმყოფ დედასაც მიადგნენ, ბრეტლოხსაც და სხვებიც ამოჩიჩქნეს». როცა ვკითხე, სად იმყოფებოდა, მითხრა, ელზასთან ვარ, ახლა კი დაკითხვაზე მივდივარო.

11.00: ალოიზის ზარი. 20 წლის ნაცნობობის შემდეგ იგი პირველად იყო ასეთი აღელვებული და შეშინებული. მითხრა, სასწრაფოდ ჩამოდი, რათა თავდებად დამიდგე ერთ ფრიად საჩოთირო საქმეშიო. ახლა რეფერატი მაქვს წასაკითხი, შემდეგ ორგანიზატორებთან სადილად ვარ მიწვეული, მერე დისკუსიას უნდა გავუძღვე, საღამოს კი, მეგობრული შეხვედრა მაქვს დანიშნული. 7:30-დან 9:30 საათამდე თქვენთან გავჩნდებიო, შემდეგ კი ალბათ ბაიცმენესთან მოუხდება შეჯახება.

11:30: ტრუდესაც აუცილებლად მიაჩნია კატარინას დასახმარებლად გამგზავრება. როგორც მისი ირონიული ღიმილით მივხვდი, უკვე მზად აქვს (ალბათ, როგორც ყოველთვის) ძალიან ზუსტი თეორია ალოიზის გასაჭირზე.

12:15: ბილეთები დავჯავშნეთ, ბარგი ჩავალაგეთ, სასტუმროს ქირა გადავიხადეთ. 40-საათიანი შვებულების შემდეგ უკვე ტაქსიში ვისხედით. აეროპორტში 14:00-დან 15:00 საათამდე ვიყურყუტეთ. ამას მოჰყვა გრძელი საუბარი ტრუდესთან კატარინაზე, რომელიც ძალიან, ძალიან ძვირფასია ჩემთვის. იმაზეც ვისაუბრეთ, როგორ ვაგულიანებდით კატარინას, რომ ნაკლებად უკარება ყოფილიყო; დაევიწყებინა მძიმე ბავშვობა და უიღბლო ქორწინება.

გავიხსენეთ, როგორ ვცდილობდით მისი სიამაყის დაძლევას, როცა საქმე ფულს შეეხებოდა; ვაიძულებდით, დაგვყოლოდა და ჩვენი ანგარიშიდან იმაზე იაფი სესხი აეღო, ვიდრე ბანკი სთავაზობდა. ვერც ახსნა-განმარტებამ დაარწმუნა, რომ გადასახდელი 14%-ის ნაცვლად, ჩვენთვის 9% მოეცა. ამით ჩვენ არაფერი დაგვაკლდებოდა, მას კი ფული დაეზოგებოდა. ვსაუბრობდით იმაზეც, თუ როგორი დავალებული ვიყავით კატარინასგან: მას შემდეგ, რაც ის მშვიდად და რიგიანად უძღვებოდა ჩვენს სახლს, საოჯახო ხარჯები საგრძნობლად შემცირდა. მან საშუალება მოგვცა, ოჯახის საზრუნავისგან გავთავისუფლებულიყავით და მთელი ყურადღება პროფესიული საქმიანობისთვის დაგვეთმო. ამ ყოველივეს ფულით ანაზღაურება შეუძლებელია. მან ხუთწლიანი ქაოსისგან დაგვიცვა, რომელიც ჩვენს ოჯახსა და სამსახურს მძიმე ტვირთად აწვა.

16:30: რადგან ნისლის გაფანტვას საშველი არ დაადგა, გადავწყვიტეთ მატარებლით გავმგზავრებულიყავით. ტრუდეს რჩევით, ალოიზ შტროიბლედერისთვის არ დამირეკავს. ტაქსით წავედით სადგურისკენ, სადაც 17:45 საათზე ფრანკფურტის მატარებელს მივუსწარით. საშინლად ვიმგზავრეთ. ტრუდე ძალიან აღელვებული იყო და ნერვიულობდა, თითქოს რაღაც დიდი უბედურების წინათგრძნობა ჰქონდა. მთლად ძალაგამოცლილები მიუნხენში გადავედით მეორე მატარებელში, საძინებელი ვაგონი ვიშოვეთ. ორივეს წინ გვიძღოდა დარდი კატარინაზე და ასევე უსიამოვნებანი ლუდინგისა და შტროიბლედერისგან.

23

უკვე შაბათ საღამოს, ერთიანად განადგურებულნი და დადარდიანებულნი, სეზონის შესაფერისად გამოცოცხლებულ ქალაქის სადგურზე ვიყავით. ბაქანზევე თვალში მოგვხვდა «ცაიტუნგი». კატარინას ფოტო ისევ პირველ გვერდზე, ამჯერად სამძებროს თანამშრომელთან ერთად ჩამოდის პოლიციის

სამმართველოს კიბეზე. და ისევ მთავრული შრიფტით: მკვლელის საცოლე კვლავ ჯიუტობს. ლუდვიგ გოტენის სამყოფელი ისევ უცნობია. პოლიცია ღია განგაშს ტეხს!

ტრუდემ იყიდა გაზეთი და მდუმარედ წავიდნენ ტაქსით შინისკენ. და როდესაც მძღოლისთვის უნდა გადაეხადათ, მან «ცაიტუნგზე» მიუთითა და თქვა: „გაზეთიდან გიცანით. თქვენ ხომ ადვოკატი და ამ კახპის დამქირავებელი ხართ». ბლორნამ მას საკმარისზე მეტი გადაუხადა და მძღოლმაც, რომლის ღიმილიც ნაკლებად აგრესიული იყო, ვიდრე მისი ინტონაცია, მათ ბარგი და თხილამურები შესასვლელთან მიუტანა და თავაზიანად დაემშვიდობა.

ტრუდეს ყავადანი ჩაერთო და ბანაობდა. მისაღებში მაგიდაზე იდო «ცაიტუნგი», გვერდით კი ორი ტელეგრამა. ერთი ლუდინგის, მეორე შტროიბლედერისგან: «იმედგაცრუებული ვარ, რადგან კონტაქტი არ გაფორმებულა. ლუდინგი»; «ვერ წარმოვიდგენდი, რომ ასეთ გასაჭირში მიმატოვებდი, სასწრაფოდ ველოდები ზარს. ალოიზი». უკვე რვის თხუთმეტი წუთი იყო, ზუსტად ის დრო, როცა კატარინას მათთვის საუზმე მოჰქონდა. როგორც ყოველთვის, მაგიდაზე ახალი სუფრა ეფარა ქათქათა ხელსახოცებით. არც ყვავილები ავიწყდებოდა. ლამაზად ელაგა პური, ფუნთუშები, თაფლი, მოხარშული კვერცხი და ყავა, ტრუდესთვის ფორთოხლისჯემიანი გახუხული პური... როცა ყავის მადუღარა, გახუხული პური, თაფლი და კარაქი შემოიტანა, ტრუდეს გული აუჩუყდა და წამოიძახა: «ის დრო არასოდეს გამეორდება, არასოდეს! ისინი ბოლოს მოუღებენ გოგონას. პოლიცია თუ არა, «ცაიტუნგი». ხოლო თუ «ცაიტუნგი» მისადმი ინტერესს დაკარგავს, მაშინ ამას ხალხი გააკეთებს. მოდი, წაიკითხე ერთი და შემდეგ დაურეკე ბატონ სტუმარს».

ბლორნამ წაიკითხა:

«გაზეთი «ცაიტუნგი» ცდილობს, ყოველმხრივი ინფორმაცია მოგაწოდოთ, შევძელით ახალი აღიარებების შეგროვება, რომელთაც შეუძლიათ ბლუმის ხასიათსა და მისი ბურუსით მოცულ წარსულს სინათლე მოჰფინონ. «ცაიტუნგის» რეპორტიორებმა მიაკვლიეს ბლუმის მძიმედ ავადმყოფ დედას. მან

დაიჩივლა, რომ ქალიშვილს კარგა ხანია აღარ მოუნახულებია. დამაჯერებელი ფაქტების გაცნობის შემდეგ, შეძრწუნებულმა თქვა: «ასე უნდა მომხდარიყო, ასე უნდა დამთავრებულიყო». ყოფილი ქმარი, საფეიქრო ქარხნის ერთი უბრალო მუშა, ვილჰელმ ბრეტლოხი, რომელიც ბლუმმა უგულოდ მიატოვა, «ცაიტუნგს» გამოუტყდა. ახლა, – თქვა თვალზე ცრემლმომდგარმა, – მივხვდი, რატომ დამემართა ეს. რატომ დამტოვა ხახამშრალი. «ახლა ყველაფერი ნათელია ჩემთვის. მას ჩვენი მოკრძალებული ბედნიერება არ აკმაყოფილებდა. როგორ შეძლებდა პატიოსანი, უბრალო მუშა ეყიდა ავტომანქანა «პორშე». იქნებ (დასძინა მან სამართლიანად) შეძლოთ «ცაიტუნგის» მკითხველებს ჩემი რჩევა გადასცეთ: ასე მთავრდება ხოლმე ცრუ წარმოდგენები სოციალიზმზე. მე გეკითხებით თქვენ და თქვენ მკითხველებს: როგორ გამდიდრდა ასე მოსამსახურე გოგონა? პატიოსანი გზით ვერ გამდიდრდებოდა. ახლა ვიცი, რატომ მეშინოდა ყოველთვის მისი რადიკალობის და ანტიეკლესიურობის. და მე ვლოცავ უფლის ნებას, შვილები რომ არ მოგვცა. როცა გავიგე, რომ მას მკვლელისა და ყაჩაღის სინაზე ერჩია ჩემს უპრეტენზიო კეთილგანწყობას, მაშინ ყველაფერი ცხადი გახდა... და მაინც მინდა ხმამაღლა ვუთხრა: – ჩემო პატარა კატარინა! ჩემთან რომ დარჩენილიყავი, წლების შემდეგ ჩვენც გვეყოლებოდა მსუბუქი ავტომანქანა და ვიყიდდით ბინას. მართალია, «პორშეს» ვერ შევწვდებოდი, მაგრამ მოკრძალებული ბედნიერება კი შემეძლო შენთვის მომეტანა. ეს არის ის, რაც შეუძლია შემოგთავაზოს მუშაკაცმა, რომელიც პროფკავშირს არ ენდობა. ეჰ, კატარინა».

ქვესათაურში – „პენსიონერი ცოლ-ქმარი შეძრწუნებულია, მაგრამ არა გაოცებული», უკანასკნელ გვერდზე ბლორნამ წითლად ხაზგასმული მონაკვეთი წაიკითხა:

«პენსიონერი დოქტორი ჰიპერცი და ფრაუ ჰიპერცი ბლუმის ქმედებათა გამო შეძრწუნებულები ჩანდნენ, მაგრამ არა განსაკუთრებულად გაკვირვებულები. ლემგოში მიაგნო «ცაიტუნგის» რეპორტიორმა ცოლ-ქმარს თავიანთ გათხოვილ ქალიშვილთან, რომელიც იქ სანატორიუმს ხელმძღვანელობს. ანტიკური ფილოლოგიის დოქტორმა და ისტორიკოსმა ჰიპერცმა, ვისთანაც ბლუმი სამი

წელია რაც მუშაობს, გვითხრა, – საერთოდ რადიკალური პიროვნებაა, რომელმაც მოხერხებულად გაგვაცურა».

(ჰიპერცმა შემდეგ ბლორნას დაურეკა, თან იფიცებოდა, მხოლოდ ეს ვთქვიო: „თუ კატარინა რადიკალია, მაშინ ის რადიკალურად გულისხმიერია, მოწესრიგებული და ინტელიგენტური. ხოლო თუ ის მართალია, რასაც თქვენ ამბობთ, მაშინ არ მცნობია იგი. მაგრამ მე ორმოცწლიანი პედაგოგიური გამოცდილება მაქვს და იშვიათად ვცდები»).

პირველი გვერდის გაგრძელება:

«მთლიანად განადგურებულმა ბლუმის ყოფილმა ქმარმა, რომელიც «ცაიტუნგმა» გრემელსბროიხის სასულე ორკესტრის რეპეტიციის დროს მოინახულა, სახე მიაბრუნა, რათა ცრემლი დაემალა. ამხანაგობის სხვა წევრებმაც, როგორც ეს ალტბაუერ მეფელმა გვაცნობა, შეძრწუნებულებმა ზურგი აქციეს კატარინას, მისი ამპარტავნობისა და უცნაურობის გამო. პატიოსანმა მუშამ კი ალბათ დაკარგა კარნავალზე გართობის სურვილი».

ბოლოს, ბლორნასა და ტრუდეს საცურაო აუზთან, ბაღში გადაღებული ფოტო წარწერით: „რა როლს ასრულებს ამ საქმეში ქალი, რომელსაც წითელ ტრუდედ იცნობენ და მისი ქმარი, თავს რომ მემარცხენედ მიიჩნევს. მაღალანაზღაურებადი ადვოკატი, დოქტორი ბლორნა თავის მეუღლესთან, ტრუდასთან ერთად თავიანთი ფეშენებელური ვილის საცურაო აუზთან».

24

აქ, მაგალითად, ტექნიკური ტერმინი უნდა ვიხმაროთ – უკუქცევა, რასაც კინოსა და ლიტერატურაში რეტროსპექტივა ეწოდება: სანამ განადგურებული და დადარდიანებული ცოლ-ქმარი ბლორნები შაბათ საღამოს შვებულებიდან დაბრუნდებოდა. პარასკევ დილას, ფრაუ პლეცერმა და პოლიციის

მაღალჩინოსანმა თანამშრომელმა, რომელიც მსუბუქად იყო შეიარაღებული, კატარინა ისევ წაიყვანა დაკითხვაზე, ოღონდ არა თავისი ბინიდან, არამედ ფრაუ ვოლტერსჰაიმის სახლიდან, სადაც კატარინა საკუთარი მანქანით მივიდა. პოლიციელმა ქალმა იცოდა და არც დაუმალავს, რომ კატარინა სახლში კი არა, ვოლტერსჰაიმთან იქნებოდა (სამართლიანობა მოითხოვს, არ დავივიწყოთ, ცოლ-ქმარ ბლორნების მიერ გაღებული მსხვერპლი და გავიხსენოთ: შვებულების ჩაშლა, ტაქსით მგზავრობა აეროპორტისკენ. ლოდინი ნისლში. ტაქსი სადგურამდე. ფრანკფურტის მატარებელი, შემდეგ კი მიუნხენში გადაჯდომა. საძინებელ ვაგონში კარგა მაგრად ნჯღრევა. დილით სახლი და მაშინვე გაზეთ «ცაიტუნგის» მიერ ცივი წყლის გადასხმა! მოგვიანებით, ძალიან გვიან, რა თქმა უნდა, ბლორნა ინანიებს, რომ მან, კატარინას ნაცვლად, რომლის დაკითხვის შესახებაც «ცაიტუნგის» ჟურნალისტისგან შეიტყო, ჰახს არ დაურეკა. ყველას, ვინც ბლუმის მეორე დაკითხვას ესწრებოდა: მოედინგი, პლეცერი, პროკურორები დოქტორი კორტენი და ჰახი, ოქმის ჩამწერ მდივან ანა ლოკსტერის ჩათვლით, რომელსაც კატარინას სტილისტური მგრძნობიარობა ტვირთად აწვა და მაიმუნობად მიაჩნდა, – ყველას, თვალში მოხვდა კომისარ ბაიცმენეს გასხივოსნებული სახე. ბაიცმენე ოთახში, სადაც დაკითხვა მიმდინარეობდა, ხელების ფშვნეტით შემოვიდა. კატარინას მოუბოდიშა კიდეც უხეშობისთვის. არადა, ამგვარი საქციელი არა მარტო უჩვეულო გახლდათ მისი პიროვნებისთვის, არამედ სრულიად შეუფერებელიც. ის ხომ ერთი გაურანდავი კაცი იყო. მან კატარინას ბინიდან ამოღებული ნივთების სია წარმოადგინა, სადაც ჩამოთვლილი იყო:

1. პატარა, შელახული წიგნაკი, რომელშიც მხოლოდ ტელეფონის ნომრები წერია და არანაირ სამხილს არ შეიცავს. ალბათ კატარინა ამ წიგნაკს უკვე ათი წელია იყენებს. გრაფოლოგმა [გრაფოლოგია (ბერძნ.) – თეორია, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ადამიანის ხელით (ნაწერით) მისი ხასიათის გაგება; ხელწერის შესწავლა ადამიანის ხასიათის გასარკვევად. გრაფოლოგი – პირი, რომელიც გრაფოლოგიას მისდევს.], გოტენის წერილობით კვალს რომ იკვლევდა (ბუნდესვერის [ბუნდესვერი (გერმ.) – ოფიციალური სახელწოდება იყო ყოფილი

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალებისა.] დეზერტირი გოტენი ბიუროში მუშაობდა. ასე რომ, ბევრი ხელნაწერი სამხილი ჰქონდა დატოვებული), კატარინას ხელწერა სანიმუშოდ მიიჩნია. თექვსმეტი წლის გოგონას ყასაბ ჰერბერტის ტელეფონის ნომერი, ჩვიდმეტი წლისას – ექიმის, დოქტორ კლუთენის, ოცი წლისას ფენერების და შემდეგ ტრაქტირების, რესტორნების, კოლეგების ნომრები ლამაზად ჩაეწერა.

2. ანაბრების ამონაწერები. სადაც თანხის შეტანა და გამოტანა, ბლოკნოტის გვერდებზე მიეწერა. ამ მინაწერთა იდენტურობა ბლუმის ხელნაწერთან დადასტურდა. გადახდა, შეტანა – ყველაფერი ძალზე კორექტულად აღენიშნა და ეჭვს არ იწვევდა. ასევე იყო მისი ანგარიშების წიგნში, განცხადებებსა და შენიშვნებში, რომლებიც პატარა რვეულში შემონახულიყო სადაც მას შეტანილი ჰქონდა თავისი მოვალეობები ფირმა «ჰაფტექსისადმი». ამ ფირმისგან შეიტყო თავისი ბინის შესახებ, რომელსაც ერქვა «მდინარის პირას ელეგანტური სავანე». აქვე იყო მისი საკრედიტო დეკლარაციები, შეტყობინებები. თითოეული საბანკო ოპერაცია სპეციალისტმა გადაამოწმა, რომელმაც ვერსად იპოვა «დაფარული დიდი თანხა». ბაიცმენემ ძალისხმევა არ დაიშურა და გადაამოწმა მისი ფინანსური ოპერაციები, განსაკუთრებით „ბატონების ვიზიტებისას». არავითარი დარღვევა არ აღმოჩენილა! ცხადი იყო, რომ კატარინა დედას თვეში 150 მარკას უგზავნიდა, რომლითაც იგი კატარინას მამის საფლავის მოვლისათვის ფირმა «კოლტერისგან» აბონემენტს ყიდულობდა. მისი ავეჯის, ელექტრომოწყობილობების, ტანსაცმლის, საცვლების საყიდლად გაწეული ხარჯი, ბენზინის მოხმარება... ყველაფერი გადამოწმდა და საეჭვო ვერაფერი იპოვეს. ბუღალტერიის ექსპერტმა, ბაიცმენეს ოქმების დაბრუნების შემდეგ უთხრა: «მისმინეთ, თუ მას გაათავისუფლებთ და სამუშაო დასჭირდება, მაცნობეთ. ასეთებს ვეძებთ და ვერ ვპოულობთ». არც სატელეფონო ანგარიშებში ჰქონია კატარინას რაიმე უზუსტობა. თანაც, ტელეფონით თითქმის არ უსარგებლია. აღსანიშნავი იყო ისიც, რომ კატარინა ბლუმი თავის ძმას, კურტს, ყაჩაღობისთვის რომ იჯდა ციხეში, დროდადრო 15-30 მარკას უგზავნიდა ჯიბის

ფულად. საეკლესიო გადასახადს ბლუმი არ იხდიდა. იგი 1966 წელს გამოვიდა კათოლიკური ეკლესიიდან, რაც მისი ფინანსური ჩანაწერებიდან ჩანდა.

3. შემდეგი იყო პატარა უბის წიგნაკი, სხვადასხვა ჩანაწერით, ანგარიშებით და ძირითადად ოთხ დანაყოფს შეიცავდა: პირველი წარმოადგენდა ბლორნების საშინაო მეურნეობის ანგარიშებს, სურსათის, საწმენდი და სარეცხი საშუალებებისთვის გაწეული ხარჯების აღრიცხვას. აქვე გაირკვა, რომ კატარინა სარეცხს თვითონ რეცხავდა. მეორე შეიცავდა ჰიპერცების სახლის შესაბამის მონაცემებსა და ანგარიშებს. მესამე – ანგარიშებს საკუთარი თავისა და სახლისთვის და შეიძლება ითქვას, ბლუმი ბევრს არ ხარჯავდა. იყო თვეები, როცა მას მხოლოდ 30-50 მარკა ჰქონდა დახარჯული. ტელევიზორიც კი არ ჰქონდა, კინოში დადიოდა, ხანდახან შოკოლადსა და კანფეტს თუ იყიდდა... მეოთხე ნაწილში იყო შემოსავალი და გასავალი, რომლებიც ბლორნებთან განსაკუთრებულ საქმიანობას ეხებოდა და შეიცავდა ხარჯებს საყიდლების, სპეცტანსაცმლის, ქიმწმენდისა და «ფოლკსვაგენისთვის».

როცა საწვავის ანგარიშამდე მივიდა საქმე, ბაიცმენე, ყველას გასაკვირად, ძალზე თავაზიანად ჩაერია. იგი შეეკითხა კატარინას, თუ რას ნიშნავდა ბენზინზე დახარჯული თანხა, რომელსაც სპიდომეტრი უჩვენებდა და საკმაოდ დიდ ციფრს აღწევდა. დადგინდა, რომ მანძილი ბლორნის სახლამდე წინ და უკან – 6 კილომეტრია, ჰიპერცამდე და უკან – 8 კილომეტრი, ფრაუ ვოლტერსჰაიმამდე – სულ რაღაც 4 კილომეტრი. საშუალოდ, დიდსულოვნად დაიანგარიშეს და კვირის არაგეგმური სამუშაოც გაითვალისწინეს. ასევე დიდსულოვნად მანძილი 20 კილომეტრამდე გაზარდეს და როცა კვირის დღეებზე გადაანაწილეს, კიდევ 3 კილომეტრი დაამატეს. ამგვარი შეღავათების დაშვებით მიიჩნიეს, რომ კატარინას დღეში 20-21 კილომეტრი უნდა გაევლო. ადვილი მისახვედრი იყო, რომ ვოლტერსჰაიმებთან ყოველდღე არ დადიოდა, მაგრამ ამასაც არ მიაქციეს ყურადღება. საბოლოოდ დადგინდა, რომ წელიწადში 8000 კილომეტრი უნდა ჰქონოდა გავლილი. როგორც მზარეულ კლომერთან დადებული წერილობითი ხელშეკრულებიდან გახდა ცნობილი, მან კატარინა ბლუმს ორი წლის წინ ავტომანქანა მიჰყიდა, რომელსაც 56 000 კილომეტრი ჰქონდა გავლილი. თუ ამას

დავუმატებთ 2 X 800, მაშინ მანქანას 72 000 კილომეტრი უნდა ეჩვენებინა. ფაქტობრივად კი სპიდომეტრზე 102 000 კილომეტრი იყო აღნუსხული. გაირკვა, რომ კატარინა სისტემატურად დადიოდა დედის მოსანახულებლად გრემელსჰაუზში, მოგვიანებით კი კუირჰოხსაკელის სანატორიუმში. ხანდახან ძმასთანაც მიდიოდა ხოლმე ციხეში. მაგრამ მანძილი გრემელსბრიოხამდე და კუირჰოხსაკელამდე წინ და უკან უკან 50 კილომეტრს შეადგენდა, ხოლო ციხემდე 60 კილომეტრს. ხოლო თუ თვეში ერთ ვიზიტს ან დიდსულოვნად, ორს ვიგულისხმებთ (მისი ძმა წელიწად-ნახევარია რაც ციხეშია, ადრე კი დედასთან ერთად ცხოვრობდა გრემელსბროიხში), მაშინ თუ ორ წელიწადს ვიანგარიშებთ, მივიღებთ 4000-5000 კილომეტრს და აუხსნელი რჩება 25 000 კილომეტრი. სად დადიოდა ასე ხშირად? არ სურს უხეში მინიშნებები, მაგრამ ბაიცმენეს უნდა გაუგონ, თუ რატომ მოუვიდა თავში ეს შეკითხვა. შეიძლება კატარინა ვიღაცას ან ვიღაცებს ხვდებოდა ხოლმე...

მოჯადოებული და გაოცებული ისმენდა კატარინა და ყველა იქ მყოფი ამ მოსიყვარულე ხმით წარმოთქმულ ანგარიშებს. იმ დროს, როცა ბაიცმენე გამოთვლებით იყო დაკავებული, ბლუმი სულაც არ შემცბარა. გაოცებასა და მოჯადოებანარევ განწყობას შეეპყრო, რადგან როცა გამომძიებელი ლაპარაკობდა, კატარინა კი არ ცდილობდა აეხსნა იმ 25 000 კილომეტრის შესახებ, არამედ უბრალოდ იხსენებდა, თუ სად, რატომ და როდის იმგზავრა ამდენი. როდესაც დაკითხვა გაგრძელდა, ყველას გასაოცრად მისდამი უნდობლობა სადღაც გაქრა. კატარინა კი თითქოს შეშინდა. აღარც ჩაიზე უთქვამს უარი და აღარ ის დაუჟინია, გინდა თუ არა, მე გადავიხდიო. და როცა ბაიცმენე შეკითხვებსა და ანგარიშების განხილვას მორჩა, იქ მყოფთა თქმით, სამარისებრი სიჩუმე ჩამოწვა. თითქოს ყველამ იგრძნო, რომ ვიღაცამ ფაქტებზე დაყრდნობით (რომელთაც ბენზინის ანგარიშები რომ არა, ადვილად აუვლიდნენ გვერდს), ბლუმის საიდუმლოს არსებობას მიაკვლია. იმ ბლუმისა, რომლის ცხოვრებაც აქამდე ასეთი გამჭვირვალე იყო.

– დიახ! – თქვა კატარინა ბლუმმა და აქედან დაიწყო მისი აღიარების ოქმში შეტანა, – მართალია! როგორც ჩემთვის სასწრაფოდ დავიანგარიშე, თითქმის 25

კილომეტრი გამივლია დღეში. არასდროს მიფიქრია ამაზე და არც დამატებით ხარჯზე. მე უბრალოდ გავდიოდი სახლიდან. ისე, უაზროდ, უმიზნოდ. თუმცა ალბათ მაინც იყო რაღაც მიზანი. მივდიოდი იქითკენ, საითაც გული გამიწევდა. სამხრეთისკენ, კობლენცის მიმართულებით ან დასავლეთით, აახენის მხარეს, ან ქვემოთ, ნიდერჰეიმისკენ... არა, ყოველდღე არა. ვერ ვიტყვი, რა სიხშირით და რა დროს. ხშირად მაშინ გავდიოდი, როცა წვიმდა. მაგრამ რატომ, არ ვიცი. როდესაც ჰიპერცებთან არ ვიყავი წასასვლელი და კვირადღეც თავისუფალი მქონდა, უკვე ხუთ საათზე სახლში ვბრუნდებოდი, საქმეც არაფერი იყო. ყოველთვის ელზესთან ხომ არ წავიდოდი, თან მას უკვე ჰყავდა კონრადი. არც კინოთეატრში სიარულია მარტოხელა ქალისთვის უსაფრთხო. ხანდახან ეკლესიაშიც შევივლიდი, რელიგიური განწყობის გამო კი არა, იმიტომ, რომ იქ სიმშვიდეს ვგრძნობდი. მაგრამ ეკლესიაშიც გაბეზრებენ ხოლმე თავს და არა მხოლოდ მრევლი. რა თქმა უნდა, მყავდა რამდენიმე მეგობარი, მაგალითად, ვერნერ კლომერი, ვისგანაც «ფოლკსვაგენი» ვიყიდე, მისი ცოლი და კლოფტის სხვა თანამშრომლები. ხშირად უხერხული და რთულია, როცა მარტო მიდიხარ სადმე და იძულებული ხარ, უაზრო ურთიერთობები გააბა. სწორედ მაშინ ვჯდებოდი მანქანაში, ვრთავდი რადიოს და მივდიოდი. წვიმიანი სოფლის გზებს ვამჯობინებდი, ძალიან მიყვარდა ხეებით დაფარული სოფლის გზები. ხანდახან ჰოლანდიამდე ან ბელგიამდე მიმიღწევია, ყავა ან ლუდი დამილევია და უკან გამოვბრუნებულვარ. აი, მხოლოდ ახლა, როცა შემეკითხეთ, ყველაფერი ნათელი გახდა ჩემთვის. შეკითხვაზე, თუ რა სიხშირით ხდებოდა ეს, – გიპასუხებთ: ორჯერ ან სამჯერ თვეში, ხანდახან უფრო იშვიათად, ხანდახან უფრო ხშირად, ხან კი უფრო დიდხანს. ამის მიზეზი შიშიც იყო. ბევრ მარტოხელა ქალს ვიცნობ, საღამოობით ტელევიზორის წინ რომ გამოთვრებიან ხოლმე.

თბილი ღიმილი, რომლითაც ბაიცმენე კატარინას კომენტარის გარეშე უსმენდა, არ ამჟღავნებდა მის ფიქრებს. როცა კატარინას აღიარება, ერთ-ერთ მის ვერსიას დაადასტურებდა, მხოლოდ თავს აქნევდა და ხელებს იფშვნეტდა. მცირე ხნით სიჩუმე ჩამოწვა, თითქოს ყველანი გაოცებულნი და შეცბუნებულნი იყვნენ. თითქოს ბლუმმა პირველად რაღაც მეტად ინტიმურ საიდუმლოს ახადა ფარდა.

რაც შეეხება სხვა ამოღებულ საგნებს, მათ შესახებ ახსნა-განმარტებას დიდი დრო არ დასჭირვებია.

4. ფოტოალბომში მხოლოდ იმ ადამიანთა სურათები ჩაეკრათ, რომელთა იდენტიფიცრება ადვილად მოხერხდა. კატარინას მამა, რომელიც ავადმყოფურად და გაუბედურებულად გამოიყურებოდა და თავის ასაკთან შედარებით კარგა უფროსი ჩანდა; დედამისი, რომელსაც სასიკვდილო დაავადება აღმოაჩნდა; მისი ძმა; თავად კატარინა ოთხი-ხუთი წლის ასაკში, ათი წლისა – პირველ ზიარებაზე; ახალდაქორწინებული, ოცი წლის; კატარინას ქმარი; მღვდელი გრემელსბროიხიდან; მეზობლები, ნათესავები, ელზე ვოლტერსჰაიმის სხვადასხვა ფოტო; დაუდგენელი მოხუცი მამაკაცი, რომელიც ძალიან ყოჩაღად გამოიყურებოდა და შემდეგ გაირკვა, რომ ის, გასამართლებული წარმოების რევიზორი, დოქტორი ფენერნი იყო. არც ერთი ფოტო, რომელიც ბაიცმენეს ვერსიას დაამტკიცებდა.

5. კატარინა ბრეტლოხზე გამოწერილი საზღვარგარეთის პასპორტი, ქალიშვილობის გვარი ბლუმი. პასპორტთან დაკავშირებით დაისვა შეკითხვები მის მოგზაურობებზე და გაირკვა, რომ კატარინას არსადაც არ უმოგზაურია და იმ დღემდე, სანამ ავად გახდებოდა, მუდამ მუშაობდა.. ის ფენერნისა და ბლორნებისგან იღებდა შვებულების ფულს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მუშაობა არ შეუწყვეტია.

6. კანფეტების ძველ ყუთში წერილები ეწყო. თითქმის ათამდე დედამისისგან, ძმისგან, ქმრისგან, ფრაუ ვოლტერსჰაიმისგან. არც ერთი წერილი არ იწვევდა ოდნავ ეჭვსაც კი. გარდა ამისა, ყუთში იდო გერმანული ვერმახტის [ვერმახტი (გერმ.) – ფაშისტური გერმანიის შეიარაღებული ძალები. გაანადგურეს მეორე მსოფლიო ომში.] ეფრეიტორის ფორმაში გამოწყობილი მამამისის რამდენიმე ფოტო, ასევე მედოლეთა კორპუსის ფორმიანი ქმრის სურათი, კალენდრიდან ამოგლეჯილი ორიოდე ფურცელი ფრთიანი გამონათქვამებით, საკმაო რაოდენობის რეცეპტები და ერთიც ბროშურა ხერესის [ხერესი – ერთგვარი მაგარი

ღვინო (ესპანეთის ქალაქ ხერეს-დე-ლა-ფრონტერას სახელის მიხედვით).] გამოყენების შესახებ სოუსებში.

7. საქაღალდე პირადობის დამადასტურებელი მოწმობებით, დიპლომებით, განქორწინების საბუთებითა და კატარინას ბინის სანოტარო დოკუმენტებით.

8. გასაღებების სამი ასხმა, რომელიც ამასობაში გადამოწმდა. ეს იყო მისი, ბლორნებისა და ჰიპერცების სახლისა და კარადების გასაღებები.

გაირკვა და ოქმით დამტკიცდა, რომ ზემოთ ჩამოთვლილთაგან არც ერთი არ იყო საეჭვო. კატარინა ბლუმის განმარტება ბენზინის ხარჯებისა და ავტომანქანის მიერ გავლილი დამატებითი კილომეტრების შესახებ კომენტარის გარეშე მიიღეს. ზუსტად ამ მომენტში ბაიცმენემ ჩანთიდან ამოიღო ბრილიანტებით მოოჭვილი ლალის ბეჭედი და სანამ კატარინას გადასცემდა, პიჯაკის სახელოთი გაწმინდა.

– იცანით ეს ბეჭედი? – ჰკითხა ბაიცმენემ.

– დიახ, – უპასუხა კატარინამ დაუფიქრებლად.

– თქვენ გეკუთვნით?

– დიახ!

– და იცით, რა ღირს?

– ზუსტად არა. მაგრამ ბევრი არ უნდა ღირდეს...

– დიახ, – გაიმეორა ბაიცმენემ თავაზიანად და განაგრძო, – თავი რომ დაგვეზღვია და სამართლიანობა დაგვეცვა, ბეჭედის შესაფასებლად არა მხოლოდ ჩვენს სპეციალისტს, სხვა ექსპერტსაც მივმართეთ. მათ ეს ბეჭედი ათი ათას მარკად შეაფასეს. თქვენთვის ეს უცნობია? მე თქვენი მჯერა, მაგრამ უნდა ამიხსნათ, საიდან გაქვთ იგი. ქურდობაში დადანაშაულებული ყაჩაღისთვისაც კი, რომელიც მკვლელობაშიც არის ეჭვმიტანილი, ეს ბეჭედი არ არის წვრილმანი, არც ისეთი ინტიმურია, როგორც წვიმაში უაზროდ გავლილი ასობით კილომეტრი. ვისგან გაქვთ ბეჭედი, გოტენისგან თუ ბატონი სტუმრებისგან? გოტენიც ხომ არ შედიოდა იმ ბატონთა რიცხვში? და თუ არა, მაშინ ქალბატონებისგან ხომ არა? ეს

ისე, ხუმრობით... და კიდევ, სად მიემგზავრებოდით წვიმაში ათასი კილომეტრის იქით? ჩვენთვის ადვილია იმის დადგენა, თუ რომელ იუველირთან შეიძინეს ეს ბეჭედი, მოპარულია თუ ნაყიდი, მაგრამ მინდა შანსი მოგცეთ. მე თქვენ დამნაშავედ არ მიმაჩნიხართ, მხოლოდ ზედმეტად მიმნდობი და ოდნავ რომანტიკული ქალი მგონიხართ. თქვენ, ვისაც უკარებად გიცნობდნენ, ვისაც მეგობრები და ახლობლები მონაზონს ეძახდნენ, ვინც დისკოთეკაზეც კი არ დადიხართ, რადგან იქ უხერხულად გრძნობთ თავს, ქმარს კი იმიტომ დაშორდით, რომ ძალიან აბეზარი გახდა, როგორ აგვიხსნით გოტენთან ურთიერთობას. როგორც ვიცით, გოტენი მხოლოდ გუშინწინ გაიცანით და იმავე დღეს, შეიძლება ითქვას, არც აციეთ და არც აცხელეთ, თქვენს ბინაში წაიყვანეთ და ძალიან მალე, მასთან ინტიმური ურთიერთობა დაამყარეთ. რას დაარქმევდით ამას? ერთი ნახვით შეყვარებას? სიყვარულს? სინაზეს? ვერ ხედავთ ამაში რაღაც შეუსაბამოს, რაც ეჭვის გაქრობას ხელს არ უწყობს? და კიდევ გვაქვს რაღაც... – და მან ჯიბიდან დიდი თეთრი კონვერტი ამოაცურა, საიდანაც საკმაოდ ექსტრავაგანტური იისფერი, კრემისფერით მოხატული, შედარებით მომცრო კონვერტი ამოიღო, – ამ ცარიელ კონვერტს, რომელიც ბეჭედთან ერთად თქვენი ტუალეტის მაგიდის უჯრაში ვიპოვეთ, დიუსელდორფის ბეჭედი აზის, დათარიღებულია 1974 წლის 12 თებერვლით და თქვენთანაა გამოგზავნილი! ღმერთო ჩემო, – თქვა ბოლოს ბაიცმენემ, – იქნებ სხვა მეგობარიც გყავთ, რომელიც ხანდახან თქვენთან მოდიოდა და რომელთანაც დროდადრო თქვენც დადიოდიოთ, რომელიც წერილებს გწერდათ და ზოგჯერ გასაჩუქრებდათ კიდეც. გვითხარით, ეს დანაშაული სულაც არ გახლავთ. ეს თქვენს მდგომარეობას მხოლოდ მაშინ დაამძიმებს, თუ ბეჭედი გოტენს უკავშირდება...

იქ მყოფთათვის ცხადი გახდა, რომ კატარინამ ბეჭედი იცნო, მაგრამ მის ღირებულებაზე წარმოდგენა არ ჰქონდა: „ბატონების სტუმრობა» ისევ ამოტივტივდა. მას ხომ არ ეუხერხულებოდა, რომ მის სახელს ჩრდილი მიადგა, მაგრამ იქნებ იყო ვინმე სხვა, რომლის ამ საქმეში გარევა არ სურდა? იგი ამჯერად მხოლოდ მიკიბ-მოკიბული ახსნა-განმარტებით შემოიფარგლა, მაგრამ ის, რომ ბეჭედი ლუდვიგ გოტენმა მისცა, უარყო. ალბათ ხვდებოდა, რომ გოტენის

ამგვარი გაქანების თაყვანისმცემლად წარდგენა სარწმუნო არ იქნებოდა. კატარინას სიმშვიდე არ დაუკარგავს, თვინიერიც კი გახდა, როცა ოქმის შევსება დაიწყეს: „აი, რაში იყო საქმე, ფრაუ ვოლტერსჰაიმთან წვეულებაზე, მხოლოდ გოტენთან ვცეკვავდი, თითქმის ჩახუტებული. არადა, ცხოვრებაში პირველად შევხვდი, ხოლო მისი გვარი ხუთშაბათს, პოლიციაში დაკითხვისას გავიგე. უჩვეულო სინაზე ვიგრძენით ერთმანეთისადმი. ათი საათისთვის ფრაუ ვოლტერსჰაიმის ბინა დავტოვე და ლუდვიგ გოტენთან ერთად სახლში წავედი. სამკაულის წარმოშობაზე არ შემიძლია, არა, უფრო სწორად, არ მინდა რაიმე ვთქვა, რადგან ის ჩემთან არაკანონიერი გზით არ მოხვედრილა და ამიტომ თავს მოვალედ არ ვთვლი განგიმარტოთ, თუ საიდან მაქვს. რაც შეეხება კონვერტს, მის გამომგზავნს ვერ ვიხსენებ. ალბათ რომელიმე მაღაზიიდან გამოგზავნილ რაღაც ნივთთან ერთად მივიღე. მე გასტრონომიულ პროფესიულ წრეებში კარგად მიცნობენ. იმ ფაქტს, რომ დაზღვეული კონვერტით იყო გამოგზავნილი, ვერაფრით ვხსნი. მხოლოდ ის მინდა აღვნიშნო, რომ ზოგიერთ გასტრონომიულ ფირმას სანიმუშოდ უყვარს თავის გამოჩენა.

შემდეგ კატარინას ჰკითხეს, რატომ დატოვა ავტომობილი სახლში, როცა მას ასე უყვარდა მანქანის ტარება, მაინცდამაინც ტრამვაით რატომ წავიდა ფრაუ ვოლტერსჰაიმთან. კატარინამ უპასუხა, რომ არ იცოდა, რამდენ სასმელს დალევდა, და ამიტომ უფრო მისაღებად მიიჩნია უმანქანოდ წასვლა. შეკითხვაზე, ხშირად სვამდა და თვრებოდა ხოლმე თუ არა, კატარინამ უპასუხა: «არა, მე ცოტას ვსვამ და არასოდეს დავმთვრალვარ. მხოლოდ ერთხელ დავთვერი მედოლეთა ზეიმზე და ისიც ჩემი ქმრის შეგულიანებით. თანაც ანისულის ლიქიორს ვსვამდი, რომელსაც ლიმონათის გემო ჰქონდა». მოგვიანებით უთხრეს, რომ ეს საკმაოდ ძვირად ღირებული სასმელი საუკეთესო საშუალებაა დასათრობადო. როცა მას შეახსენეს, რომ მისი სიტყვები, სხვა ქალებივით, ბევრის დალევა არ მინდოდაო, ჯერ კიდევ არ ამტკიცებს იმას, რომ თავად ბევრს არ სვამდა. მისთვის ისიც ნათელი უნდა იყოს, ყველაფერი ისე გამოიყურება, თითქოს გოტენს შეუთანხმდა (ე.ი. წინასწარ იცოდა), რომ შინ გოტენის მანქანით დაბრუნდებოდა. კატარინამ უარის ნიშნად თავი გაიქნია და თქვა, ყველაფერი

ისე იყო, როგორც მოგახსენეთო. თანაც მაშინ მართალია დალევას ვაპირებდი, მაგრამ არ დამილევია.

შემდეგი დეტალები შესვენების შემდეგ უნდა გაერკვიათ: რატომ არ ჰქონდა არც შემნახველი სალაროსა და არც ჩეკების ბარათი. სადმე კიდევ ხომ არა აქვს გახსნილი ანგარიში? არა, მას არსად ჰქონია ანგარიში, გარდა შემნახველი სალაროსი. რასაც აიღებდა, სულ მცირე თანხითაც კი იგი მაღალპროცენტიან სესხს იხდიდა. საბანკო კრედიტის პროცენტები კი ხანდახან თითქმის ორჯერ უფრო მაღალია, ვიდრე შემნახველი სალაროსი. ხოლო რაც შეეხება ჩეკებს, კატარინას ჩეკებით სარგებლობა მეტად რთულად და ძვირადაც მიაჩნდა.

25

შეფერხებებს, რომელთაც დაძაბულობაც შეიძლება დავარქვათ, თავიდან ვერ ავიცილებთ, რადგან ყველა წყარო არ შეიძლება ერთი ხელის მოსმით უარვყოთ და მიმართულება შევუცვალოთ ისე, რომ მიწა მშრალი გამოჩნდეს. უსარგებლო დაძაბულობა კი თავიდან უნდა ავიცილოთ, უნდა განვმარტოთ, თუ რატომ იყვნენ იმ პარასკევ დილით როგორც ბაიცმენე, ასევე კატარინა ასე თვინიერები, მეტიც, კატარინა დამფრთხალიც კი ჩანდა. გაზეთმა «ცაიტუნგმა», რომელიც ერთმა თავაზიანმა მეზობლის ქალმა ფრაუ ვოლტერსჰაიმის კარის ქვეშ შეაცურა, ორივე ქალში სიბრაზე, წყენა, აღშფოთება, სირცხვილი და შიში გამოიწვია. ხოლო მას შემდეგ, რაც მათ გაზეთს თვალი გადაავლეს და კატარინამ ბლორნასთან დარეკა, ორივეს გაუქრა ეს შიში. ამ დროს ფრაუ პლეცერიც გამოჩნდა, რომელიც კატარინას ბინას უთვალთვალებდა და ისიც იცოდა, რომ მას ფრაუ ვოლტერსჰაიმთან იპოვიდა. ახლა, სამწუხაროდ კატარინა და ფრაუ ვოლტერსჰაიმიც დაკითხვაზე უნდა წაჰყოლოდნენ. ფრაუ პლეცერის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ გაზეთ «ცაიტუნგის» მიერ გამოწვეული

დათრგუნვა გაქრა და წინა პლანზე ღამისეულმა მოვლენამ წამოიწია, რომელმაც კატარინას ბედნიერება მიანიჭა: ლუდვიგმა დაურეკა, და თანაც იქიდან! ის ძალიან თბილად ელაპარაკებოდა და ამიტომ ქალს არაფერი უთქვამს სამწუხარო შემთხვევაზე, რადგან არ უნდოდა მომხდარის გამო ლუდვიგს დანაშაულის შეგრძნება ჰქონოდა. მათ არც სიყვარულზე უსაუბრიათ. ეს ქალმა (როცა მანქანით სახლისკენ მიდიოდნენ) მკაცრად აუკრძალა. არა, არა, კარგად არის ყველაფერი, რა თქმა უნდა, ჯობდა მასთან ყოფილიყო სამუდამოდ ან დიდი ხნით მაინც. ის კარნავალის აურზაურის შემდეგ დაისვენებს, არასოდეს იცეკვებს სხვა მამაკაცთან და არასოდეს იცეკვებს სხვა ცეკვას, გარდა ლათინურამერიკულისა, ისიც მხოლოდ მასთან. და როგორ არის იქ ლუდვიგი? ლუდვიგი ძალიან კარგადაა, თანაც ყოველმხრივ მომარაგებული, და მიუხედავად იმისა, რომ კატარინამ აუკრძალა, მაინც ეტყვის, რომ ძალიან უყვარს. ერთ დღესაც კი, ოღონდ ჯერ არ იცის, როდის (შეიძლება ამას თვეები, ერთი ან ორი წელი დასჭირდეს), აუცილებლად წაიყვანს... ტელეფონით საუბრობდნენ, ისე, როგორც სჩვევიათ მგრძნობიარე შეყვარებულებს. არც ერთი სიტყვა ინტიმურზე და განსაკუთრებით იმ ფაქტზე, რომელსაც ბაიცმენემ (ან რაც თანდათან უფრო თვალნათელი ხდება, ჰახმა) ისეთი უხეში განმარტება მოუძებნა. მხოლოდ იმას ეუბნებოდნენ ერთმანეთს, რაც ლამაზი სიყვარულით შეპყრობილებს შეუძლიათ უთხრან. საკმაოდ დიდხანს ვილაპარაკეთ, ათი წუთი, შეიძლება უფრო მეტიცო, – გაანდო კატარინამ ელზეს. შეყვარებულთა ლექსიკას რაც შეეხება, იგი ძალიან წააგავდა თანამედროვე კინოეპიზოდებს, სადაც ტელეფონით საკმაოდ ბევრს და უაზროდ ესიყვარულებიან ერთმანეთს.

ეს სატელეფონო საუბარი ლუდვიგთან არა მხოლოდ კატარინას, არამედ ბაიცმენესთვისაც დამშვიდების, თავაზიანობისა და კეთილგანწყობის მიზეზი აღმოჩნდა. მართალია ბაიცმენემ მშვენივრად იცოდა, თუ რატომ აღარ იყო კატარინა ძველებურად გაკერპებული და გაჯიუტებული, მაგრამ თავის მხრივ კატარინა ბუნებრივია, ვერ მიხვდებოდა, რომ ბაიცმენე იმავე მიზეზის გამო იყო კარგ ხასიათზე (ეს დამაფიქრებელი მოვლენა უნდა გახდეს საბაბი იმისა, რომ უფრო ხშირად ვისარგებლოთ ტელეფონით. თუმცა სატელეფონო საუბრისას,

კიდევაც რომ სიყვარულით არ ვიჩურჩულოთ, მაინც ვერ გავიგებთ, თუ ვის მიანიჭებს ეს საუბარი სიამოვნებას). ამავდროულად, ბაიცმენემ იცოდა კატარინას შიშის მიზეზიც, რადგან სხვა ანონიმური ზარის შესახებაც შეეტყო. გთხოვთ, გულწრფელი აღიარებების წყაროებს, რომელთაც ეს თავი შეიცავს, არ ჩავეძიოთ, ვიდრე სუსტი ჯებირი არ დაინგრევა, ყველა დაძაბულობა არ გაქრება, რადგან აქ მხოლოდ გუბურის გაჭედვაზეა ლაპარაკი, რომლის დილეტანტურად აგებული ჯებირი გაირღვა, წყაროები გადმოიღვარა და მდინარეს მიუერთდა.

26

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უნდა ვაღიაროთ, რომ ელზე ვოლტერსჰაიმმაც, ისევე როგორც ბლორნამ, იცოდა, რომ კანონის მიხედვით კატარინაც დამნაშავეა, გოტენს რომ ხელი შეუწყო, შეუმჩნევლად გაპარულიყო მისი სახლიდან. მოკლედ, გაქცევაში დაეხმარა და თანამზრახველიც შესაბამის სასჯელს იმსახურებს, კიდევაც რომ არაფერი იცოდეს დანაშაულის შესახებ! სანამ ფრაუ პლეცერი მათ დაკითხვაზე წაიყვანდა, კატარინას ამის შესახებ ელზე ვოლტერსჰაიმმაც უთხრა. ბლორნამაც გააფრთხილა, რომ მისი კანონსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ. არც იმის დამალვა შეიძლება, თუ რა უპასუხა ფრაუ ვოლტერსჰაიმს კატარინამ: «ღმერთო ჩემო, სწორედ ახლა უნდა მოსულიყო, გვექორწინა, შვილები გამეჩინა მისგან... არა, წლების განმავლობაშიც რომ მომიწიოს ლოდინმა, დაველოდები, სანამ ციხიდან გამოვა».

27

კატარინა ბლუმის დაკითხვა დასრულდა, მას ისღა დარჩენოდა, ფრაუ ვოლტერსჰაიმთან გამართული წვეულების სხვა სტუმართა დაკითხვაშიც მიეღო მონაწილეობა. ერთი საკითხი კიდევ დარჩა გასარკვევი, რაც ბაიცმენეს შეთქმულების ვერსიისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო: როგორ მოხვდა ლუდვიგ გოტენი ფრაუ ვოლტერსჰაიმის წვეულებაზე?

კატარინას უფლება მისცეს სახლში ან სადმე სხვა მისთვის სასურველ ადგილას წასულიყო, მაგრამ მან არ ისურვა. ჩემი სახლი შემზიზღდაო, – თქვა და დასძინა, – მირჩევნია საკანში დაველოდო, სანამ ფრაუ ვოლტერსჰაიმს დაჰკითხავენ და მას გავყვეო. ამ სიტყვებთან ერთად, კატარინამ «ცაიტუნგის» ორივე ნომერი ამოიღო და იკითხა, შეუძლია თუ არა სახელმწიფოს (ასეთი სიტყვები იხმარა) რაიმე იღონოს, ამ ჭუჭყისგან დაიცვას და მისი შელახული ღირსება აღადგინოს. ძალიან კარგად მესმის, რომ ჩემი დაკითხვა სამართლიანია, მაგრამ ვერ გამიგია, რა საჭირო იყო ჩემს ცხოვრებისეულ წვრილმანებში ჩაძიებაო. ვერც ის გამიგია, დაკითხვის წვრილმანები, მაგალითად, ჩემთან ბატონების სტუმრობის შესახებ და ეს ტყუილებით სავსე და შეკოწიწებული აღიარებები როგორ შეიტყო «ცაიტუნგმაო». აქ პროკურორი ჰახი ჩაერია და განმარტა:

– გოტენის საქმისადმი დიდმა საზოგადოებრივმა ინტერესმა გვაიძულა მიგვეცა ინფორმაცია პრესისთვის: ჯერ პრესკონფერენცია არ ყოფილა, მაგრამ მას თავიდან ვერ ავიცილებთ, იმ მღელევარებისა და შიშის გამო, რომელიც შენი ხელშეწყობით გოტენის გაქცევამ გამოიწვია. საერთოდ კი, გოტენთან ნაცნობობის გამო ლამის გმირი გახდი და ამით საზოგადოებრივი ინტერესის საგნად იქეცი. ჩვენებათა ოქმებში შეტანილი, საზიანო და მაკომპრომეტირებელი დეტალები შეგიძლია გაასაჩივრო. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გაირკვა, რომ გამოძიება ხარვეზებით მიმდინარეობდა, გარწმუნებ, უცნობის წინააღმდეგ საჩივარს შეიტან და შენი უფლებების დაცვას შეძლებ...

შემდეგ კატარინა საკანში წაიყვანეს. სიმკაცრე არ გამოუჩენიათ. პოლიციის თანაშემწე, შეუიარაღებელი ახალგაზრდა ქალი მიუჩინეს, რენატე ცუნდახი, რომელმაც მოგვიანებით განმარტა, რომ კატარინა ბლუმს მთელი იმ ორსაათ-

ნახევრის განმავლობაში სხვა არაფერი უკეთებია, გარდა «ცაიტუნგის» ორი ნომრის კითხვისა. ჩაისა და პურზე უარი თქვა არა აგრესიულად, არამედ თითქმის თავაზიანი, აპათიური ფორმით. ყურადღებას არ აქცევდა საუბარს მოდაზე, ფილმებზე, ცეკვებზე, რომელსაც რენატე ცუნდახი წამოიწყებდა ხოლმე, რათა კატარინა გაერთო.

რენატემ ბლუმის დახმარება გადაწყვიტა, რომელიც მთლიანად «ცაიტუნგის» კითხვაში ჩაფლულიყო. მან დაცვა კოლეგა ჰუფტენს გადააბარა, თვითონ კი სხვა გაზეთების მოსატანად წავიდა, სადაც კატარინას დაკითხვასა და დაკავებაზე უფრო ზუსტი ინფორმაციები იყო აღწერილი. მესამე-მეოთხე გვერდზე მოკლე ცნობებში მას იხსენიებდნენ როგორც ვინმე კატარინა ბ-ს, შინამოსამსახურეს. მაგალითად, «უმშაუმ» [«უმშაუ» (გერმ.) – «მიმომხილველი», გერმანიაში იმდროისათვის გამომავალი პერიოდული ორგანო.] მხოლოდ ათსტრიქონიანი შეტყობინება გამოაქვეყნა, რა თქმა უნდა, ფოტოს გარეშე, სადაც უდანაშაულო პირის შემთხვევით აყვანაზე იუწყებოდნენ. ყოველივე ამან (გაზეთის თხუთმეტი ამონარიდი დაუდეს წინ) ვერ დაამშვიდა კატარინა, მან მხოლოდ ეს თქვა: «ვინ კითხულობს ახლა ამას? ყველა, ვისაც ვიცნობ, გაზეთ «ცაიტუნგს» კითხულობს».

28

იმის გასარკვევად, თუ როგორ მოხვდა გოტენი ფრაუ ვოლტერსჰაიმის წვეულებაზე, ჯერ თავად ფრაუ ვოლტერსჰაიმი დაჰკითხეს. პირველი წუთიდანვე ნათელი გახდა, რომ ფრაუ ვოლტერსჰაიმი გაერთიანებული კომისიისადმი, რომელიც მის დაკითხვას აწარმოებდა, აგრესიულად, ყოველ შემთხვევაში, კატარინაზე ბევრად უფრო აგრესიულად იყო განწყობილი. მან განაცხადა, რომ 1930 წელს იყო დაბადებული, ე.ი. 44 წლის გახლდათ, გაუთხოვარი, პროფესიით მეწარმე, უდიპლომო. სანამ საქმეზე გადავიდოდა, ისე ცივად და მშრალად გამოთქვამდა თავის მოსაზრებას, უმჯობესი იყო, ყვირილი

და ლანძღვა დაეწყო. იგი აღშფოთებული იყო «ცაიტუნგის» აღნიშნული პუბლიკაციებით კატარინას შესახებ. აგრეთვე იმ ფაქტით, რომ დაკითხვის მიერ მოძიებული დეტალები ასეთ პრესას ჩაუვარდა ხელთ. ცხადია, უნდა გამოეძიებინათ, რა როლი მიუძღოდა კატარინას დამნაშავის გაქცევაში, მაგრამ მას ერთი კითხვა აწუხებდა, თუ ვინ აგებდა პასუხს „ახალგაზრდა სიცოცხლის განადგურებაზე». ის კატარინას დაბადებიდან იცნობს. გუშინ კი ცხადად შეამჩია მისი დათრგუნვილობა და დაბნეულობა. ფსიქოლოგი არ არის, მაგრამ ის ფაქტი, რომ კატარინამ საკუთარი ბინისადმი ინტერესი დაკარგა, რომელიც ასე ძვირფასი იყო მისთვის და მის შესაძენად ამდენი იშრომა, მას საგანგაშოდ მიაჩნია.

ძნელი იყო, ვოლტერსჰაიმის საყვედურებით სავსე სიტყვათა ნაკადის შეჩერება. ბაიცმენესაც გაუჭირდა, მხოლოდ მაშინ მოახერხა სიტყვის ჩამატება, როცა ჰკითხა, გოტენი წვეულებაზე რატომ დაპატიჟეო. ქალმა უპასუხა, მისი სახელიც კი არ გამეგო. მეტიც, იგი არც გამცნობია. მხოლოდ ის ვიცოდი, რომ იმ ავადსახსენებელ საღამოს, 19:30 საათზე ჰერტა შოიმელთან ერთად მოვიდა, რომელსაც მეგობარი გოგონა კლაუდია შტერნი ახლდა. კლაუდია, თავის მხრივ, შეიხის ტანსაცმელში გამოწყობილ ყმაწვილთან ერთად ესტუმრა. ახალგაზრდას კარლი ერქვა და ძალზე უცნაურად იქცეოდა. გოტენთან შეთანხმებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება, არც მანამდე მსმენია მისი სახელი. მე ხომ ყველაფერი ვიცი კატარინას ცხოვრების შესახებ, პატარა დეტალებიც კი. როცა მას კატარინას აღიარება გააცნეს ავტომანქანით მისი უცნაური მოგზაურობების შესახებ, გამოტყდა, რომ აღნიშნულზე არაფერი იცოდა და ამით დასრულდა კიდეც მისი დაკითხვა. ერთადერთი, რისი დამატებაც შეძლო, ეს იყო, – რაც მართალია, მართალია, საკმაოდ უღირსი ამბავია და თუ უღირსობა ვახსენე, კატარინა კი არა, ის ბატონები ვიგულისხმეო. კატარინას რომ ნება დაერთო, რაც ვიცი, ყველაფერს ვიტყოდი. ეს კი გამორიცხულია. კატარინა იმ ბატონთან არასოდეს წასულა მანქანით. დიახ, ეს ბატონი არსებობს და თუ არ სურს მეტის თქმა მასზე, იმიტომ, რომ არ უნდა მისი უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება. კატარინას როლი კი ორივე შემთხვევაში, გოტენისა და ბატონების მიმართაც კეთილშობილურია. კატარინა ყოველთვის ბეჯითი, მოწესრიგებული, ოდნავ მორიდებული,

ბავშვობაში ღვთისმოსავიც კი იყო, მაგრამ დედამისის უღირსი საქციელის გამო შეიცვალა. დედამისი გრემელსბროიხის ეკლესიაში დამლაგებლად მუშაობდა და ერთხელ გამოიჭირეს კიდეც, დიაკვანთან ერთად მესისთვის განკუთვნილ ღვინოს რომ სვამდა, რაც შემდეგ ორგიაში გადაიზარდა. კიდევ ერთი შემთხვევა იყო, კატარინას მღვდელი გაეარშიყა... ისიც უნდა ითქვას, რომ კატარინას დედა უნებისყოფო, მეტიც, ალკოჰოლისადმი მიდრეკილი ქალი იყო. მამამისიც ბუზღუნა, ავადმყოფი კაცი იყო, რომელიც ომიდან ხეიბარი დაბრუნდა, ხელიდან წასული ძმა კი ციხეში ზის. მისი უბედური ქორწინების ამბავიც გეცოდინებათ... კატარინა ადრეც გავაფრთხილე, თავი შორს დაეჭირა ბრეტლოხისგან. ბოდიშს იხდის ამ გამოთქმისთვის, იგი ერთი ღვთისპირისგან გავარდნილი ნაძირალაა, რომელსაც საჯარო და საეკლესიო დაწესებულებებში, ორივეგან წესიერ კაცად მოაქვს თავი. გარდა ამისა, საზიზღარი ჩამშვებია. ფრაუ ვოლტერსჰაიმს კატარინას განქორწინება საკუთარი სახლის საშინელი ატმოსფეროდან გაქცევის მცდელობად მიაჩნია. კატარინამ სწორედ ამ გარემოდან თავის დასაღწევად დაარღვია ეს უაზრო ქორწინება, რის შემდეგაც საკმაო წარმატებას მიაღწია. მას მაღალი პროფესიული კვალიფიკაცია გააჩნია. ფრაუ ვოლტერსჰაიმს შეუძლია თუ საჭირო გახდა (იგი ხელოსანთა პალატის საგამოცდო კომისიის წევრია), ეს ფაქტი როგორც სიტყვიერად, ასევე წერილობით დაადასტუროს. სტუმართა მიღების ფორმის თანამედროვე განვითარებით, რომელსაც ახლა ორგანიზებულ სასადილოსაც უწოდებენ, მაღლდება ისეთი ქალების შანსი, როგორიც კატარინა ბლუმია, რომელსაც მშვენიერი ორგანიზატორული, ეკონომიკური და კიდევ, ესთეტიკური განათლება აქვს. ახლა კი, თუ ვერ მოხერხდება მისი შერიგება «ცაიტუნგთან», კატარინა ინტერესს დაკარგავს როგორც თავისი ბინის, ასევე პროფესიისადმი. ჩვენების ამ ნაწილში ფრაუ ვოლტერსჰაიმს შეახსენეს, რომ პოლიციისა და პროკურატურის საქმე არ არის ჟურნალისტიკის ზოგიერთი უმართებულო ფორმის კანონით დასჯა. პრესის თავისუფლების უმიზეზო უგულებელყოფა დაუშვებელია. დარწმუნებული იყავით, საჩივარს კანონის შესაბამისად განიხილავენ და დარღვევა აღიკვეთება, ანონიმური ინფორმაციის წყაროს, უცნობის ჩვენებას მსვლელობას არ მისცემენ. ახალგაზრდა პროკურორმა, დოქტორმა კორტენმა შემართებით დაიწყო პრესის თავისუფლებისა და

ინფორმაციის გასაიდუმლოების დაცვა და დამაჯერებლად აღნიშნა, რომ თუ ცუდ საზოგადოებაში არ ტრიალებ, მაშინ არც პრესას ექნება მიზეზი უხამსი დეტალების გამოსაქვეყნებლადო.

ყველაფერმა ამან, – გოტენისა და ავადსახსენებელი შეიხის ტანსაცმელში გამოწყობილი კარლის გამოჩენამ დააფიქრათ საზოგადოების გულგრილობაზე. ყოველივე კი პროკურორ კორტენისთვის გაუგებარი იყო, ამიტომაც გადაწყვიტა, ვოლტერსჰაიმის ბინაში მყოფი ორივე ახალგაზრდა ქალისგან ხელჩასაჭიდი ჩვენებები მიეღო. მას კი, ფრაუ ვოლტერსჰაიმს, უსაყვედურა, რომ სტუმრების არჩევანში დიდი ალღო არ გამოუჩენია. ფრაუ ვოლტერსჰაიმმა უპასუხა, ახალგაზრდა მამაკაცებისგან ჭკუის დარიგებას ვერ მივიღებო და აგრეთვე აცნობა, რომ ორივე ახალგაზრდა ქალი მეგობრებთან ერთად დაპატიჟა და რომ მას სულაც არ ანაღვლებდა, თუ ვის მოიყვანდნენ მისი სტუმრები. ამიტომ არ მოუთხოვია მათთვის პირადობისა და მართვის მოწმობების წარდგენა. მას მიუთითეს, რომ აქ ასაკს არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა, ხოლო პროკურორის, დოქტორ კორტენის პოზიციას კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ყველასთვის ნათელია, სერიოზულ, რთულ, მეტიც, ურთულეს შემთხვევას იძიებენ, – ძალადობრივ დანაშაულს, რომელშიც, როგორც დამტკიცებულია, გოტენია გარეული. ფრაუ ვოლტერსჰაიმმა, უნდა მიანდოს სახელმწიფოს წარმომადგენლებს იმის გარკვევა, რომელ დეტალებსა და ჩვენებებს მიიჩნევენ საჭიროდ. როცა, კიდევ ერთხელ შეეკითხნენ, იყო თუ არა გოტენი იმ ბატონებიდან ერთ-ერთი, ვოლტერსჰაიმმა თქვა, არა, ეს ნამდვილად გამორიცხულიაო. შემდეგ კითხვაზე, ნანახი ჰყავდა თუ არა ის ბატონები, იძულებული იყო უარი ეთქვა და განემარტა, რომ არა მხოლოდ ბატონებს არ იცნობდა, არამედ ისეთ მნიშვნელოვან ინტიმურ დეტალებზეც კი, როგორიც იყო ავტომანქანით უჩვეულო გასეირნებები, არაფერი იცოდა. მისი დაკითხვა არადამაკმაყოფილებლად შეფასდა და დროებით შეკითხვებისგან გაათავისუფლეს. სანამ გაბრაზებული ოთახს დატოვებდა, მოითხოვა ოქმში შეეტანათ, რომ შეიხის სამოსში გამოწყობილი კარლი გოტენზე არანაკლებ

საეჭვოდ გამოიყურებოდა. ყოველ შემთხვევაში, იგი ტუალეტში გამუდმებით ელაპარაკებოდა საკუთარ თავს, შემდეგ კი უკვალოდ გაქრაო.

29

რადგან დამტკიცდა, რომ წვეულებაზე გოტენი ჩვიდმეტი წლის გამყიდველმა გოგონამ, ჰერტა შოიმელმა მოიყვანა, მომდევნო ის დაჰკითხეს. გოგონა ძალზე შეშინებული ჩანდა, ირწმუნებოდა, რომ არასდროს ჰქონია პოლიციასთან საქმე, მაგრამ შემდეგ საკმაოდ დამაჯერებლად მოჰყვა, თუ როგორ გაიცნო გოტენი. – მე ვცხოვრობ, – თქვა მან, – ერთოთახიან ბინაში, მეგობარ გოგონასთან, შოკოლადის ფაბრიკის მუშა, კლაუდია შტერნთან ერთად. წარმოშობით ორივე კუირ-ოფტერსბროიხიდან ვართ. ორივესთან, როგორც კატარინასთან, ისე ფრაუ ვოლტერსჰაიმთან შორეული ნათესაობა გვაკავშირებს (მიუხედავად იმისა, რომ შოიმელს ეს ნათესაობა უფრო დეტალურად სურდა აეხსნა და ბებიასაც გადასწვდა, რომელიც მის ბებიას ბიძაშვილად თუ ძმისშვილად ერგებოდა, ნათესაობის უფრო დეტალური აღწერა შეაწყვეტინეს. დაასკვნეს, რომ შორეული ნათესაობა სრულიად საკმარისი იყო (ჩვენ კი ფრაუ ვოლტერსჰაიმს დეიდას დავუძახებთ და კატარინას – დისშვილს). იმ საღამოს, ოთხშაბათს, 1974 წლის 20 თებერვალს, კლაუდიას და მე დიდი თავსატეხი გაგვიჩნდა. დეიდა ელზეს დავპირდით, რომ წვეულებაზე მეგობარ ბიჭებს მივიყვანდით, რადგან ცეკვისას პარტნიორები არ ჰყოფნიდათ, მაგრამ ჩემს მეგობარ ყმაწვილს, რომელიც ახლა ბუნდესვერში მსახურობს, ზუსტად რომ ვთქვა, მესანგრეთა ნაწილში, შინაპატიმრობა მიუსაჯეს და მიუხედავად იმისა, რომ შევთავაზე გაპარულიყო, ვერ დავითანხმე, რადგან უკვე ბევრჯერ გაიქცა და დისციპლინარული სასჯელის ეშინოდა. კლაუდიას მეგობარი კი უკვე შუადღისთვის ისე გამომთვრალიყო, რომ საწოლში დავტოვეთ. გადავწყვიტეთ, კაფე «პოლკტში» წავსულიყავით, რათა

ვინმე მაგარი ბიჭი გამოგვეჭირა, რომელიც დეიდა ელზესთან არ შეგვარცხვენდა. კაფეში საკარნავალო სეზონის გამო ყოველთვის რაღაც ხდება. იქ ხშირად წვეულებამდეც იკრიბებიან და წვეულების შემდეგაც და ბუნებრივია, ბევრ ახალგაზრდა მამაკაცს შეხვდები. კაფე «პოლკტში» ოთხშაბათ საღამოს მშვენიერი განწყობა სუფევდა. იქ ახალგაზრდა მამაკაცმა (რომლის შესახებაც მხოლოდ ახლა გავიგე, რომ ლუდვიგ გოტენი ჰქვია და ძებნილია) საცეკვაოდ გამიწვია. უკვე მეორე ცეკვისას ვკითხე, ხომ არ ისურვებდა ჩემთან ერთად წვეულებაზე წამოსვლას. იმწამსვე სიამოვნებით დამთანხმდა და მითხრა, რომ ის აქ შემთხვევით იმყოფებოდა, ღამის გასათევი არსად ჰქონდა და არ იცოდა, საღამო სად გაეტარებინა. როცა გოტენს შევუთანხმდი, კლაუდია, ჩვენთან ახლოს, შეიხის სამოსში გამოწყობილ მამაკაცთან ცეკვავდა და ალბათ ჩვენს საუბარს ყური მოჰკრეს, რადგან «შეიხი», რომელზედაც შემდეგ გავიგე, რომ კარლი ჰქვია, კლაუდიას მაშინვე შეფარვით შეეკითხა, ჩემთვისაც ხომ არ მოიძებნებაო იმ წვეულებაზე ადგილი, მარტო ვარ და არ ვიცი, ეს საღამო სად გავატაროო. ამით ჩვენ მიზანს მივაღწიეთ. ცოტა ხნის შემდეგ კი ლუდვიგის, ჰერ გოტენს ვგულისხმობ, მანქანით დეიდა ელზესთან გავემგზავრეთ. იგი «პორშეთი» იყო, რომელიც მოუხერხებელია ოთხი კაცისთვის, მაგრამ შორი გზა არ გვქონდა გასავლელი. შეკითხვაზე, იცოდა თუ არა ბლუმმა, რომ ჩვენ კაფე «პოლკტში» ვინმეს გამოსაჭერად ვიყავით, გიპასუხებთ, რომ – დიახ, იცოდა. კატარინას დილით დავურეკე ბლორნასთან, სადაც იგი მუშაობს და ვუთხარი, რომ მე და კლაუდია იძულებული ვიქნებით მარტო მივიდეთ, თუ ვინმეს კაფე «პოლკტში» ვერ გამოვიჭერთ-მეთქი. იგი ამის წინააღმდეგი იყო, რადგანაც მიიჩნევდა, რომ ზედმეტად მიმნდობები და თავქარიანები ვიყავით. კატარინა ხანდახან ძალიან სასაცილოა ამგვარ რამეებში. ამიტომაც გამიკვირდა, როცა მან გოტენი თავის ბადეში გაახვია და მთელი საღამო მასთან ისე ცეკვავდა, თითქოს საუკუნეა, ერთმანეთს იცნობენო...

30

ჰერტა შოიმელის ეს ჩვენება მისმა მეგობარმა გოგონამ თითქმის სიტყვა-სიტყვით დაადასტურა. მხოლოდ ერთადერთ, უმნიშვნელო პუნქტში იყო წინააღმდეგობა. მან თქვა, – ორჯერ კი არა, სამჯერ ვიცეკვე შეიხად გადაცმულ კარლთან, უფრო ადრე გამიწვია საცეკვაოდ, ვიდრე ჰერტა – გოტენმაო. კლაუდიაც გაკვირვებული ჩანდა, თუ რა უცებ მიენდო ეს უკარებად ცნობილი კატარინა გოტენს. დიახ, კატარინა იმ საღამოს წარმოუდგენლად მიმნდობი გახდა.

31

წვეულების კიდევ სამი მონაწილე უნდა დაეკითხათ: 56 წლის ქსოვილებით მოვაჭრე, ფრაუ ვოლტერსჰაიმის მეგობარი კონრად ბაიტერსი და 36 და 42 წლის ორი სახელმწიფო მოხელე, ცოლ-ქმარი ჰედვიგ და გეორგ პლოტენები. საღამოს მსვლელობა იმ მომენტიდან, როცა კატარინა ბლუმი და ჰერტა შოიმელი ლუდვიგ გოტენთან, ხოლო კლაუდია შტერმი შეიხის სამოსში გამოწყობილ კარლთან ერთად შემოვიდნენ, სამივემ ერთნაირად აღწერეს. მშვენიერი საღამო გამოვიდა, ცეკვავდნენ, ლაყბობდნენ, კარლი ბევრს ხუმრობდა და ყველას ამხიარულებდა. ხელის შემშლელი, თუ შეიძლება ასე ითქვას, რადგან ორივეს ეს ნამდვილად ასე არ აღუქვამთ, – თქვა გეორგ პლოტენმა, – იყო კატარინას სრული დატყვევება გოტენის მიერ. ამან საღამოს გულწრფელი, თითქმის საზეიმო განწყობა შესძინა, რაც კარნავალს არ უხდებოდა. მეც, – დასძინა ჰედვიგ პლოტენმა, – კატარინასა და ლუდვიგის წასვლის შემდეგ, როცა სამზარეულოში გავედი, შევამჩნიე, რომ შეიხისსამოსიანი კარლი თავის თავს ესაუბრებოდა. ამის შემდეგ კი იგი მალე, თითქმის გამოუმშვიდობებლად წავიდა.

32

კატარინა ბლუმმა, რომელიც კიდევ ერთხელ დაჰკითხეს, დაადასტურა სატელეფონო საუბარი ჰერტა შოიმელთან, მაგრამ ისევე, როგორც ადრე, ახლაც უარყოფდა გოტენთან შეთანხმებას. დოქტორი კორტენი ფიქრობდა, რომ ალბათ კატარინას ჰერტა შოიმელთან ტელეფონით საუბრის შემდეგ გოტენმა დაურეკა და მანაც ძალიან დახვეწილად, გოტენი კაფე «პოლკტში» გაგზავნა, რათა შემდეგ, ჰერტას წყალობით, თითქოს შემთხვევით, ვოლტერსჰაიმთან შეხვედროდა. ეს ხომ ადვილი იყო, რადგან შოიმელი საკმაოდ გადაპრანჭული თვალში საცემი ქერა გოგონაა. ამასობაში კატარინა ბლუმი თავს აქნევდა. იქვე იჯდა და «ცაიტუნგის» ორივე ნომერი ხელში ჩაებღუჯა. შემდეგ იგი გაუშვეს და მანაც ფრაუ ვოლტერსჰაიმთან და მის მეგობარ კონრად ბაიტერსთან ერთად დატოვა პოლიციის განყოფილება.

33

როცა ხელმოწერილ დაკითხვის ოქმებს კიდევ ერთხელ გადასამოწმებლად გადაურბინეს, რაიმე ხომ არ გამოგვრჩაო, დოქტორმა კორტენმა იკითხა, ხომ არ აჯობებდა სერიოზულად გამოვიძიოთ, თუ ვინ იყო შეიხის სამოსში გადაცმული კარლი და გამოვარკვიოთ მისი საკმაოდ საჩოთირო როლი ამ საქმეშიო. მიკვირს, რომ არანაირი ღონისძიება არ ჩატარებულა კარლის პიროვნების დასადგენად. ბოლოს და ბოლოს, ხომ ცხადია, რომ კარლი და გოტენი ერთდროულად გამოჩნდნენ კაფე «პოლკტში», შეიძლება ერთადაც მივიდნენ და ისიც მაშინვე შეუერთდა კომპანიას. მისი როლი მთელ ამ ამბავში საკმაოდ ბუნდოვანია, შეიძლება ითქვას, დამაეჭვებელიც. ამ მომენტში, ყველა იქ მყოფს სიცილი აუტყდა, თავად მორიდებულმა პოლიციის თანამშრომელმა ქალმა პლეცერმაც

მისცა თავს გაღიმების უფლება. მდივანმა ქალმა ანა ლოკსტერმა კი ისე ვულგარულად გადაიკისკისა, რომ ბაიცმენესგან შენიშვნაც დაიმსახურა. ხოლო როდესაც დოქტორი კორტენი მაინც ვერ მიხვდა, თუ რაში იყო საქმე, ბოლოს მას ყველაფერი მისმა კოლეგამ პირდაპირ განუმარტა, – ნუთუ კორტენმა ვერ გაიგო ან დაავიწყდა, რომ კომისარმა ბაიცმენემ საგანგებოდ გვერდი აუარა შეიხს და არ უხსენებია? ხომ ცხადია, რომ ის ერთ-ერთი «ჩვენი ბიჭია» და ტუალეტში მხოლოდ იმიტომ საუბრობდა მარტო, რომ მინირაციით ცნობები მიეწოდებინა თავისი კოლეგებისთვის გოტენისა და ბლუმის ადგილსამყოფლის შესახებ. ალბათ გეცოდინებათ, კოლეგავ, რომ ამ საკარნავალო სეზონისთვის, შეიხის კოსტიუმი საუკეთესო ნიღაბია, რადგან ჩვენთან, გასაგები მიზეზების გამო, შეიხის კოსტიუმები უფრო უყვართ, ვიდრე კოვბოების. «რა თქმა უნდა, – ჩაურთო ბაიცმენემ, – ჩვენთვის თავიდანვე იყო ნათელი, რომ კარნავალი ბანდიტებს ხელს უწყობს დამალვაში და ჩვენთვის ძნელია ცხელ კვალზე მიყოლა. გოტენის ყოველ ნაბიჯს ხომ ექვს საათ-ნახევარი ვადევნებდით თვალყურს. გოტენმა, რომელიც, სხვათა შორის, გადაცმული არ ყოფილა, „ფოლკსვაგენის» ავტობუსში გაათია ღამე ავტოსადგომზე, საიდანაც შემდეგ «პორშე» მოიპარა. მოგვიანებით ერთ-ერთ კაფეში ისაუზმა, იქვე, ტუალეტში გაიპარსა და გადაიცვა. ჩვენ იგი ერთი წუთითაც არ დაგვიკარგავს მხედველობის არიდან. ათობით შეიხის, კოვბოისა და ესპანელთა ტანსაცმელში გადაცმული თანამშრომელი მინირაციით მის კვალს მიჰყვებოდა, რათა მისი კონტაქტების შესახებ მაშინვე ეცნობებინა. ყველა ის პირი, რომელთაც კაფე «პოლკტში» მისვლამდე შეხვდა, შევისწავლეთ და გადავამოწმეთ. ესენი არიან:

იმ ბარის ოფიციანტი, სადაც გოტენმა ლუდი დალია;

ორი გოგონა, მასთან რესტორანში რომ ცეკვავდა;

მამაკაცი მატისის ქუჩაზე მდებარე გაზეთების ჯიხურიდან;

გამყიდველი, სიგარეტების მაღაზიიდან:

ბანკის მოხელე, ვისთანაც შვიდასი ამერიკული დოლარი გადაცვალა, რომელიც სავარაუდოდ, ბანკიდან ჰქონდა მოპარული.

ლუდვიგ გოტენის კონტაქტი ყველა ამ პირთან ცხადია, შემთხვევითი იყო და არა წინასწარ დაგეგმილი. მათთან საუბრისას არანაირი კოდი არ აღმოჩენილა. იმას კი ვერავინ დამაჯერებს, რომ კატარინა ბლუმსაც შემთხვევით შეხვდა. მისი საუბარი შოიმელთან, ნაჩქარევი თანხმობა ვოლტერსჰაიმთან წასვლაზე, აგრეთვე, ის დაწყევლილი სითბო და სინაზე, ბლუმი და გოტენი ცეკვის პირველი წუთებიდან რომ ამჟღავნებდნენ ერთმანეთისადმი, მათი შეხმატკბილება, ყველაფერი ეს შემთხვევითობას გამორიცხავს. ყველაზე მეტად კი ის ფაქტი, რომ, როგორც ცნობილია, გამოუმშვიდობებლად წავიდნენ. ცხადია, ბლუმმა გოტენს თავისი სახლის სათადარიგო გასასვლელი უჩვენა, რითიც მან ჩვენი მუშაკებისგან თავის დაღწევა შეძლო... ჩვენ, საცხოვრებელი კორპუსისთვის, ე. ი. შენობისათვის, სადაც კატარინა ცხოვრობს, წუთითაც არ შეგვიწყვეტია თვალთვალი. რა თქმა უნდა, ერთ-ნახევარ კილომეტრიანი პერიმეტრის მთლიანად გაკონტროლება შეუძლებელია. მან ალბათ იცოდა, სად იყო სათადარიგო გასასვლელი და გოტენსაც ასწავლა. გარდა ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ გოტენსაც, ისევე როგორც სხვებს, ბინა გამოუძებნა და ახლა ზუსტად იცის, თუ სად იმყოფება. მის დამსაქმებელთა ბინებიც უკვე გავჩხრიკეთ, საძიებო სამუშაოები ჩავატარეთ მის მშობლიურ სოფელში. ფრაუ ვოლტერსჰაიმის ბინა, სანამ იგი აქ დაკითხვაზე იმყოფებოდა, კიდევ ერთხელ საფუძვლიანად შევისწავლეთ. სამწუხაროდ, ვერაფერს მივაკვლიეთ! მიმაჩნია, რომ უმჯობესია, ბლუმს თავისუფლად გადაადგილების საშუალება მივცეთ, რათა რაიმე შეცდომა დაუშვას და ალბათ კვალი უცნობი ბატონების ყბადაღებულ ვიზიტებთან და შესაბამისად, დამნაშავის ბინასთან მიგვიყვანს. დარწმუნებული ვარ, სათადარიგო გასასვლელი საცხოვრებელი კორპუსიდან ფრაუ ბლორნას უკავშირდება. მას, ვისაც ჩვენ „წითელ ტრუდედ» ვიცნობთ და ვინც ამ კორპუსის მშენებლობაში მონაწილეობდა.

34

აქ უნდა ვაღიაროთ, რომ პირველი უკუქმედება თითქმის დასრულდა. ყველაფერი იღონეს ზედმეტი დაძაბულობის თავიდან ასაცილებლად, მაგრამ მთლიანად გვერდი მაინც ვერ აუარეს. ახლა პარასკევიდან კვლავ შაბათზე გადავიდეთ. ბევრი რამე გახდება ნათელი, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კატარინა ბლუმმა ბოლო დაკითხვის შემდეგ, პარასკევ საღამოს, ელზე ვოლტერსჰაიმს და კონრად ბაიტერსს სთხოვა, იქნებ გამოგყვეთ და თუ შეიძლება შინ ამაცილეთო. კატარინა გამოტყდა, რომ ეშინია, რადგან ხუთშაბათ საღამოს, გოტენის დარეკვის შემდეგ (უცნობიც კი დარწმუნდებოდა მის უდანაშაულობაში, რადგან, დაკითხვის გარეშეც, დაუფარავად ლაპარაკობდა გოტენის ზარის შესახებ!) საშინელი და საზარელი რამ მოხდა: დაასრულა თუ არა გოტენთან საუბარი და ყურმილი დადო, ისევ დარეკა ტელეფონმა. კატარინამ იმ იმედით, ისევ გოტენიაო, მაშინვე აიღო ყურმილი, მაგრამ ეს გოტენი არ იყო. ეს იყო მამაკაცის შემზარავი, ჩუმი ხმა, რომელმაც ყურში გაცვეთილი უხამსობები ჩასჩურჩულა. ყველაზე ცუდი კი ის იყო, რომ მამაკაცმა მის მეზობლად გაასაღა თავი და უთხრა, თუ მას ასე სჭირდება სინაზე, შორს ნუ ეძებს, მას შეუძლია ყველანაირი სინაზე თავად შესთავაზოს. დიახ, ამ ზარმა აიძულა იმ ღამით ელზესთან გაქცეულიყო. მას ეშინოდა ტელეფონის ზარის. და რადგან მხოლოდ გოტენს ჰქონდა მისი ტელეფონის ნომერი, მან კი არ იცოდა, თვითონ სად უნდა დაერეკა მისთვის, ამიტომ სულ მისი დარეკვის მოლოდინში იყო, მაგრამ ამავე დროს ტელეფონი შიშის ზარს სცემდა.

ვერ დავმალავთ, რომ ბლუმს კიდევ ელოდა უსიამოვნებები. აი, ერთ-ერთიც: საფოსტო ყუთი, რომელსაც აქამდე ყურადღებას არ აქცევდა და მხოლოდ ჩვევის გამო თუ შეიხედავდა ხოლმე, ხშირად ცარიელი ხვდებოდა. ახლა კი, პარასკევ დილით ეს წესი დაირღვა, და ყუთში წერილები აღმოჩნდა, მაგრამ ამას კატარინასთვის სიხარული არ მოუტანია. მიუხედავად იმისა, რომ ელზემ და ბაიტერსმა ყველაფერი გააკეთეს, რომ კატარინასთვის წერილებისა და ჟურნალების ამოღება დაესწროთ, არ გამოუვიდათ. კატარინამ, იმ იმედით, რომ სიცოცხლის რაიმე მინიშნება მიეღო საყვარელი ლუდვიგისგან, ოცამდე კონვერტი გადაათვალიერა. ვერაფერი ნახა და გაზეთებთან ერთად ჩანთაში ჩაუძახა.

ლიფტით მგზავრობაც ტანჯვად ექცათ. ორი უცნობი მოხვდა მათთან. ერთ-ერთი (რაც უნდა დაუჯერებლად მოგეჩვენოთ) შეიხის სამოსში გადაცმული, ცდილობდა დისტანცია დაეცვა და კუთხეში მიყუჟულიყო. საბედნიეროდ, მეოთხე სართულზე გამოვიდა, მეორე (მართალია გიჟურად ჟღერს, მაგრამ ასეა!) ანდალუზიელის კოსტიუმში გამოწყობილი ნიღბიანი ქალი გახლდათ. მას უკან არ დაუხევია, პირიქით, კატარინას წინ გაჩერდა და მიაშტერდა თავხედი, გამჭოლი, თაფლისფერი თვალებით და უცერემონიოდ აათვალიერ-ჩაათვალიერა. უცნობმა ქალმა მერვე სართულის ზემოთ გააგრძელა გზა.

გაფრთხილებთ: უარესიც იქნება! როგორც კი ბინაში აღმოჩნდნენ, სადაც კატარინა ბაიტერსთან და ფრაუ ვოლტერსჰაიმთან ხელჩაკიდებული შევიდა. ტელეფონმა დარეკა. მაშინ ფრაუ ვოლტერსჰაიმმა კატარინას მიასწრო, ყურმილი აიღო და სახეზე შეძრწუნება აღებეჭდა, მთლად გაფითრდა, წაიჩურჩულა: «შე წყეულო, ღორო! შე წყეულო, დამპალო ღორო!». მერე ჭკუა იხმარა და ყურმილი გადადო.

სულ ტყუილად ცდილობდა ფრაუ ვოლტერსჰაიმი და ბაიტერსი კატარინასთვის ფოსტა გამოეგლიჯათ ხელიდან. მას ჩანთიდან ამოღებული წერილები და ჟურნალები «ცაიტუნგის» ორივე გამოცემასთან ერთად მაგრად ჩაებღუჯა. მოითხოვა, წერილები წაეკითხათ. არაფერი გაეწყობოდა. კატარინამ ყველაფერი წაიკითხა! ყველა გზავნილი ანონიმური არ ყოფილა. ყველაზე დიდი წერილი ერთ-ერთი ე. წ. ინტიმური საგნების გამავრცელებელი დაწესებულებიდან გამოეგზავნათ და ყველანაირ სექსუალურ მომსახურებას სთავაზობდა მომხმარებელს. ეს კი კატარინასთვის უკვე საკმარისზე მეტი იყო. კიდევ უარესი, ვიღაცას ხელით მიეწერა, – ჩვენთან ნაღდი სინაზეებიაო. მოკლედ ან უფრო სწორად, სტატისტიკა რომ დავიცვათ, მომდევნო თვრამეტი წერილიდან შვიდი ანონიმური იყო. ხელით ნაწერი, უხეში სექსუალური შეთავაზებებით. თითქმის ყველა იყენებდა გამოთქმას «კომუნისტის კახპას», მომდევნო ოთხი ღია ბარათი შეიცავდა პოლიტიკურ ლანძღვას სექსუალურ შეთავაზებათა გარეშე. ადრესატს „წითელ ვირთხასა» და „კრემლის დეიდას» უწოდებდნენ.

ხუთ წერილში ამონარიდი ჩაედოთ გაზეთ «ცაიტუნგიდან», რომელთათვისაც გვერდზე წითელი მელნით შემდეგი კომენტარი გაეკეთებინათ: „რაც სტალინმა ვერ შეძლო, ვერც შენ შეძლებ». რელიგიურ გაფრთხილებებს შეიცავდა ორი წერილი, რომელთა თანდართულ ტრაქტატებზეც ეწერა: «შენ ისევ უნდა ისწავლო ლოცვა, საცოდავო, დაკარგულო ბავშვო»; «მუხლებზე დაიჩოქე და დანაშაული აღიარე, ღმერთს ჯერ არ მიუტოვებიხარ».

მოულოდნელად ელზე ვოლტერსჰაიმმა კარის ქვეშ შემოცურებული ფურცელი შენიშნა, რომლის დამალვაც საბედნიეროდ მოასწრო: «რატომ არ იყენებ ჩემს სინაზეთა კატალოგს? აუცილებლად ძალით უნდა გაგაბედნიერო? მეზობელი, რომელიც შენ ასე უგულოდ მოიცილე თავიდან, გაფრთხილებ». ეს ნაბეჭდი წერილი იყო. ელზე ვოლტერსჰაიმმა ისიც ივარაუდა, რომ მისი ავტორი განათლებული, შესაძლოა, მედიცინის მუშაკიც კი ყოფილიყო.

35

მართლაც უცნაურია, რომ არც ფრაუ ვოლტერსჰაიმს და არც კონრადს არც გაჰკვირვებიათ და არც ხელი შეუშლიათ, როცა დაინახეს თუ როგორ მივიდა კატარინა მომცრო ბართან, გამოიღო ხერესის, ვისკის, წითელი ღვინისა და ალუბლის სიროფის გახსნილი თუ გაუხსნელი ბოთლები და აუღელვებლად შეახეთქა გაწკრიალებულ კედლებს. იგივე გამეორდა სამზარეულოში. ოღონდ კედლებს ამჯერად კეტჩუპი, სალათის სოუსი, ძმარი და ცხარე საწებელი შეასკდა. კატარინას არც სააბაზანო დავიწყებია. ერთმანეთის მიყოლებით ეხეთქებოდა კედელს კრემების ფლაკონები, ტუბები, ფხვნილები... საძინებელში ამ ყოველივეს სუნამოს ფლაკონიც მიემატა.

როგორც აღვნიშნეთ, ამ ყველაფერს აუღელვებლად აკეთებდა, თითქოს აუცილებლად ასე უნდა მომხდარიყო. იმდენად დამაჯერებლად მოქმედებდა, ელზესა და კონრადს ხელის შეშლა არც უცდიათ.

36

არსებობდა რამდენიმე მოსაზრება იმის დასადგენად, თუ როდის ჩაიფიქრა კატარინამ მკვლელობა, როგორ დაგეგმა და შემდგომ – რა ვითარებაში განახორციელა იგი. ზოგი ფიქრობდა, რომ საამისოდ ხუთშაბათის «ცაიტუნგის» სტატიაც საკმარისი იქნებოდა, სხვებს პარასკევი მიაჩნდათ გადამწყვეტად, რადგან ამ დღეს ეს გაზეთი კიდევ უფრო გააქტიურდა. აღმოჩნდა, რომ ვერც კატარინას მეზობლები მოიქცნენ კარგად. ვეღარც საკუთარ ბინას იტანდა, აქამდე რომ ძალიან უყვარდა. აღსანიშნავია ანონიმური სატელეფონო ზარი და ასევე ანონიმური წერილები. შემდეგ, კვლავ შაბათის «ცაიტუნგი», ამას დაემატა (აქ წინ გავუსწრებთ მოვლენებს!) «ზონტაგს ცაიტუნგიც». ცოტა ხომ არ გადავაჭარბეთ? მოკლედ, კატარინამ ჩაიფიქრა და განახორციელა მკვლელობა და მორჩა! რა თქმა უნდა, მასში რაღაცამ იფეთქა. განსაკუთრებით წყობიდან გამოიყვანა ყოფილი ქმრის აღიარებამ. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი ის, რის შესახებაც შემდეგ დაიბეჭდა «ზონტაგს ცაიტუნგში», თუ მიზეზი არა, ყოველ შემთხვევაში, დამამშვიდებლად მაინც ვერ იმოქმედებდა.

37

სანამ «საპირისპირო დარტყმას» დავასრულებთ და ისევ შაბათს დავუბრუნდებით, უნდა მოგითხროთ, თუ რა მოხდა პარასკევ საღამოსა და გვიან ღამით ფრაუ ვოლტერსჰაიმთან. საერთოდ: მოულოდნელი სიმშვიდე. მართლაც გასაოცარი იყო კონრად ბაიტერსის მშვიდი მცდელობა, გაერთო კატარინა,

საცეკვაო მუსიკა ჩაერთო და თანაც სამხრეთამერიკული, შეექმნა მისთვის სადღესასწაულო განწყობა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ვერაფრით მოწყვიტა კატარინა «ცაიტუნგსა» და ანონიმურ წერილებს. ასევე ვერ მოახერხა, დაერწმუნებინა გულთან ახლოს არ მიეტანა ყველაფერი. დრო ხომ ყველაფერს კურნავს, მას უარესიც უნახავს ცხოვრებაში. ბავშვობის დროინდელი სიღარიბე, ქორწინება ნაძირალა ბრეტლოხზე, დედის ლოთობა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, გაუბედურებული დედა, რომელსაც კურტის გზიდან აცდენაშიც მიუძღვის ბრალი. ნუთუ არ სჯერა კატარინას, რომ გოტენი სამშვიდობოს არის, ან იქნებ მისი დანაპირების არ სჯერა, თან წაგიყვანო?! ახლა ხომ კარნავალია და ფინანსურადაც კარგად აქვს საქმე? ნუთუ არ არსებობენ კეთილი ადამიანები, როგორებიც ბლორნები და ჰიპერცები არიან... ხომ არსებობდა მხიარული და მომხიბლავი პატივმოყვარე კოხტაპრუწაც. ისევ ერიდებოდნენ მისი ბატონი სტუმრის სახელით მოხსენიებას. აქ კატარინა შეეპასუხა და მიუთითა იდიოტურ ბეჭედსა და გადაპრანჭულ კონვერტზე, რომლებმაც ასეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა, გოტენი კი ეჭვქვეშ დააყენა. საიდან უნდა სცოდნოდა, რომ ის კოხტაპრუწა ამდენს გაიღებდა პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად? არა, არა, არც ისე სასაცილოა ყოველივე ეს. როდესაც იმაზე ჩამოვარდა საუბარი, თუ რის გაკეთებას აპირებდა, ახალი ბინა უნდა ეძებნა თუ არა და სად, კატარინამ სიტყვა ბანზე ააგდო და თქვა, – ერთადერთი, რის გაკეთებასაც ვაპირებ, საკარნავალო კოსტიუმიაო. მან სთხოვა ელზეს, საწოლის გადასაფარებელი მათხოვე, რადგან ახლა მოდაში არიან შეიხები, გადავწყვიტე შაბათსა და კვირას ბედუინის ქალივით ჩაცმული გავიდე სახლიდანო.

არადა, რა მოხდა მაინც ასეთი საშინელი? თუ კარგად დავფიქრდებით, თითქმის არაფერი ან უფრო სწორად: მხოლოდ პოზიტიური, რადგან კატარინა შეხვდა მას, «ვისაც უნდა შეხვედროდა» და მასთან სასიყვარული ღამეც გაატარა. მართალია, დაჰკითხეს, მაგრამ სიმართლე რომ ვთქვათ, გოტენი მართლა არ იყო უცოდველი კრავი. შემდეგ კი საშინელი პასკვილი გაზეთ «ცაიტუნგში», რამდენიმე ღორის ანონიმური ზარი, ანონიმური წერილები... მაგრამ ცხოვრება ხომ გრძელდება?

ლუდვიგი ხომ ჩინებულად, და რაც მხოლოდ შენ იცი, კომფორტულადაა მოწყობილი? ახლა საკარნავალო კოსტიუმი და დიდი ჩადრი შევკეროთ, რაც ძალიან მოგიხდება. კარგი იქნება ამგვარი სამოსით გასეირნება. ბოლოს ბუნებაც თავისას მოითხოვს: დავიძინებთ, გავიღვიძებთ, ისევ დავიძინებთ და გავიღვიძებთ... ხომ არ გადაგვეკრა ერთი-ორი ჭიქა? რატომაც არა! იდილიური სურათი: ახალგაზრდა ქალს საკერავზე ჩასძინებია, ხანში შესული ქალი და მამაკაცი ფრთხილად ევლებიან თავს. დიახ, ბუნებამ მართლაც თავისი გაიტანა და იმგვარადაც, რომ კატარინა სამის ნახევარზე ტელეფონის ზარმა ვერ გააღვიძა. ფხიზლად მყოფ ფრაუ ვოლტერსჰაიმს ხელები აუკანკალდა. ვერ გადაეწყვიტა, აეღო თუ არა ყურმილი. რომ აეღო, ვაითუ ისევ ის აბეზარი ანონიმი იყოს, რამდენიმე საათის წინ რომ დარეკა? რა თქმა უნდა, ის იქნება! დილის სამის ნახევარია, ძალზე შეუფერებელი დროა ტელეფონის ზარისთვის. იგი უცებ დასწვდა ყურმილს, რომელიც ბაიტერსმა ხელიდან გამოჰგლიჯა და ციმციმ უკან დააგდო. ისევ ზარი! აიღო, ისევ გაითიშა. რა თქმა უნდა, არიან ისეთებიც, ვისაც სურს ნერვები მოუშალონ კატარინას. განსაკუთრებით მას შემდეგ რაც «ცაიტუნგიდან» შეიტყვეს, რა ჰქვია და სად ცხოვრობს. ამიტომაც უმჯობესია, ყურმილი გვერდზე გადადოს.

და მაშინ გადაწყვიტეს, კატარინა «ცაიტუნგის» შაბათის ნომრიდან მაინც დაეცვათ, მაგრამ მან მაინც მოასწრო რამდენიმე სტრიქონის წაკითხვა. როდესაც ელზე ვოლტერსჰაიმს ჩაეძინა და კონრად ბაიტერსი სააბაზანოში წვერს იპარსავდა, ქუჩაში გაიპარა, სადაც დილის ბინდბუნდში «ცაიტუნგის» ავტომატური ყუთი გატეხა და გაზეთიც ამოიღო, რაღა თქმა უნდა, უფასოდ. ამით ასე ვთქვათ, კატარინამ «ბოროტად გამოიყენა» გაზეთ «ცაიტუნგის» ნდობა. ამწუთას შეიძლება „საპირისპირო დარტყმა» დასრულებულად გამოვაცხადოთ, რადგან ეს ზუსტად ის მომენტია, ზუსტად შაბათი დილა, როცა ბლორნები განადგურებულები და გაღიზიანებულები გადმოვიდნენ ღამის მატარებლიდან და «ცაიტუნგის» იმავე ნომერს წააწყდნენ, რომელიც შემდეგ სახლში წაიკითხეს.

38

ბლორნებს უსიამოვნო შაბათი გაუთენდათ, უაღრესად უსიამოვნო. და არა მხოლოდ უძილო და ნერვიული, მატარებლის საძინებელ ვაგონში გატარებული უსიამოვნო ღამის გამო, არც მხოლოდ გაზეთ «ცაიტუნგის» გამო, რომელზედაც ფრაუ ბლორნამ ისიც თქვა, ეს გაზეთი ჭირივითაა, თუ ვინმეს მიზანში ამოიღებს, ქვეყნის დასალიერამდე სდევსო. უსიამოვნო არა მხოლოდ გავლენიანი მეგობრებისა და კოლეგების საყვედურით სავსე ტელეგრამების გამო, არც ჰახის გამო, რომელსაც ძალიან ადრე (თუ დავფიქრდებით, ასევე შეიძლება ითქვას, ძალიან გვიან, რადგან ჯობდა ხუთშაბათს დაერეკა), გამთენიისას დაურეკა. არც მთლად თავაზიანი ჩანდა. თქვა, რომ კატარინას დაკითხვა დასრულდა. და რომ ცხადია, ახლა მას დაცვა სჭირდება, მაგრამ არა სასამართლოს დაცვა. თქვენ დაგავიწყდათ, რომ საკარნავალო დღეებია და პროკურორებსაც აქვთ უფლება საზეიმო საღამოს დაისვენონ და გაერთონ კიდეც....

ერთმანეთს უკვე 24 წელია, რაც იცნობენ, ერთად სწავლობდნენ უნივერსიტეტში, ერთად იზუთხავდნენ, მღეროდნენ, დახეტიალობდნენ, ამიტომ ერთმანეთის უქეიფობას დიდად არ განიცდიან, მით უფრო, თუ თვითონაც ვერ არიან გუნებაზე. შემდეგ იყო პროკურორის თხოვნა, დანარჩენი პირისპირ განეხილათ და არა ტელეფონით.

დიახ, ძალიან მძიმე დღეშია, ზოგი რამ მეტად გაურკვეველია, მაგრამ მორჩა, შეიძლება მოგვიანებით შეხვდნენ და პირისპირ ისაუბრონ. სად? ქალაქში სეირნობისას ჯობია მუზეუმის ფოიეში შეხვდნენ, ხუთის ნახევარზე. მაგრამ მანამდე ტელეფონით არ უნდა დაუკავშირდეს კატარინას, არც ფრაუ ვოლტერსჰაიმს, არც ცოლ-ქმარ ჰიპერცებს.

ბლორნას ისიც უხერხულობას უქმნიდა, რომ ასე სწრაფად მოაკლდათ კატარინას მზრუნველი ხელი. სულ რაღაც ნახევარ საათში თითქოს ყველაფერი ქაოსმა მოიცვა, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ყავა მოადუღეს, გახუხული პური,

კარაქი და თაფლი გამოიღეს და ბარგი კუთხეში მოათავსეს. ტრუდე ისედაც გაღიზიანებული იყო, თან ქმარი გამუდმებით ეკითხებოდა, თუ რა კავშირს ხედავდა იგი კატარინას სკანდალურ ამბავსა და ალოიზ შტროიბლედერს ან სულაც ლუდვიგს შორის. არაფერი უპასუხა მისთვის დამახასიათებელი ვითომდა გულუბრყვილო, ირონიული მანერით, რომელიც ბლორნას ჩვეულებრივ მოსწონდა, ამ დილით კი მხოლოდ ნერვებს უშლიდა. ქალმა მხოლოდ მიუთითა «ცაიტუნგის» ნომრებზე და ჰკითხა, რომელიმე სიტყვა ხომ არ მოგხვდა განსაკუთრებით თვალშიო და როდესაც ქმარმა კითხვითვე უპასუხა რომელიო, აღარაფერი უთქვამს, მისი გონებამახვილობის შემოწმება გადაწყვიტა. ბლორნა კი ისევ და ისევ კითხულობდა «ამ ნაგავს, ამ დაწყევლილ ნაგავს, რომელიც კაცს ქვეყნის დასალიერამდე ფეხდაფეხ სდევს». გაფანტულად კითხულობდა, რადგან სიბრაზე თავისი ასე დამახინჯებული აღიარებისა და „წითელი ტრუდეს» გამო, ხელს უშლიდა. კითხულობდა, სანამ ფარ-ხმალი არ დაყარა. ბოლოს, ღონემიხდილმა დახმარება ტრუდეს სთხოვა. იგი ისე გამოიყვანა წყობიდან ამ ყველაფერმა, რომ თავს ვეღარ ერეოდა. თანაც ის ხომ მხოლოდ რამდენიმე წელია, რაც სამოქალაქო სამართალში მუშაობს და არა სისხლის სამართლის, რაზეც ქალმა ცივად უპასუხა: «სამწუხაროდ». შემდეგ კი მოწყალება გაიღო და უთხრა, – ნუთუ არაფერს გეუბნება ეს «ბატონების ვიზიტები»? არ გახსენდება, რომ მე ისინი ტელეგრამასთან დავაკავშირე? კარგად დააკვირდი ფოტოებს, ამ გოტინგზე თუ გოტენზე, მიუხედავად ჩაცმულობისა, განა ვინმე შეძლებდა ეთქვა, რომ იგი ერთ-ერთია იმ ბატონთაგან? ასეთ რამეს ცნობისმოყვარე, მაბეზღარა მეზობლების ენაზე, ჯერ კიდევ მამაკაცების ვიზიტები ჰქვია. მე გიწინასწარმეტყველებ, რომ ჩვენც ერთ საათში ბატონების ვიზიტი გვექნება... კონფლიქტსაც გიწინასწარმეტყველებ და ალბათ, ძველი მეგობრობის დასასრულსაც. წყენას შენი წითელი ტრუდესგან და უფრო მეტ წყენას კატარინასგან, რომელსაც ორი – სიცოცხლისათვის საშიში თვისება აქვს: ერთგულება და სიამაყე. ის არასოდეს, არასოდეს არ გამოტყდება, რომ იმ ყმაწვილს გზა აჩვენა, რომელიც ჩვენ, კატარინამ და მე ერთად შევისწავლეთ. მშვიდად, ძვირფასო, მშვიდად: ვერავინ გაიგებს, სინამდვილეში რომ მე ვარ დამნაშავე იმაში, რომ გოტენმა შეუმჩნევლად შეძლო გაქრობა. ახლავე ყველაფერს აგიხსნი. ალბათ არ გახსოვს, ჩვენს

საძინებელში ეკიდა «მდინარის პირას ელეგანტური სავანის» გათბობა-კანალიზაციისა და სავენტილაციო გაყვანილობათა გეგმა. იქ გათბობის გაყვანილობები წითლად, სავენტილაციო – ცისფრად, კაბელები – მწვანედ, კანალიზაცია კი ყვითლად იყო დახაზული. ეს გეგმა ძალიან მოეწონა კატარინას. ის ხომ ძალზე მოწესრიგებული, გაწონასწორებული, თითქმის გენიალურად გეგმაზომიერი ქალია. დიდხანს იდგა ხოლმე ნახაზის წინ და მეკითხებოდა, ამ «აბსტრაქტული ნახატის» (ასე შეარქვა მან ჩემს გეგმას) ხაზების დანიშნულებასა და კავშირებზე. ჰოდა, გადავწყვიტე მისთვის ასლი მეშოვა. ახლა თავისუფლად ამოვისუნთქე, რადგან ეს არ გამიკეთებია. წარმოიდგინე, რა მოხდებოდა, მასთან რომ გეგმის ასლი ეპოვათ. მაშინ შეთქმულების თეორიას ასეთი სახე ექნებოდა: წითელი ტრუდე – ბანდიტები, კატარინა – ბატონების ვიზიტები. ასეთი გეგმა, რა თქმა უნდა, ყველა სხვისი ქონებისა და სითბოს მიმთვისებლისთვის იდეალური სახელმძღვანელო იქნებოდა. მნიშვნელობა არა აქვს, საიდუმლო გვირაბში შესვლას დააპირებდნენ თუ გამოსვლას. თვითონვე ავუხსენი კატარინას, რა სიმაღლე ჰქონდა გზას, მილების დაზიანებისას და კაბელების რღვევისას სად შეიძლებოდა გამართული, სად მოხრილი სიარული. ასე, მხოლოდ ასე შეეძლო ამ საყვარელ ახალგაზრდა ჯენტლმენს, რომლის სინაზეზე კატარინას ახლა მხოლოდ ოცნება შეუძლია, პოლიციას დასხლტომოდა. და თუ ის მართლა ბანკებს ტეხავს, ამ სისტემაში იოლად გაერკვეოდა. შეიძლება კატარინასთან ბატონებიც ასე შედიოდნენ და გამოდიოდნენ. ეს თანამედროვე საცხოვრებელი კორპუსები სულ სხვაგვარი დაცვის მეთოდებს საჭიროებენ, ვიდრე ძველი გასაქირავებელი ბინები. შენ პოლიციას და პროკურატურას უნდა მიანიშნო, რომ მათი დაცვა დარაჯობს მთავარ შესასვლელებს, ფოიესა და ლიფტს, მაგრამ კიდევ არის სატვირთო ლიფტი, რომელსაც სარდაფში ჩავყავართ. იქ ას მეტრამდე საძრომიალო მაინც იქნება, თუ არხის სახურავს სადმე იპოვიან, შენი საქმე წასულია. დამიჯერე, ახლა მხოლოდ ლოცვა თუ გვიშველის. ფრაზებს, «ცაიტუნგი» ან შტროიბლედერი ვერანაირად ვერ გამოიყენებს, მას სჭირდება პირდაპირი და შეუვალი მანიპულირება დაკითხვებითა და ჩვენებებით და ეს მას უფრო აშინებს, ვიდრე მთავრული შრიფტით აწყობილი სათაურები. ეს არის ვინმე მოდის მჟავე სახე. მოდი მისი კანონიერი ცოლია, ვისთანაც ოთხი კანონიერი შვილიც ჰყავს. ნუთუ

ვერ შეამჩნიე, როგორი „ყმაწვილური გატაცებით» ცეკვავდა კატარინასთან, თითქმის თავდავიწყებით – და უნდა ვთქვა, მართლა მშვენივრად. და მერე როგორ ისწრაფოდა გაეცილებინა სახლში და რა გულდაწყვეტილი ჩანდა, როცა კატარინამ მანქანა შეიძინა? ის, რაც მას ყველაზე მეტად სჭირდებოდა, რისკენაც გული მიუწევდა, კატარინას სიყვარული იყო. დიახ, კატარინა – მშვენიერი ქალი, დინჯი და მაინც, როგორც თქვენ ამბობთ, სიყვარულისთვის შექმნილი. სერიოზული, ასე ახალგაზრდა და ასე ლამაზი. თვითონ კი მგონი არც იცის, რომ ასე თავბრუდამხვევია. გამოტყდი, შენი გულიც ხომ არ დაუტყვევებია, ოდნავ მაინც?

დიახ, დიახ, კატარინამ შეძლო მისი გულის მოჯადოება. მან აღიარა, აღიარა ისიც, რომ ეს მოწონებაზე გაცილებით მეტი, ბევრად მეტი იყო. ტრუდემ ხომ იცის, რომ მხოლოდ მამაკაცებს არ დაატყდებათ ხოლმე თავს სურვილი, ვინმეს ხელი ჩასჭიდონ და უფრო შორსაც შეტოპონ... მაგრამ კატარინასთან ასე არ ყოფილა! ისეთი რაღაც ხდებოდა მათ შორის, რაც არასდროს მისცემდა უფლებას, ერთ-ერთი სტუმარი ბატონი გამხდარიყო. უფრო სწორად, ეცადა მაინც. აქამდე არ მისულა საქმე და ტრუდემ ხომ იცის, რომ ეს მისთვის ანგარიშგასაწევად კი არ ხდებოდა, არამედ კატარინასადმი პატივისცემის, თითქმის მოწიწების გამო. მეტიც, სიყვარულით აღსავსე მოწიწებისა, დასწყევლოს უფალმა, მისი სიწმინდის გამო... და ეს სიწმინდეზე მეტიც იყო, რისთვისაც სახელი ვერ დაურქმევია. ეს ალბათ აუხსნელი რიდია კატარინასადმი. ის ხომ კატარინაზე თხუთმეტი წლით უფროსია და იცის ღმერთმა, ამ ცხოვრებაში რაღაცას მიაღწია. ხომ ხედავდა, თუ როგორ მოაწესრიგა კატარინამ თავისი გაუბედურებული ცხოვრება, ორგანიზებულად წარმართა და მოაწესრიგა. ამან უფლება არ მისცა ჩარეულიყო, ეშინოდა, მისი ცხოვრება არ დაენგრია. კატარინა ხომ ასე მგრძნობიარეა, დიახ, ასე საშინლად მგრძნობიარე! და თუ გამოირკვევა, რომ ალოიზი მართლა ერთ-ერთი სტუმარია ბატონთაგან, უხეშად რომ ვთქვათ, ცხვირ-პირს გაუნგრევს. დიახ, მას უნდა დაეხმაროს, კატარინა არ არის ამ მაქინაციებისთვის, ამ დაკითხვებისთვის შექმნილი. მაგრამ ვაითუ, უკვე გვიანაა! იგი ვალდებულია, ვალდებულია კატარინა დღის განმავლობაში იპოვოს...

ამ დროს მისი მჭევრმეტყველება შეწყდა, რადგან ტრუდემ უმაგალითო სიმშვიდით განაცხადა: «სტუმარი ბატონი უკვე აქ არის».

39

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბლორნას ცხვირ-პირი არ გაუნგრევია შტროიბლედერისთვის, რომელიც დაქირავებული, ბრწყინვალე მანქანით მოგრიალდა. ამ მომენტის აღწერისას შეძლებისდაგვარად, თავიდან უნდა ავიცილოთ სისხლიანი სცენები, და თუ ფიზიკურ ძალადობაზე თხრობას გვერდს მაინც ვერ ავუვლით, მინიმუმამდე მაინც დავიყვანოთ. ამას მოითხოვს თხრობის მსვლელობა. შტროიბლედერის სტუმრობას სიმშვიდე არ მოჰყოლია, პირიქით, კიდევ მეტი დაძაბულობა შემოიტანა, რადგან ტრუდემ თავი ვერ შეიკავა და ისე, რომ კოვზით ყავის მორევა არ შეუწყვეტია, მიესალმა:

– სალამი სტუმარ ბატონს!

– მგონი, – ჩაილაპარაკა ბლორნამ, – ტრუდემ ისევ მიზანში გაარტყა!

– დიახ! – დაეთანხმა შტროიბლედერი და დასძინა, – ოღონდ საკითხავია, რამდენად ტაქტიანად.

აქვე გავიხსენოთ, რომ კარგა ხნის წინ ურთიერთობა ფრაუ ბლორნასა და შტროიბლედერს შორის საშინლად დაიძაბა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც შტროიბლედერმა ტრუდეს შეცდენა თუ არა, მასთან სერიოზული ფლირტის გაბმა დააპირა. ქალმა კი მისთვის ჩვეული მანერით, მშრალად მიანიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მას თავი ქალების გულთამპყრობლად მოაქვს, მართლა ასეთი როდია. ყოველ შემთხვევაში მისთვის არაფერს წარმოადგენს...

ეს ყველაფერი ბლორნამაც მშვენივრად იცოდა და ამიტომაც მეგობარი კაბინეტში წაიყვანა და ცოლს სთხოვა, მარტო დაეტოვებინა. რათა ამასობაში (როდისღა?! – იკითხა გაოცებულმა ფრაუ ბლორნამ) ყველაფერი ეღონა კატარინას მოსაძებნად.

40

რატომ ეჩვენება ბლორნას საკუთარი სამუშაო ოთახი ასეთი აუტანელი, არეულ-დარეული და ჭუჭყიანი, მიუხედავად იმისა, რომ მტვრის ნასახიც არსად ჩანს და ყველაფერი თავის ადგილზეა? რატომაა ასეთი აუტანელი წითელი ტყავის სავარძელი, სადაც ამდენი კარგი საქმე მოუგვარებია და ბევრი სასიამოვნო საუბარიც ჰქონია, სადაც ასე მოხერხებულად შეიძლება იჯდე და მუსიკას უსმინო? რატომ გამოიყურება წიგნის თაროები ასე გულისამრევად და კედელზე დაკიდებული შაგალის [შაგალი, მარკ (1887-1985) – ფრანგი ფერმწერი და გრაფიკოსი.] მიერ ხელმოწერილი ნახატიც კი ეჭვს იწვევს, თითქოს თავად ავტორის მიერ იყოს გაყალბებული? რა დააშავეს ამ ჩვეულებრივმა, უბრალო ან სულაც ძვირფასმა ნივთებმა... ამ საფერფლემ, სანთებელამ, ვისკის ბოთლმა? რა ხდის ამ უჟმურ დღეს არანაკლებ უჟმური ღამის შემდეგ ასე გაუსაძლისად? რატომ მოქმედებს დაძაბულობა ძველ მეგობრებს შორის ასე დამთრგუნველად? ისე, რომ თითქოს გარშემო სიბრაზის ნაპერწკლებიც კი ცვივა... რა შეიძლება ჰქონდეს კაცს ღია ყვითელი, თანამედროვე, უახლესი მხატვრობის ნიმუშებით მორთული კედლების საწინააღმდეგო?

– დიახ, დიახ! – დაიწყო ალოიზ შტროიბლედერმა, – აქ იმის სათქმელად მოვედი, რომ შენი დახმარება აღარ მჭირდება. შენ კვლავ ვერ მოთოკე ნერვები და ნისლიან აეროპორტში მოთმინება დაკარგე. ერთი საათის შემდეგ კი ნისლმა უკვე გადაიარა. რა შესაძლებლობა დაკარგეთ! მაშინ 18:30 წუთზე უკვე აქ იქნებოდით. თქვენ კიდევ შეგეძლოთ, თუ დაფიქრდებოდით, მიუნხენის აეროპორტში დაგერეკათ და გაგეგოთ, რომ კლიმატური ხელის შემშლელი პირობები აღარ

არსებობდა. მოდი, ცუდად დანიშნული ბანქოს ქაღალდით არ ვითამაშოთ, და სიმართლე ვთქვათ, ნისლი კიდევაც რომ არ ყოფილიყო და თვითმფრინავიც თავის დროზე გაფრენილიყო, მაინც დააგვიანებდით, რადგან გსურდათ თქვენი ჩამოსვლისთვის დაკითხვა თითქმის დამთავრებული ყოფილიყო და არაფრის შეცვლა აღარ შეგძლებოდათ.

– «ცაიტუნგს» ვერაფრით გავუწევ წინააღმდეგობას... – განმარტა ბლორნამ.

– «ცაიტუნგი» არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს! ეს ასეა, მაგრამ არსებობს კიდევ სხვა გაზეთებიც. მე ყველანაირ სათაურს შევეგუები, იმას კი ვერა, რომელიც ბანდიტებთან დამაკავშირებს. რომანტიკული თავგადასავალი ლამაზ ქალთან მხოლოდ ოჯახურ უსიამოვნებებს მომიტანდა და არა საზოგადოებრივს. ისეთი მომხიბლავი ქალის ფოტოსურათიც, როგორიცაა კატარინა, ვერაფერს დამაკლებდა. მერე კი მთელ ამ ისტორიას ბატონების სტუმრობის შესახებ მიივიწყებდნენ. რაც შეეხება სამკაულს, საკმაოდ ძვირფასი ბეჭედი ვაჩუქე და წერილებს, რომლებისგანაც მხოლოდ კონვერტი დარჩა, ისინი სიძნელეს ვერ შემიქმნიან. ცუდი მხოლოდ ის არის, რომ ტოტგესი სხვა ილუსტრირებული გაზეთებისთვისაც წერს. თანაც ისეთ რამეებს, რაც «ცაიტუნგს» არ მოსწონს და რომ... დიახ, დიახ! კატარინა მას ექსკლუზიურ ინტერვიუს შეჰპირდა. ეს რამდენიმე წუთის წინ გავიგე ლუდინგისგან, რომელიც მომხრეა იმისა, რომ კატარინამ ინტერვიუ მისცეს, რადგან «ცაიტუნგი» გამოჭერილი ჰყავს. ტოტგესის სხვა ჟურნალისტურ ქმედებებს კი, რაშიაც შტრომანიც ეხმარება, ვერავინ აკონტროლებს. შენ ალბათ არაფერი იცი ამის შესახებ...

– წარმოდგენაც არა მაქვს! – წამოიძახა ბლორნამ.

– მიკვირს, იმ ადვოკატისგან, რომლის მანდატარიც [მანდატარი (ლათ.) – აქ: პირი, რომელმაც მანდატი, უფლებამოსილება მიიღო.] ჯერჯერობით მე ვარ. აი, რა შეიძლება მოხდეს, როცა უაზროდ კარგავ დროს მატარებელში, იმის ნაცვლად რომ სინიპოტიკოსთა სააგენტოს დაუკავშირდე, რომელსაც შეეძლო მაშინვე ეთქვა, ნისლი მალე გაიფანტებაო... ჯერ არ დაჰკავშირებიხარ მას?

– არა, შენ?

– არა, უშუალოდ არა! მხოლოდ ის ვიცი, რომ ერთი საათის წინ «ცაიტუნგს» დაურეკა და ტოტგესს ხვალინდელი საღამოსთვის ექსკლუზიურ ინტერვიუს დაჰპირდა. ტოტგესიც ელოდება. და კიდევ არის ერთი გარემოება, რაც უფრო მეტ თავსატეხს მიჩენს და რის გამოც საშინელი კუჭის სპაზმი მეწყება, აქ შტროიბლედერს სახე შეეცვალა და ხმაც ნაღვლიანი გაუხდა, – ხვალიდან უფლება გაქვს მლანძღო რამდენიც მოგესურვება, რადგან მართლაც ბოროტად გამოვიყენე შენი ნდობა, მაგრამ სხვა მხრივ, ჩვენ ხომ თავისუფალ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც თავისუფალი სასიყვარულო ურთიერთობები ნებადართულია და მენდე, ყველაფერს გავაკეთებ კატარინას დასახმარებლად, ჩემს სახელსაც დავდებ სასწორზე (ამის იმედი გქონდეს), რადგან მე მიყვარს ეს ქალი. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ახლა მას ვერაფრით დაეხმარები, თვითონ არ გაძლევს ამის საშუალებას...

– «ცაიტუნგისგანაც» ვერ დაიცავ? ამ ღორებისგან?

– ღმერთო ჩემო, გულთან ახლოს არ უნდა მიიტანო «ცაიტუნგი». რა მოხდა მერე, თვალი თუ დაგადგათ. არ გვინდა ახლა ბულვარულ ჟურნალისტიკასა და პრესის თავისუფლებაზე ლაპარაკი. მოკლედ, მინდა, დაკითხვას დაესწრო და ჩემი და კატარინას ადვოკატი იყო. საქმე იმაშია, რომ პრესისა და გამოძიებისთვის ჯერ უცნობია ჩემთვის ყველაზე საჩოთირო ვითარება: რამდენიმე წლის წინ მე მას, თითქმის ძალით, კოლფორსტენჰაიმში მდებარე ჩემი სახლის გასაღები მივეცი. ეს გასაღები არც პირადი და არც მისი ბინის ჩხრეკისას არ აღმოუჩენიათ. შეიძლება გადააგდო კიდეც. სენტიმენტალობაში ნუ ჩამომართმევ, მაგრამ მინდოდა, კატარინას ჰქონოდა ჩემი სახლის გასაღები, რადგან არასოდეს დამიკარგავს იმედი, რომ ოდესმე მესტუმრებოდა. დამიჯერე, მისი დახმარება მინდა. ყოველმხრივ გვერდით დავუდგები, მივალ და ვაღიარებ: შეხედეთ, მე ვარ ის სტუმარი ბატონი-მეთქი... მაგრამ ხომ ვიცი, კატარინა ჩემზე უარს იტყვის, თავის ლუდვიგზე კი –არასოდეს!..

რაღაც ახალი, გამაოგნებელი აღბეჭდოდა სახეზე შტროიბლედერს, რაც ბლორნაში თითქმის თანაგრძნობას იწვევდა, უფრო მეტად კი ცნობისმოყვარეობას. რა იყო ეს – დათრგუნვა თუ ეჭვიანობა?

– იქნებ ამიხსნა, რას ნიშნავს ბეჭედი, წერილები და გასაღები? – იკითხა ბლორნამ.

– ეშმაკმა დალახვროს, ჰუბერტ! კიდევ ვერ გაიგე? ეს ის არის, რასაც ვერც ლუდინგს, ვერც ჰახს და ვერც პოლიციას ვერ გავუმხელ! დარწმუნებული ვარ, კატარინამ გასაღები თავის ლუდვიგს გადასცა და ის ბიჭი ორი დღეა იქ იმყოფება, ჩემს სახლში! მე უბრალოდ მეშინია კატარინას გამო, პოლიციელების გამო, იმ ახალგაზრდა თავქარიანი ბიჭის გამოც, რომელიც შეიძლება ახლა ჩემს სახლში, კოლფორსტენჰაიმში იმალება. მინდა, რომ იქიდან გაქრეს, სანამ პოლიციას აღმოუჩენია, ამავე დროს მინდა, რომ დაიჭირონ და ყველაფერი დასრულდეს. ახლა გაიგე, რა დღეში ვარ!.. საინტერესოა, რას მირჩევ?

– სასწრაფოდ დარეკე კოლფორსტენჰაიმში, ასე აჯობებს! – მაშინვე უპასუხა ბლორნამ.

– და შენ გგონია, ვინც ახლა იქ არის, ყურმილს აიღებს?

– მაშინ პოლიციას უნდა დაურეკო, თუ გინდა უბედურება აიცილო თავიდან. იცოდე, სხვა გზა არ არსებობს. თუ სხვა გამოსავალი ვერ ნახე, ანონიმურად დაურეკე... სულ მცირე ალბათობაც თუ არსებობს, რომ გოტენი შენს სახლში იმალება, ახლავე უნდა აცნობო პოლიციას, თორემ ამას მე გავაკეთებ!

– რა?! გინდა, ჩემი სახელი ამ ბანდიტთან ერთად მოხვდეს საგაზეთო სათაურებში? მე სხვა რამ მქონდა ჩაფიქრებული... მეგონა, შენ წახვიდოდი იქ. ვგულისხმობ, კოლფორსტენჰაიმში, როგორც ჩემი ადვოკატი, რათა დარწმუნდე, რომ ყველაფერი წესრიგშია.

– ამ სიტუაციაში წავიდოდი? ამ სადღესასწაულო შაბათს? მაშინ, როცა «ცაიტუნგისთვის» ცნობილია, რომ მე შვებულება შევწყვიტე? და ეს მხოლოდ იმისთვის, რომ შენი სოფლის სახლისთვის მიმეხედა? გამეგო, მუშაობს თუ არა

მაცივარი? სწორად ფუნქციონირებს თუ არა ზეთის გამაცხელებლის თერმოსტატი, ხომ არ ჩამსხვრეულა ფანჯრები, ბარი მომარაგებულია თუ არა პროდუქტებით და თეთრეული ხომ არ დანესტიანდა? ამისთვის გამოიქცა თავქუდმოგლეჯილი შვებულებიდან სოლიდური ფირმის ადვოკატი, რომელიც ელიტარულ ვილას ფლობს საცურაო აუზით და «წითელ ტრუდეზეა» დაქორწინებული? მართლა ჭკუასთან ახლოს მიგაჩნია, რომ მაშინ, როცა «ცაიტუნგის» რეპორტიორები ჩემს ყოველ ფეხის ნაბიჯს აკონტროლებენ, მატარებლის კუპირებული ვაგონიდან პირდაპირ შენს ვილაში გავქანდე იმის სანახავად, კროკუსებმა და ენძელებმა თავი ამოყვეს თუ არა? და შენ ეს მართლა საუკეთესო აზრი გგონია? თან მხედველობაშიც ისიც ხომ მისაღებია, რაც ძვირფასმა ლუდვიგმა უკვე დაამტკიცა: მან იარაღის ხმარება კარგად იცის!

– დალახვროს ეშმაკმა! არ ვიცი, უადგილოა თუ არა შენი ირონიანარევი ხუმრობა. მე გთხოვ დახმარებას, როგორც ჩემს ადვოკატსა და მეგობარს. თანაც ეს არა მხოლოდ პირადული, არამედ შეიძლება ითქვას, უფრო მოქალაქეობრივი დახმარებაა, შენ კი ენძელებზე მელაპარაკები. ეს საკითხი უკვე ისე გაასაიდუმლოეს, რომ ამ დილიდან არავითარი ინფორმაცია არ მიგვიღია. ყველაფერი, რაც ვიცით, გაზეთ «ცაიტუნგიდან» ვიცით, რომელთანაც ლუდინგს კარგი ურთიერთობა აქვს. პროკურატურა და პოლიცია შინაგან საქმეთა სამინისტროსაც აღარ უკავშირდებიან, სადაც ლუდინგს ასევე აქვს კავშირები. მოკლედ, სიკვდილ-სიცოცხლეზეა ლაპარაკი, ჰუბერტ!

ამ მომენტში ტრუდე დაუკაკუნებლად შემოვიდა, ხელში ტრანზისტორი ეჭირა და მშვიდად განაცხადა:

– სიკვდილზე აღარ არის ლაპარაკი, მხოლოდ სიცოცხლეზე! მადლობა ღმერთს! მათ ბიჭი დაიჭირეს! სულელურად აუტეხავს სროლა და სროლითვე უპასუხეს. დაჭრილია, მაგრამ არა სასიკვდილოდ. ეს ყველაფერი შენს ბაღში მოხდა, ალოიზ, კოლფორსტენჰაიმში, საცურაო აუზსა და ბალდახინს შორის. ხმები დადის, ლუდინგის კომპანიონის ნახევარმილიონიან ვილაზე. საერთოდ კი ჯენტლმენები მართლა არსებობენ ამქვეყნად: პირველი, რაც ჩვენმა კეთილმა ლუდვიგმა თქვა,

ის იყო, კატარინას ამ საქმესთან არავითარი კავშირი არა აქვსო. ეს ჩვენი სიყვარულის ისტორიაა და არავითარი საერთო არა აქვს იმ დანაშაულთან, რომელსაც მე მაბრალებენო. შენ ალბათ, რამდენიმე ფანჯარაში მინების ჩასმა მოგიწევს. ისინი სროლისას დაიმსხვრა... შენი სახელი ჯერ არ უხსენებიათ, მაგრამ მოდს კი აუცილებლად უნდა დაურეკო, რომელიც ალბათ აღელვებულია და დამშვიდებას საჭიროებს. სიტყვამ მოიტანა და ლუდვიგის თანამზრახველობაში ეჭვმიტანილი სამი პირიც აიყვანეს. ყველაფერი ეს კომისარ ბაიცმენეს წარმატებად ჩაითვალა. ახლა კი, ძვირფასო ალოიზ, აჯობებს, აქედან აითესო და მრავალფეროვნებისთვის ახლა საკუთარ ცოლს ესტუმრო!..

ადვილი წარმოსადგენია, რომ ამ მომენტში ბლორნას კაბინეტში საქმე ფიზიკურ შეხლა-შემოხლამდე შეიძლება მისულიყო, რაც ამ აკადემიური ოთახის დანიშნულებას სრულებით არ ესადაგებოდა. შტროიბლედერს უნდოდა, ტრუდეს ყელში სწვდომოდა, მაგრამ მისმა ქმარმა შეაჩერა და მიუთითა, რომ დარწმუნებული იყო, იგი ქალზე ხელს არ აღმართავდა. შტროიბლედერს უნდოდა ეპასუხა, რომ არ არის დარწმუნებული, შეეფერება თუ არა სიტყვა ქალი ასეთი მწარე და ბოროტი ენის პატრონ ქალს. და რომ არსებობს სიტყვები, რომელთა გამოყენება ირონიული მნიშვნელობით ტრაგიკული შემთხვევების დროს მიუღებელია! და თუ ის კიდევ ერთხელ მაინც წარმოთქვამს ასეთ უხამს სიტყვას მისი მისამართით, მაშინ... მაშინ, მაშინ ყველაფერი დამთავრდება!

შტროიბლედერი ახალი გასული იყო სახლიდან და ბლორნა აპირებდა ეთქვა ტრუდესთვის, – ცოტა ღრმად ხომ არ შეტოპეო, რომ ტრუდემ სიტყვა შეაწყვეტინა და უთხრა, – ამ საღამოს კატარინას დედა გარდაიცვალა, მე მას კუირჰოხზაკელში მივაგენიო.

41

ვიდრე დინების მიმართულების შესაცვლელად სხვადასხვა ქმედებას დავიწყებდეთ, ერთი ტექნიკური ხასიათის შენიშვნა უნდა გავაკეთოთ. ამ ისტორიაში ძალიან ბევრი რამ ხდება. აქ უხერხულობასაც კი ქმნის ზედმეტი ქმედება: ეს მისი ნაკლია. რა თქმა უნდა, სამწუხაროა, როცა რიგითი შინამოსამსახურე კლავს ჟურნალისტს. ასეთი შემთხვევა აუცილებლად უნდა გამოიძიოს ან რამენაირი ახსნა მაინც მოეძებნოს. მაგრამ როგორ გავიგოთ სახელგანთქმული ადვოკატის საქციელი, რომელმაც შინამოსამსახურე ქალის გამო ძლივძლივობით მოპოვებული ზამთრის შვებულება შეწყვიტა? ან რა გამართლება შეიძლება მოეძებნოს მეწარმეს (ამავდროულად პროფესორსა და პარტიულ ლიდერს), რომელმაც გადამეტებული სენტიმენტალობის გამო ზუსტად ამ შინამოსამსახურე ქალს ძალით მისცა თავისი სააგარაკო სახლის გასაღები. და როგორც ვიცით, ორივეს ცდა უშედეგოდ დასრულდა. ერთი მხრივ ასეთ ადამიანებს საჯაროობა სჭირდებათ, მაგრამ მხოლოდ განსაზღვრული სახის საჯაროობა.

ყველგან შეიძლება წავაწყდეთ გახმაურებულ მოვლენებსა და ადამიანებს, რომელთა თანხვედრა ამ მოვლენებთან უბრალოდ შეუძლებელია. მეტიც, ისინი გამუდმებით უშლიან ხელს ამ მოვლენათა განვითარებას (უფრო სწორად, თანამიმდევრულ ქმედებას), რადგან შეუვალნი არიან. რა ვუყოთ პოლიციის მუშაკებს, რომლებიც ყველგან არიან ჩასაფრებულნი! მოკლედ რომ ვთქვათ, როცა ყველაფერი გაცხადდება, გადამწყვეტ მომენტში მაინც არ იქნება საკმარისი. მართალია რაღაც (ჰახისა თუ პოლიციელებისგან) უსიტყვოდ, მხოლოდ მინიშნებებით მაინც გამჟღავნდებოდა, მაგრამ მათ ნათქვამს და საერთოდ არაფერსაც არა აქვს ძალა, რადგან სასამართლოს არ მიუღია მტკიცებულებანი ამის შესახებ და არც მათ მიუციათ სასამართლოსთვის შესაბამისი ჩვენება. ჩვენების გარეშე კი ვერც ვერაფერი დამტკიცდება და შესაბამისად, ლაპარაკიც ზედმეტია საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე! მაგალითად, მთელი ეს მიყურადებები, აფერა და ტელეფონების სასმენი აპარატებით მომარაგება, რა თქმა უნდა, გამოძიებას ეხმარება. მაგრამ რადგან ყოველივე საგამომძიებლო დაწესებულების მიერ ოფიციალურად არ გაფორმებულა, მათი არა მარტო

გამოყენების უფლება არა აქვთ, ხსენებაც არ შეუძლიათ. პირველ ყოვლისა, საინტერესოა, რა ხდება იმ ადამიანის ფსიქიკაში, ვინც ტელეფონს უსმენს? რას ფიქრობს პატიოსანი მუშაკი, რომელიც თავის მოვალეობას ასრულებს (შეიძლება მისთვის მიუღებელს), არა გარდაუვალი ბრძანების გამო, არამედ ყოველდღიური პურის ფულის საშოვნელად; რას ფიქრობს, როცა იძულებულია მოისმინოს, თუ როგორ ურეკავს ის, ვისაც ამჯერად სინაზეთა შემთავაზებელს ვუწოდებთ, ისეთ მომხიბლავ, მიმზიდველ და თითქმის უმწიკვლო ქალს, როგორიცაა კატარინა ბლუმი? რა ააფორიაქებს – სექსი თუ მორალური პრინციპი? თუ ორივე ერთად? აღშფოთდება, თანაუგრძნობს თუ რაღაც უჩვეულო სიამოვნებას განაცდევინებს ის, რომ ქალს, რომელიც სულის სიღრმეში საშინლად შეურაცხყოფილია და რომელსაც მეტსახელად მონაზონს ეძახიან, ემუქრებიან და ათასგვარ უხამსობას სთავაზობენ ნახევრად მკვნესარე ხმით? დიახ, რამდენი რამ ხდება ცხადად, რამდენი ფარულად. რას იფიქრებდა ერთი შეხედვით უცოდველი, პურის ფულის გაჭირვებით მშოვნელი მიმყურადებელი, როცა ჩვენთვის ნაცნობი ლუდინგი, რომელიც ადრეც ვახსენეთ, მთავარ რედაქციაში რეკავს და ამბობს: «ახლა შ. მთლად გარეთ არის, მაგრამ ბ. შიგნითაა». რა თქმა უნდა, ლუდინგს არ უსმენდნენ, რადგან არსებობდა საფრთხე, რომ მას შანტაჟისტები, პოლიტგანგსტერები და ა.შ. დაურეკავდნენ. საიდან უნდა სცოდნოდა ამ უცოდველ მიმყურადებელს, რომ შ. შტროიბლედერს ნიშნავს და ბ. – ბლორნას, და რომ «ზონტაგს ცაიტუნგში» შ-ზე არაფერი ეწერა, სამაგიეროდ ეწერა ბლორნას შესახებ. და ვინც ეს იცოდა ან ამას მიხვდებოდა, იყო ბლორნა, ლუდინგის სათაყვანებელი ადვოკატი, რომელმაც ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ბევრჯერ გამოავლინა მახვილი გონება. ამით მხოლოდ იმისი თქმა გვსურდა, როცა ზემოთ იმ წყაროებზე ვსაუბრობდით, რომლებიც „ვერა და ვერ ხვდებიან ერთმანეთს», იმ მეფის შვილებივით, რომელთაც ცრუ მონაზონმა სანთელი ჩაუქრო. შედეგად, ერთ-ერთი მათგანი ღრმად ჩაეფლო ჭაობში და დაიხრჩო.

ამ მომენტში ფრაუ ლუდინგი სთხოვს მზარეულ ქალს დაურეკოს მისი ქმრის მდივანს, რათა გაიგოს, რას მიირთმევს ლუდინგი ვახშმად: ლორიან ბლინებს ხაშხაშით, მარწყვს ნაყინით თუ ათქვეფილი ნაღებით, თუ მხოლოდ ნაყინით?

მდივანმა ქალმა, რომელსაც არ სურდა ზედმეტად შეეწუხებინა შეფი, რომლის გემოვნებაც ზედმიწევნით იცოდა და ამჯერად უსიამოვნების გამოწვევა სურდა, მზარეულ ქალს საკმაოდ დამაჯერებლად აუხსნა, რომ დარწმუნებულია, ჰერ ლუდინგი ამ შაბათს, ვახშმად, პუდინგს ნუშის სოუსით ამჯობინებდა. მზარეული ქალი, რომელმაც აგრეთვე იცოდა ლუდინგის გემოვნების შესახებ, შეეპასუხა და თქვა, რომ ეს მისთვის სიახლეა, ხომ არ ეშლება მდივანს საკუთარი გემოვნება ჰერ ლუდინგისაში და ხომ ვერ დააკავშირებდა თვით ჰერ ლუდინგს, რათა პირადად მოლაპარაკებოდა მას ვახშმის თაობაზე. მდივანმა ქალმა კი უპასუხა, რომ ის ამავდროულად ჰერ ლუდინგის კონფერენციების მდივანიც არის და მას სასტუმროებსა და რესტორნებში მუდამ თან ახლავს. ამიტომ დანამდვილებით შეუძლია თქმა, რომ ჰერ ლუდინგი მასთან ერთად მგზავრობისას, ყოველთვის პუდინგს ნუშის სოუსით მიირთმევს.

მზარეული ქალი შეეპასუხა:

– მაგრამ კვირას მას თქვენთან არ უმგზავრია და შეიძლება, მისი სურვილი დამოკიდებული იყოს იმ საზოგადოებაზე, ვისთანაც მოუწევს ვახშმობა...

მოკლედ, ბევრი იკამათეს ხაშხაშმოყრილ ლორიან ბლინებზე და მთელი ეს მაგნიტოფონის საუბარი გადამხდელის ანგარიშზე ჩაიწერა. ხომ არ ფიქრობს მაგნიტოფონის მომხმარებელი, რომელიც მიყურადებულია იმაზე, რომ აქ ანარქისტების კოდია გამოყენებული. ვინ იცის, ხაშხაშმოყრილი ლორიანი ბლინები ხელყუმბარებს ან ნაყინი ბომბს ხომ არ ნიშნავს? შეიძლება მათ საზრუნავი გაუჩნდათ ან საზრუნავი თავადვე უნდათ, რომ ჰქონდეთ! შეიძლება, მიმყურადებლის ქალიშვილი უკვე ზრდასრულია ან ვაჟიშვილი ჰაშიშს მიეძალა ან გადასახადები კვლავ გაიზარდა, ის კი, ამ დროს ყველაფერ ამას (მაგნიტოფონის ჩანაწერებს) მხოლოდ იმისთვის აკეთებს, რომ ლუდინგს აფეთქებით დაემუქრნენ. ბოლოს და ბოლოს, უცოდველი მოხელე ასე შეიტყობს, რომ ხაშხაშიანი ბლინები მხოლოდ ერთი თავი კერძია, რომელიც მას სადილადაც ეყოფოდა. ბევრი რამე ხდება წინა პლანზე და არაფერი ვიცით იმის შესახებ, თუ რა ხდება უკანა პლანზე. მაგრამ ერთხელაც რომ მოგესმინა მაგნიტოფონისთვის,

მაშინვე შეიტყობდი, თუ როგორი ინტიმური ურთიერთობა ჰქონდათ ფრაუ ელზე ვოლტერსჰაიმს და კონრად ბაიტერსს. შეიტყობდით, რას ნიშნავს სიტყვა მეგობარი მამაკაცი, როცა ამ ორი ადამიანის ურთიერთობაზეა ლაპარაკი. ეძახის ფრაუ ელზე მას საუნჯეს, საყვარელს თუ მხოლოდ კონრადს ან კონის? რა სიტყვებით მიმართავენ ერთმანეთს, როდესაც ერთად არიან? უმღერის ქალს ტელეფონში სერენადებსა და არიებს ის, ვინც თავისი გამორჩეული, საკონცერტო თუ არა, საგუნდო ბარიტონით არის ცნობილი? თუ უხეშად ესაუბრება ძველი თუ მომავალი ინტიმური ურთიერთობების შესახებ? ყველაფერ ამის ცოდნა მეტად საინტერესოა, მაგრამ რადგან ადამიანთა უმეტესობა ტელეპათიის უნარს მოკლებულია, ტელეფონს ეცემა, რაც უფრო ხელმისაწვდომად ეჩვენება. ნუთუ ხელმძღვანელი ორგანოებისთვის ნათელი არ უნდა იყოს, თუ რა ფსიქიკურ ტვირთს აჰკიდებენ ხოლმე თავის მოხელეებსა და თანამშრომლებს? მაგალითად, ვთქვათ, ურეკავს ეჭვმიტანილი ვულგარული პირი (რომელსაც აპარატურით უსმენენ) თავის ასევე ვულგარულ საყვარელს. ჩვენ ხომ თავისუფალ ქვეყანაში ვცხოვრობთ და თავისუფლად და ღიად შეგვიძლია ერთმანეთს ველაპარაკოთ, ტელეფონითაც კი. რას მოისმენს კარგს თავმდაბალი, ზნეობრივი ადამიანი, განურჩევლად სქესისა? ნუთუ ეს დასაშვებია? ნუთუ ეს ფსიქოლოგიური დაცულობის გარანტიაა? რას ამბობს ასეთ შემთხვევაში საზოგადოებრივი სამსახურისა და სატრანსპორტო საშუალებათა პროფკავშირი? თქვენ წარმოიდგინეთ, ზრუნავენ მეწარმეებზე, ანარქისტებზე, ბანკის დირექტორებზე, თანამშრომლებსა და მძარცველებზეც... მაგრამ ვინ იზრუნებს ჩვენი ეროვნული ფირსასმენებისა თუ მაგნიტოფონის მიმყურადებლებზე? ნუთუ არაფერი აქვს ეკლესიას ამაზე სათქმელი? არაფერი ახსენდება ეპისკოპოსთა კონფერენციას ფულდეში [ფულდა – ქალაქი გერმანიაში, ჰესენის მხარეში.] გერმანელ კათოლიკეთა ცენტრალურ კომიტეტს? რატომ დუმს პაპი? რატომ ვერავინ ხვდება, რისი მოსმენა უხდებათ უცოდველ ყურებს შოკოლადიანი პუდინგიდან დაწყებული და უხამსი პორნოთი დამთავრებული? ახალგაზრდებს მოუწოდებენ აითვისონ მოხელის თანამდებობა და ვის ხელში აგდებენ მათ? სატელეფონო სექსუალური მანიაკების? ეს არის ის სფერო, სადაც ეკლესიასა და პროფკავშირს

ერთად მუშაობა მართებთ. მათ შეუძლიათ სულ მცირე, მიყურადების საგანმანათლებლო პროგრამა შეიმუშაონ, ეს კი ძვირი სულაც არ დაჯდება.

42

როგორც კი წინა პლანზე გადმოვინაცვლეთ, ისევ არხის მშენებლობა დავიწყეთ და იძულებული გავხდით კვლავ ახსნა-განმარტებისთვის მიგვემართა! უკვე დაგპირდით, რომ სისხლი აღარ დაიღვრებოდა. ალბათ საჭიროა იმის განმარტებაც, რომ ფრაუ ბლუმის, კატარინას დედის სიკვდილით, ეს პირობა არ დარღვეულა. ამ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია არც მკვლელობას და... არც ბუნებრივ სიკვდილს. მართალია, ფრაუ ბლუმის გარდაცვალება ძალადობამ გამოიწვია, მაგრამ არა მიზანდასახულმა ძალადობამ. ყოველ შემთხვევაში (ეს აუცილებლად უნდა აღინიშნოს), მკვლელს სრულიადაც არ ჰქონია მიზნად ფრაუ ბლუმის მოკვლა ფიზიკური ძალადობით. ლაპარაკია იმ ტოტგესზე, რომელსაც თავად ძალმომრეობითი, სისხლიანი აღსასრული ხვდა წილად. ტოტგესმა უკვე ხუთშაბათს, გრემელსბროიხში დაიწყო ფრაუ ბლუმის ადგილსამყოფლის ძებნა და იპოვა კიდეც, მაგრამ თავდაპირველად ვერ მოახერხა მისი საავადმყოფოში მონახულება. მას დარაჯმა, და ედელგარდმა და მთავარმა ექიმმა, დოქტორმა ჰაინენმა განუმარტეს, რომ ფრაუ ბლუმს სიმსივნის მძიმე ოპერაცია გაუკეთეს. მართალია, სიკვდილს ხელიდან გამოსტაცეს, მაგრამ ახლა მას სიმშვიდე ესაჭიროებოდა. ბუნებრივია, მისთვის ნერვიულობა ახლა ძალზე საშიში იყო, ხოლო ინტერვიუზე კი ლაპარაკიც ზედმეტიაო. ტოტგესის მტკიცებას, რომ ფრაუ ბლუმიც, მისი ქალიშვილის გოტენთან კავშირის გამო „ისტორიის გმირი» გახდა, ექიმმა გადაჭრით უარი განუცხადა. შეიძლება ისტორიის გმირია, მაგრამ ისტორიის გმირებიც შეიძლება გახდნენ ჩემი პაციენტებიო. მედმუშაკებთან გამუდმებული საუბრებიდან ტოტგესმა გაარკვია, რომ საავადმყოფოში მღებავები მუშაობდნენ და შემდეგ კოლეგებთან იმით იწონებდა თავს, რომ მან პარასკევს, დილით, ფრაუ ბლუმთან შეაღწია „ყველა ხერხზე უმარტივესი, ასე

ვთქვათ, ხელოსნური ხერხის» გამოყენებით. იშოვა კიტელი, საღებავების ქილა და ფუნჯი და შეაღწია... არავინაა ისე ადვილად ასალაპარაკებელი, როგორც ავადმყოფი. ფრაუ ბლუმს ჟურნალისტმა ყველა ფაქტი გააცნო, მაგრამ დარწმუნებული არ იყო, რომ ავადმყოფმა ბოლომდე ყველაფერი გაიგო. ლუდვიგ გოტენის ხსენებას ფრაუ ბლუმის არანაირი რეაქცია არ მოჰყოლია. მხოლოდ იმეორებდა: „რატომ უნდა დამთავრებულიყო ყველაფერი ასე, რატომ უნდა მომხდარიყო ეს?» გაზეთ «ცაიტუნგში» კი ასე გადაკეთდა მისი სიტყვები: ყველაფერი ასე უნდა დასრულებულიყოო. მცირე ცვლილება ფრაუ ბლუმის სიტყვებში, ჟურნალისტმა იმით ახსნა, რომ რეპორტიორებს ჩვევად აქვთ, «ჩვეულებრივ ადამიანებს თავიანთი მოსაზრების გამოხატვაში დაეხმარონ».

43

დარწმუნებული არა ვართ, მართლა შეაღწია ტოტგესმა ფრაუ ბლუმთან თუ არა, იცრუა თუ არა, «ცაიტუნგში» მიერ ციტირებული მასალა კატარინას დედისგან აღებული ინტერვიუს შედეგად მიღებულ ინფორმაციად რომ გაასაღა, რათა თავისი პროფესიული ოსტატობა და მოხერხებულობა დაემტკიცებინა და წაეტრაბახა კიდეც. დოქტორი ჰაინენი, და ედელგარდი, ესპანელი მედდა ჰუელვა, პორტუგალიელი სანიტარი პუელკო – ყველა გამორიცხავდა, რომ ეს ვაჟბატონი გაბედავდა ამის ჩადენას. მხოლოდ ის არის უეჭველი, რომ ამ გამოგონილმა ინტერვიუმ გადამწყვეტი როლი შეასრულა ფრაუ ბლუმის სიკვდილში. ამ დროს დაუდგენელია, საავადმყოფოს თანამშრომლები უარყოფენ იმას, რისი დაშვების უფლებაც არ ჰქონდათ, თუ ტოტგესმა კატარინას დედის სიტყვების დამაჯერებლობისთვის მასთან ვიზიტი გამოიგონა. სამართლიანობა მოითხოვს, აქ ობიექტურები ვიყოთ. დამტკიცდა, რომ კატარინამ მას შემდეგ, რაც ტოტგესს ინტერვიუს დაჰპირდა და «ზონტაგს ცაიტუნგმაც» რეპორტიორის ხსენებული ჩვენება გამოაქვეყნა, საკარნავალო კოსტიუმი შეიკერა, რათა იმ რესტორანში წასულიყო, საიდანაც უბედური შონერი „ვიღაც ყალთაბანდთან

ერთად აითესა», რათა თავადვე ჩაეტარებინა გამოძიება. ე.ი. მის დაბრუნებასაც უნდა დაველოდოთ. ცხადია, უნდა მივუთითოთ, რომ ექიმი ჰაინენი გააკვირვა თავისი თითქმის გამოჯანმრთელებული პაციენტის, მარია ბლუმის მოულოდნელმა გარდაცვალებამ. თანაც იგი ფრაუ ბლუმზე „გაუთვალისწინებელ ზეგავლენას თუ ვერ დაამტკიცებდა, ვერც გამორიცხავდა». ამაში უდანაშაულო მღებავებს ვერავითარ შემთხვევაში პასუხს ვერ მოვთხოვთ. გერმანელ ხელოსანთა ღირსება არ უნდა შეილახოს! ვერც და ედელგარდი და ვერც უცხოელი ქალბატონები ჰუელვა და პუელკო ვერ დაამტკიცებდნენ იმას, რომ მღებავთა (ისინი ოთხი იყვნენ კურის ფირმა მერკენსიდან) შორის უცხო არავინ ყოფილა. ტოტგესი კი ამტკიცებდა (ამის დადასტურებაზე ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან საავადმყოფოში კატარინას დედასთან მისი შეხვედრა არ დასტურდება), რომ მარია ბლუმი მოინახულა და მისგან ინტერვიუ აიღო. ეს კატარინამაც შეიტყო. ჰერ მერკენსმაც დაადასტურა, რომ ყოველთვის ოთხივე მღებავი არ ცხადდებოდა სამუშაოზე, ამიტომ ვინმეს რომ მოესურვებინა შემოპარვა, ამას ადვილად მოახერხებდაო... დოქტორ ჰაინენმა მოგვიანებით გამოთქვა აღშფოთება, – «ცაიტუნგის» მიერ კატარინას დედასთან ინტერვიუს გამოქვეყნების გამო პროტესტს გამოავაცხადებ, რადგან დაუჯერებელი რამ მოხდაო. მაგრამ მისი მუქარა ისევე განუხორციელებელი დარჩა, როგორც ბლორნას მუქარა შტროიბლედერისადმი, – ცხვირ-პირს გავუნგრევო.

44

1974 წლის 23 თებერვალს, შაბათ შუადღისით, კაფე «კლოოგში» (იმ სასტუმროს მეპატრონის ბიძაშვილის კაფეში, ვისთანაც კატარინა ყმაწვილქალობისას სამზარეულოში დამხმარედ და მიმტანად მუშაობდა) ბლორნები, ფრაუ ვოლტერსჰაიმი, კონრად ბაიტერსი და კატარინა ერთმანეთს შეხვდნენ. ერთმანეთი გადაკოცნეს და ბევრი ცრემლიც დაღვარეს. ფრაუ ბლორნამაც ვერ შეიკავა თავი. ბუნებრივია კაფე «კლოოგში» საკარნავალო განწყობა სუფევდა.

მეპატრონემ, ერვინ კლოოგმა, რომელიც კატარინას იცნობდა, მას შენობით მიმართავდა და ძალიან აფასებდა, შეკრებილთ თავისი ოთახი შესთავაზა. აქედან დაურეკა ბლორნამ ჰახს და უარი უთხრა მუზეუმის ფოიეში შეხვედრაზე. ჰახმა კი მას აცნობა, რომ კატარინას დედა მოულოდნელად გარდაიცვალა, რისი მიზეზიც შეიძლება ტოტგესის სტუმრობა იყოო. ჰახი უფრო თბილად ელაპარაკა, ვიდრე დილას, უთხრა, რომ კატარინაზე ნაწყენი არ არის, რადგან არავითარი მიზეზი საამისოდ არ გააჩნია და სთხოვა მისი თანაგრძნობა გადაეცა და ისიც ეთქვა, რომ მზადაა, ყველაფერში დაეხმაროს. ახლა ძალიან დაკავებულია გოტენის დაკითხვებით, მაგრამ მალე გათავისუფლდება. საერთოდ გოტენის დაკითხვებიდან მასზე არავითარი დამამძიმებელი ინფორმაცია არ მოუპოვებიათ. გოტენმა დიდი სიყვარულით ისაუბრა კატარინაზე და ძალიან კორექტული იყოო. მოსალოდნელი არ არის, რომ მონახულების უფლება მისცენ, რადგან ნათესაური კავშირი არა აქვთ, ხოლო დანიშნულად მისი წარდგენა არც ისე დამაჯერებელი და დასაბუთებული იქნებაო.

ისე ჩანდა, თითქოს კატარინაზე არც უმოქმედია დედის სიკვდილის ცნობას. თითქოს ერთგვარი სიმსუბუქეც კი იგრძნო. რა თქმა უნდა, კატარინამ დოქტორ ჰაინენის სიტყვები «ცაიტუნგის» ნომრისას შეადარა, სადაც ტოტგესის ინტერვიუში დედამისი იყო მოხსენიებული, მაგრამ სრულებითაც არ გაუზიარებია დოქტორისავე აღშფოთება ინტერვიუს გამო. იცოდა, რომ ეს ადამიანები მკვლელები იყვნენ, სძულდა ისინი, მაგრამ მიაჩნდა, რომ ამგვარ ჟურნალისტთა მოვალეობაა უდანაშაულო ადამიანებისთვის ღირსების, სახელისა და ჯანმრთელობის შელახვა. დოქტორი ჰაინენი, რომელმაც ის შეცდომით მარქსისტად მიიღო (შეიძლება მან ბრეტლოხის, კატარინას ყოფილი ქმრის აღიარებები წაიკითხა «ცაიტუნგში»), ცოტა არ იყოს, შეშინებული იყო მისი სიცივით და შეეკითხა: მიიჩნევდა თუ არა «ცაიტუნგის» ამ მაქინაციას სახელმწიფო წყობის პრობლემად. კატარინა ვერ მიხვდა, თუ რა იგულისხმა ამაში დოქტორმა და მხრები აიჩეჩა. მერე კატარინამ სთხოვა ედელგარდს მორგში წაეყვანა, სადაც ფრაუ ვოლტერსჰაიმთან ერთად შევიდა. თავისი ხელით გადახადა სუდარა დედას, ჰოო, – ჩუმად თქვა და შუბლზე ემთხვია. ხოლო როცა

და ედელგარდმა მოსთხოვა, პატარა ლოცვა წაეკითხა, თავი გადააქნია და არაო, დაამატა. კატარინამ სუდარა გადააფარა დედას, მადლობა გადაუხადა მონაზონს და მხოლოდ მას შემდეგ, რაც მორგიდან გავიდა, ატირდა. ჯერ ჩუმად აქვითინდა, შემდეგ უფრო ძლიერად, მერე კი გულამოსკვნით. შეიძლება თავის გარდაცვლილ მამაზეც ფიქრობდა, რომელიც უკანასკნელად ასევე მორგში ნახა. ელზე ვოლტერსჰაიმმა შენიშნა, უფრო სწორად, გაახსენდა, რომ კატარინა არასოდეს უნახავს ატირებული, არც ბავშვობისას, როცა სკოლაში რაიმე უჭირდა ან მოგვიანებით, როცა ცხოვრების სიდუხჭირე შემოაწვებოდა. ძალიან თბილად და გულისამაჩუყებლად გადაუხადა მადლობა კატარინამ უცხოელ ქალბატონებს ყველაფრისთვის, რაც მათ დედამისისს გაუკეთეს. საავადმყოფო ძალიან დამშვიდებულმა დატოვა. არც ის დავიწყებია, საავადმყოფოს ხელმძღვანელობის დახმარებით, საპატიმროში მყოფი ძმისთვის მომხდარის შესახებ ეცნობებინა. ასეთი იყო ნაშუადღევს და მთელ საღამოსაც: სრულიად მშვიდი, მიუხედავად იმისა, რომ ხან ამოიღებდა, ხან უკანვე აბრუნებდა ჩანთაში «ცაიტუნგის» ორივე ნომერს და ბლორნებს, ელზე ვოლტერსჰაიმსა და კონრად ბაიტერსს დეტალებსა და ამ დეტალების ინტერპრეტაციას აცნობდა. ამჯერად მისი დამოკიდებულება «ცაიტუნგისადმი» თითქოს შეცვლილიყო. დროა შევნიშნოთ, ნაკლებად ემოციური და თუ შეიძლება ითქვას, უფრო ანალიტიკური გახდა. ამ მისთვის ნდობით სავსე და მეგობრულად განწყობილ გარემოცვაში, ერვინ კლოოგის ოთახში, მან ღიად ისაუბრა თავისი დამოკიდებულების შესახებ შტროიბლედერთან. შტროიბლედერმა, ბლორნებთან გატარებული საღამოს შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ კატარინამ უარი უთხრა (იმ მიზეზით, რომ ასეთ რამეებს ვერ იტანს), შინ წაიყვანა. სახლის კარამდე, არა ბინამდე მაინც მიჰყვა და კარის მოხურვის საშუალება არ მისცა, ფეხი დაუხვედრა. რა თქმა უნდა, ეცადა თავისი გაეტანა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. რა თქმა უნდა, იწყინა, რომ ასეთ წინააღმდეგობას წააწყდა, რადგან მიიჩნევდა, რომ მისთვის უარის თქმა შეუძლებელი იყო. და ბოლოს, შუაღამეს უკვე გადაშორებული იყო, როცა წავიდა. ამ დღიდან მოყოლებული სისტემატურად დასდევდა. ისევ და ისევ მოდიოდა, ყვავილებს უგზავნიდა, წერილებს სწერდა და რამდენიმეჯერ კიდეც მოახერხა მის ბინაში შეღწევა. ამდაგვარად შეძლო მისთვის ბეჭდის მიჩეჩებაც. ეს იყო

ყველაფერი. მის ამ სტუმრობაზე კი მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ არაფერი თქვა, რომ კარგად აფასებდა მისი სახელის მნიშვნელობას, რადგან შეუძლებლად მიაჩნდა, სასამართლოს მოხელისთვის, ვინც მის დაკითხვას აწარმოებდა, აეხსნა, რომ არაფერი, სულ მთლად არაფერი, ერთი კოცნაც კი არ ყოფილა მათ შორის. ვინ დაუჯერებდა, რომ ისეთ მამაკაცს, როგორიც შტროიბლედერია, წინააღმდეგობას გაუწევდა. ვინც არა მარტო მდიდარია, არამედ პოლიტიკაში, ბიზნესსა და მეცნიერებაში თავისი განუმეორებელი მომხიბვლელობის გამო იყო ცნობილი, თითქმის ისე, როგორც კინოვარსკვლავი და მართლაც ვინ დაუჯერებდა შინამოსამსახურეს, რომ ის კინოვარსკვლავს უარს ეტყოდა და არა მხოლოდ მორალური თვალსაზრისით, არამედ გემოვნების გამოც! შტროიბლედერს მის თვალში არავითარი ხიბლი არ ჰქონდა და ის მთელ ამ „სტუმარი ბატონების» ისტორიას, ყველაზე ამაზრზენ ჩარევად აღიქვამდა იმ სფეროში, რომელსაც ინტიმურიც კი არ ეთქმოდა. ეს მხოლოდ გაუგებრობა იყო, რადგან მას საერთოდ არ ჰქონია შტროიბლედერთან ინტიმური ურთიერთობა. მან ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა ქალი, რომელსაც ვერავინ და მით უმეტეს გამომძიებელი ვერ გაიგებდა. ბოლოს და ბოლოს (კატარინამ გაიცინა), იგი ერთგვარად მადლობელიც არის შტროიბლედერისა, რადგან მისი სახლის გასაღები ლუდვიგს ძალიან გამოადგა. გამოადგა ამ სახლის მისამართიც, რადგან (აქ ისევ გაიცინა) – ლუდვიგი იქ გასაღების გარეშეც შევიდოდა, მაგრამ გასაღებმა საკმაოდ გაუადვილა საქმე. ვიცოდი, რომ ბინა კარნავალის დროს ცარიელი იქნებოდა, რადგან ორი დღით ადრე შტროიბლედერმა დაჟინებით მთხოვა, თითქმის მოითხოვა კვირის ბოლო მასთან ერთად გამეტარებინა, სანამ თათბირზე მოუხდებოდა წასვლა ბად.ბ-ში. დიახ, ლუდვიგმა მითხრა, რომ მას პოლიცია ეძებდა. ოღონდ მხოლოდ იმიტომ, რომ ბუნდესვერის დეზერტირია და ამავე დროს, უცხოეთში აპირებს გამგზავრებას. და (აქ მესამეჯერ გაიცინა) მისთვის სასიამოვნოც კი იყო, რომ გოტენი თბოგაყვანილობამდე მიაცილა და საავარიო გასასვლელი აჩვენა, რომელსაც «მდინარის პირას ელეგანტური სავანის» სარდაფიდან ჰოხკეპელშტრასეზე, დღის სინათლეზე გავყავდით. არა, მას არც უფიქრია, რომ პოლიცია მას და ლუდვიგს უთვალთვალებდა. კატარინა ყველაფერ ამას ერთგვარ ყაჩაღურ-ჟანდარმულ რომანტიკად აღიქვამდა და

მხოლოდ დილით (ფაქტობრივად, ლუდვიგი უკვე ექვს საათზე გავიდა სახლიდან) იგრძნო, თუ რამდენად სერიოზულად იყო საქმე. მას გულზე მოეშვა, რადგან გოტენი დაჭერილია და ახლა ვეღარ შეძლებს სისულელეების ჩადენას. მას მთელი ამ ხნის განმავლობაში ეშინოდა, რადგან ბაიცმენე მასზე შემაძრწუნებლად მოქმედებდა.

45

უნდა აღვნიშნოთ, რომ შაბათ საღამომ მშვენივრად ჩაიარა, ისე მშვენივრად, რომ ყველანი – ბლორნები, ელზე ვოლტერსჰაიმი და უცნაურად მდუმარე კონრად ბაიტერსი – საკმაოდ დამშვიდდნენ. ბოლოს ყველამ, და თვით კატარინამაც, სიტუაცია „განტვირთულად» მიიჩნია. ლუდვიგ გოტენი დაიჭირეს და კატარინას დაკითხვებიც შეწყდა. კატარინას დედაც, შეიძლება ნაადრევად, მაგრამ მაინც გათავისუფლდა მძიმე ტკივილებისგან. დაკრძალვის ფორმალური მხარე მოგვარდა, ყველა საჭირო დოკუმენტის მოგროვება ერთმა თავაზიანმა მოხელემ იკისრა, მიუხედავად იმისა, რომ სადღესასწაულო დღეების მიწურული იყო. დამამშვიდებლად იმოქმედა იმანაც, რომ კაფეს მეპატრონემ, ერვინ კლოოგმა მათ დანახარჯი არ გადაახდევინა (საღამოს შეკვეთილი ჰქონდათ ყავა, ლიქიორი, კარტოფილის სალათი, ძეხვი და ნამცხვარი). გამომშვიდობებისას კი კატარინას უთხრა:

– თავი ასწიე კატრინხენ, ყველა კი არ არის შენდამი ცუდად განწყობილი!

ის დაიმედება, რაც ამ სიტყვებიდან გამოსჭვიოდა, მთლად დამაჯერებლად არ ჟღერდა, რადგან მართლაცდა ყველა როდი იყო მისადმი კეთილგანწყობილი.

შეთანხმდნენ, ბლორნასთან წასულიყვნენ და იქ გაეტარებინათ დანარჩენი საღამო. კატარინას სასტიკად აუკრძალეს, ჩვეულებისამებრ თავისი მზრუნველი ხელი შეეხო რამესთვის. მას შვებულება აქვს და უნდა დაისვენოს! ფრაუ

ვოლტერსჰაიმი ბუტერბროდებს ამზადებდა, ბლორნა და ბაიტერსი ბუხართან ფუსფუსებდნენ. ფაქტობრივად, კატარინამ ყველას ნება დართო, ამ ერთხელ მაინც „გაენებივრიებინათ». მშვენივრად გრძნობდა თავს და დედის სიკვდილი და ძალიან საყვარელი ადამიანის დაპატიმრება რომ არა, შეიძლება ეცეკვა კიდეც, რადგან ჯერ კიდევ კარნავალი მიმდინარეობდა.

ბლორნამ ვერ მოახერხა გადაეთქმევინებინა კატარინასთვის დაგეგმილი ინტერვიუ ტოტგესთან. კატარინა კვლავ მშვიდი და თავაზიანი იყო, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც კატარინამ ინტერვიუ მისცა ტოტგესს, – ბლორნას ცივი ოფლი ასხამდა იმის გახსენებისას, თუ როგორ აუღელვებლად დაიჟინა კატარინამ ინტერვიუს მიცემის აუცილებლობა და როგორი დარწმუნებით თქვა უარი ყოველნაირ დახმარებაზე. შემდეგ, მაინც გაიფიქრა, რომ კატარინას იმ საღამოს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა მკვლელობის ჩადენა, უფრო სარწმუნოდ ეჩვენებოდა, რომ კატარინას «ზონტაგს ცაიტუნგმა» უბიძგა ამისკენ. ერთმანეთს გულითადად დაემშვიდობნენ, ისევ ხვევნა-კოცნით, მაგრამ ამჯერად ცრემლების გარეშე. ეს ყველაფერი მას შემდეგ მოხდა, რაც კატარინამ და ელზე ვოლტერსჰაიმმა მსუბუქი, მომხიბლავი მუსიკის ქვეშ გრემელსბროიხსა და კუირზე ისაუბრეს. საღამოს თერთმეტის ნახევარზე, კატარინა, ფრაუ ვოლტერსჰაიმი და ბაიტერსი ბლორნას თავაზიანად და მეგობრულად გამოემშვიდობნენ და აღნიშნეს, რომ ის კატარინას ბედზე დროზე, მართლაც რომ დროზე ჩამოვიდა. შემდეგ კი, ჩაფერფლილ ბუხართან, თითო ჭიქა ღვინის დალევისას, მომავალი შვებულების გეგმები განიხილეს და შტროიბლედერსა და მის მეუღლეზე, მოდზე იჭორავეს. როცა ბლორნამ ცოლს სთხოვა, მომავალი შეხვედრებისას «ბატონების სტუმრობა» აღარ ეხსენებინა, რადგან ეს უკვე გამაღიზიანებელ სიტყვად იქცაო, ტრუდე ბლორნამ უპასუხა: – მაგრამ ჩვენ იგი არცთუ ისე მალე გვესტუმრებაო.

46

სავარაუდოდ, კატარინამ დარჩენილი საღამო მშვიდად გაატარა. მან კვლავ მოიზომა თავისი ბედუინის კოსტიუმი, აქა-იქ ნაკერი გაამაგრა და გადაწყვიტა, პირბადის ნაცვლად თეთრი ცხვირსახოცი გამოეყენებინა. ერთხანს რადიოს უსმინეს, ცოტა ნამცხვარიც მიირთვეს და დასაძინებლად წავიდნენ. ბაიტერსიც პირველად შევიდა ასე ღიად ფრაუ ვოლტერსჰაიმის საძინებელ ოთახში, კატარინა კი დივანზე მოკალათდა.

47

ელზე ვოლტერსჰაიმმა და კონრად ბაიტერსმა კვირა დილით საწოლიდან ფეხი გადმოდგეს თუ არა, საუზმისთვის მაგიდა უკვე მზრუნველობით გაწყობილი დახვდათ, ყავა თერმოსის ჩაიდანში ჩასხმული და გაფილტრული, მაგიდასთან მჯდომი კატარინა კი გემრიელად შეექცეოდა საუზმეს და თან «ზონტაგს ცაიტუნგს» კითხულობდა. აქ არაფერს აღარ მოგითხრობთ, მხოლოდ სიტყვა სიტყვით გადმოგცემთ, თუ რა ეწერა გაზეთში. მართალია კატარინას «ისტორია» და ფოტოსურათი აღარ ამშვენებდა პირველ გვერდს. ამჯერად პირველ გვერდზე ლუდვიგ გოტენი გამოეჭიმათ სათაურით: «კატარინა ბლუმის ნაზი საყვარელი მეწარმის ვილაში აიყვანეს». მოთხრობილი ამბავი ჩვეულებრივზე უფრო დიდი იყო, მეშვიდე და მეცხრე გვერდებზე უამრავი ფოტოებით: კატარინა – პირველ ზიარებაზე; მამამისი – ომიდან დაბრუნებული ეფრეიტორი; ეკლესია – გრემელსბროიხში; კვლავ ბლორნების ვილა; კატარინას ორმოცი წლის დედა, მოქუფრული და გაუბედურებული რომ იდგა პატარა სახლის წინ, მშობლიურ გრემელსბროიხში; და ბოლოს, საავადმყოფოს ფოტო, სადაც იგი პარასკევ ღამეს გარდაიცვალა. ახლა კი ტექსტი:

მოუხელთებელი, ჯერ კიდევ თავისუფლებაში მყოფი კატარინა ბლუმის პირველი მსხვერპლი – საკუთარი დედა გახდა, რომელმაც ვერ გადაიტანა ქალიშვილის საქციელით გამოწვეული შოკი. ყურადღება მივაქციოთ იმასაც, რომ ქალიშვილი

იმ დროს, როდესაც დედამისი სასიკვდილო სარეცელზე იწვა, ძალიან ნაზად ცეკვავდა ყაჩაღსა და მკვლელთან. გადაგვარების ნიშანია ისიც, რომ დედის სიკვდილისას ცრემლი არ დაუღვრია. მართლა ასე «ანგარიშიანი და ყინულივით ცივია» ეს ქალი? მისი ადრინდელი უფროსის, სოფლის ექიმის ცოლმა იგი ასე დაახასიათა: „მას ნამდვილი კახპის თვისებები ჰქონდა. ამიტომ იძულებული გავხდი გამეთავისუფლებინა ჩემი წამოზრდილი ვაჟების, ჩვენი კლიენტებისა და კიდევ ჩემი ქმრის რეპუტაციის გამო». საინტერესოა, დოქტორ ფენერნის მაქინაციებშიც ხომ არ ყოფილა კატარინა გარეული («ცაიტუნგმა» უკვე გაცნობათ ამ შემთხვევის შესახებ). საინტერესოა, იყო თუ არა მამამისი სიმულანტი ან რატომ გახდა მისი ძმა დამნაშავე? გაურკვეველია მისი სწრაფი აღმასვლა და მაღალი შემოსავლები. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია: კატარინა ბლუმი სისხლში გასვრილ გოტენს გაქცევაში დაეხმარა. მან უსირცხვილოდ გამოიყენა პატივცემული მეცნიერისა და მეწარმის მეგობრული ნდობა და სპონტანური მზადყოფნა დახმარებისათვის. ამასობაში «ცაიტუნგმა» მოიპოვა ინფორმაცია, რომელიც საბოლოოდ ამტკიცებს: რომ ბატონები მას კი არ სტუმრობდნენ, არამედ თვითონ დადიოდა სტუმრად, რათა სახლისთვის თვალყური ედევნებინა. ბლუმის საიდუმლოებით მოცული მანქანით მოგზაურობები აღარ არის ისეთი საიდუმლოებით მოცული. მან, ღირსეული ადამიანის სახელი, ოჯახური ბედნიერება, პოლიტიკური კარიერა («ცაიტუნგიდან» შეიტყობდით ამის შესახებ) სათამაშოდ გაიხადა და სულაც არ უფიქრია მისი ცოლისა და ოთხი შვილის გრძნობებზე. ცხადია, ბლუმმა, შ-ს კარიერა, მემარცხენე ჯგუფის დავალებით დაანგრია.

აპირებს პოლიცია და პროკურატურა ეჭვმიტანილ გოტენს ენდოს, რომელიც ბლუმის დანაშაულს უარყოფს? «ცაიტუნგი» ისევ და ისევ სვამს შეკითხვას: ძალიან მსუბუქი ხომ არ არის დაკითხვის მეთოდები? ნუთუ არაადამიანებს ადამიანურად უნდა მოვექცეთ?

ბლორნას, ფრაუ ბლორნასა და ვილის ფოტოების ქვეშ ეწერა:

ამ სახლში მუშაობდა დოქტორ ბლორნასა და ფრაუ ბლორნას ნდობით აღჭურვილი კატარინა ბლუმი, შვიდიდან ხუთის ნახევრამდე, დამოუკიდებლად, მეთვალყურის გარეშე. რა შეიძლება აქ მომხდარიყო ბლორნების სამსახურში ყოფნისას, როცა ისინი აზრზე არ იყვნენ, რომ მათ სახლში შეიძლება რაღაც მომხდარიყო, თუ შესაძლოა, რაიმეს ეჭვობდნენ კიდეც? ბლორნები ზედმეტად ენდობოდნენ ბლუმს. მეზობლებმა «ცაიტუნგის» რეპორტიორს ისიც უთხრეს, რომ მათი ურთიერთობისთვის უფრო მეგობრული შეიძლება გეწოდებინაო. აქ იმ მინიშნებებს გამოვტოვებთ, რომლებიც საქმეს პირდაპირ არ ეხება. მაგრამ მაინც რა როლი შეასრულა ფრაუ დოქტორ ჰერტრუდ ბლორნამ, რომელსაც ტექნიკური ინსტიტუტის წრეებში წითელ ტრუდედ იცნობენ? როგორ შეძლო გოტენმა ბლუმის სახლიდან თავის დაღწევა, როდესაც პოლიციას უკვე გამოჭერილი ჰყავდა იგი? ვის შეეძლო სცოდნოდა უკანასკნელ დეტალამდე «მდინარის პირას ელეგანტური სავანის» აპარტამენტების მშენებლობის გეგმა? ფრაუ ბლორნას, გამყიდველ ჰერტა შოიმელის და ფაბრიკის მუშა კლაუდია შტერნის ნაამბობი «ცაიტუნგისთვის» ძალიან ემთხვევა ერთმანეთს: «ისინი ისე ცეკვავდნენ (იგულისხმება ბლუმი და გოტენი), თითქოს საუკუნეა ერთმანეთს იცნობენო. ეს არ ჰგავდა შემთხვევით შეხვედრას, ეს უფრო პაემანი იყო».

48

როცა ბაიცმენე დახურულ კარს მიღმა გააკრიტიკეს იმის გამო, რომ მან იცოდა ხუთშაბათს საღამოს, 23:30 საათიდან შტროიბლედერის ვილაში გოტენის ყოფნის შესახებ და ორმოცდარვა საათის განმავლობაში ყურადღების გარეშე დატოვა იგი, რითაც მისი დაპატიმრება რისკის ქვეშ დააყენა, მან გაიცინა და განმარტა:

– გოტენს უკვე ხუთშაბათ საღამოს შემდეგ არანაირი შანსი არ ჰქონდა გაქცევისა. სახლი ტყეში მდებარეობს და იდეალურადაა მონადირის კოშკურებით გარშემორტყმული, რომლებიც სათვალთვალო კოშკურების როლს ასრულებენ.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ყველაფერი იცოდა და ყველა ღონისძიებას ეთანხმებოდა; ვერტმფრენით, რომელიც ისე დაფრინდა, რომ მის ხმას ვერავინ გაიგებდა, სპეციალური ჯგუფი გადმოსვეს და მაღალ კოშკურებზე გაანაწილეს, მეორე დილით კი ადგილობრივი პოლიციის სამსახურმა, ჯგუფი ორი ათეული პოლიციის თანაშრომლით გააძლიერა. ყველაზე საშური იყო, გოტენის კონტაქტზე გასვლის მცდელობის თვალყურის დევნება. წარმატებით გამოირიცხა რისკი, გაიშიფრა ხუთი კონტაქტი და ბუნებრივია, სანამ გოტენს ავიყვანდით, ეს ხუთი საკონტაქტო პირი უნდა დაგვედგინა, აგვეყვანა და მათი ბინები გაგვეჩხრიკა. გადაწყვეტილი გვქონდა გოტენი, კონტაქტზე გასვლისას აგვეყვანა, ის ისე თავქარიანად და თამამად იქცეოდა, რომ ადვილად შეიძლებოდა მისი გარედან თვალყურის დევნება. რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი მოგვაწოდეს «ცაიტუნგის» რეპორტიორებმა და მათთან დაკავშირებულმა ორგანოებმა, რომლებთაც მშვენიერი, არაოფიციალური მეთოდები აქვთ იმ წვრილმანების მოსაპოვებლად, რომლებიც ოფიციალური ძიებისთვის მიუწვდომელია. ასე მაგალითად, გაირკვა, რომ არც ფრაუ ვოლტერსჰაიმი და არც ფრაუ ბლორნა არ ყოფილან უცოდველები. ვოლტერსჰაიმი დაიბადა 1930 წელს კურში და იყო ადგილობრივი მუშა ქალის უკანონო შვილი. დედა კიდევ ცოცხალია, მაგრამ სად არის ის? გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, და თანაც არა იძულებით, არამედ ნებაყოფლობით: მას მრავალჯერ, ჯერ 1945 წელს, კიდევ ერთხელ 1952, შემდეგ 1961 წელს, გერმანიის კედლის აშენებამდე მცირე ხნით ადრე შესთავაზეს სამშობლოში დაბრუნება, სადაც მას სახლი და პატარა მიწის ნაკვეთი აქვს, მაგრამ მან სამივეჯერ უარი განაცხადა ამ შეთავაზებაზე. უფრო საინტერესოა მისი მამა, ვინმე ლუმი, ასევე მუშა, მაშინდელი გერმანიიის კომუნისტური პარტიის წევრი, რომელიც საბჭოთა კავშირში გაემგზავრა ემიგრაციაში და უკვალოდ გაქრა. ბაიცმენე ფიქრობს, რომ ვერმახტის დაკარგულთა სიაში მისი პოვნა შეუძლებელია.

49

რადგან არ შეიძლება დარწმუნებული იყო, რომ არ დაიკარგება, ცუდად არ აღიქვამენ ან მხოლოდ მინიშნებად არ დარჩება ქმედებათა და მოვლენების ურთიერთკავშირის ცხადი მტკიცებულებები, ამიტომ თქვენს ყურადღებას მივაქცევთ კიდევ ერთ ცნობას: «ცაიტუნგი», რომელმაც თავის რეპორტიორ ტოტგესის დახმარებით, კატარინას დედის სიკვდილს შეუწყო ხელი, «ზონტაგს ცაიტუნგში» კატარინას ადანაშაულებდა დედამისის სიკვდილში და არც მეტი არც ნაკლები, შტროიბლედერის ვილის გასაღების ქურდობაში! ამას ისევ უნდა გავუსვათ ხაზი, რადგან არ შეიძლება დარწმუნებული იყო, რომ «ცაიტუნგის» ყველა სიცრუეს, მაქინაციას და გამონაგონს შესაბამისად გაიგებენ.

ამის მაგალითად ბლორნას მოვიყვანთ, თუ როგორ ზეგავლენას ახდენს «ცაიტუნგი» გონიერ ადამიანებზეც კი. იმ უბანში, სადაც ბლორნას ვილა მდებარეობდა, «ზონტაგს ცაიტუნგის» შოვნა შეუძლებელი იყო. იქ უფრო პრესტიჟულ გამოცემებს კითხულობენ. ისე მოხდა, რომ ბლორნამ, რომელიც ფიქრობდა, ყველაფერმა უკვე ჩაიარაო და ოდნავ დადარდიანებული ელოდებოდა კატარინას ინტერვიუს ტოტგესთან, «ზონტაგს ცაიტუნგის» სტატიის შესახებ მხოლოდ შუადღისას შეიტყო, როცა მან ფრაუ ვოლტერსჰაიმს დაურეკა. თავის მხრივ ვოლტერსჰაიმს ეგონა, რომ ბლორნას უკვე წაკითხული ჰქონდა «ზონტაგს ცაიტუნგი». ალბათ მოგეხსენებათ, ბლორნა გულითადი, კატარინაზე გულწრფელად მზრუნველი, მაგრამ ფხიზელი კაცი იყო. როცა ფრაუ ვოლტერსჰაიმმა მას ტელეფონში «ზონტაგს ცაიტუნგიდან» შესაბამისი ადგილები წაუკითხა, – მან თავის გრძნობებს არ დაუჯერა (ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთს – სმენას). კიდევ ერთხელ წააკითხა, მხოლოდ ამის შემდეგ ირწმუნა და, როგორც იტყვიან, მოთმინების ფიალა აევსო. ყვიროდა, ღრიალებდა, სამზარეულოში ცარიელ ბოთლს ეძებდა, იპოვა და ბოთლით ხელში გარაჟში შევარდა. საბედნიეროდ, მოლოტოვის კოქტეილის დამზადებაში თავისმა ცოლმა შეუშალა ხელი. ამ კოქტეილით აპირებდა ჯერ «ცაიტუნგის» რედაქციის შენობის, შემდეგ შტროიბლედერის სახლის აფეთქებას. რა სანახავი იქნებოდა, ორმოცი

წლის, კარგად აღზრდილი ადამიანი, მთელი შვიდი წლის განმავლობაში რომ სარგებლობდა ლუდინგის ყურადღებითა და შტროიბლედერის პატივისცემით, საქმიან მოლაპარაკებებს რომ აწარმოებდა ბრაზილიაში, საუდის არაბეთში, და ნიდერლანდებში! დიახ, ამ შემთხვევაში არ ვლაპარაკობთ ვინმე პროვინციელზე, არამედ სახელგანთქმულ პიროვნებაზე, რომელიც არც მეტი, არც ნაკლები, მოლოტოვის კოქტეილის მომზადებას აპირებდა!

ფრაუ ბლორნამ ეს ყველაფერი სპონტანურ გადაწყვეტილებად, წვრილბურჟუაზიულ-რომანტიკულ ანარქიზმად მიიჩნია და ქმარს დაუყვავა. ყურმილს ხელი წაავლო და თავადვე წააკითხა ფრაუ ვოლტერსჰაიმს სტატიის ავადსახსენებელი ადგილი. უსმენდა და ისე გაფითრდა, თითქოს მას და მხოლოდ მას ჩაედინა რაღაც საშინელება, რაც მოლოტოვის კოქტეილზე უარესი იყო. ისევ ჩააფრინდა ტელეფონს, ლუდინგს დაურეკა (რომელიც ამწამს თავის ვანილიან, ნაღებმოსხმულ მარწყვს მიირთმევდა) და უბრალოდ უთხრა: «ღორო! უბედურო ღორო!» ო, ფრაუ ბლორნას თავისი სახელი არ უთქვამს, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჰერ ბლორნას თითოეული ნაცნობისთვის უცხო არ იქნებოდა მისი ცოლის ხმა. იგი ხომ ბასრი, მოსწრებული და დაუნდობელი შენიშვნების გამო არ უყვარდათ. ცოლის საქციელმა ბლორნა გააცეცხლა, ეგონა, შტროიბლედერს დაურეკაო. მართალია ყველაფერ ამას დიდი აურზაური მოჰყვა თავად ცოლ-ქმარ ბლორნებს შორის, ბლორნებსა და სხვა დანარჩენებს შორისაც, მაგრამ რადგან არავინ მოუკლავთ, თქვენი ნებართვით ამას გვერდს ავუვლით. ეს «ზონტაგს ცაიტუნგის» უმნიშვნელო, თუნდაც წინასწარ განსაზღვრული შედეგები აქ მხოლოდ იმიტომ მოვიხსენიეთ, რათა გვეჩვენებინა, თუ როგორ შეიძლება წყობიდან გამოვიდეს და ბოროტმოქმედების ჩადენაც კი ჩაიფიქროს განათლებულმა და პატივცემულმა ადამიანმა.

დადგინდა, რომ კატარინა თორმეტი საათისთვის გავიდა ჟურნალისტთა კაფე «ოქროს იხვიდან», სადაც ინკოგნიტოდ აგროვებდა ინფორმაციას ტოტგესის შესახებ. კატარინას შინ დაბრუნდა და ტოტგესს დაელოდა. თხუთმეტ წუთში იგი მოვიდა კიდეც. «ინტერვიუზე» კი აღარაფერია სათქმელი. ყველამ იცის, საქმე როგორც იყო.

50

ყველაზე გამაოგნებელი კატარინას ახლობლებისა და გულშემატკივართათვის გრემელსბროიხელი მღვდლის მიერ კატარინას მამის შესახებ მოწოდებული ცნობაა – თავგადადებული კომუნისტი იყოო, რომ ამტკიცებდა. ამ ცნობის სიმართლის გამოსარკვევად, ბლორნა მის სოფელში გაემგზავრა. მღვდელი შეიძლება ითქვას, მყარად იდგა თავის ჩვენებაზე, დაიჟინა, რომ «ცაიტუნგმა» მისი ნათქვამი სიტყვასიტყვით და სწორად გადმოსცა. თუმცა იმის დამტკიცება, რომ კატარინას მამა კომუნისტი იყო, მას არ შეეძლო, არც საამისო სურვილი ჰქონდა. ისიც კი თქვა, რომ ამისთვის არავითარი საბუთი არ მჭირდება, ჯერ კიდევ კარგი ინტუიცია მაქვს, და უბრალოდ მივხვდი, რომ ბლუმი კომუნისტი იყოო. თავისი ინტუიციის უნარის ახსნა კი არ ისურვა. არც მაშინ უფიქრია დახმარება, როცა ბლორნამ სთხოვა, თუ თავისი ინტუიციის უნარს ვერ ახსნიდა, ის მაინც ეთქვა, რადგან თქვენი ინტუიციის, ანუ ყნოსვის წყალობით დაასკვენით, რომ ის კომუნისტი იყო, იქნებ ისიც მითხრათ, მაინც როგორი სუნი აქვს კომუნისტსო. მაშინ, სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, მღვდელი საკმაოდ უხეშად მოიქცა. ბლორნას შეეკითხა, ხარ თუ არა კათოლიკეო და როდესაც დადებითი პასუხი მიიღო, მაშინ მიუთითა, ამიტომ მოვალე ხარ, კარგი ყნოსვა გქონდესო, რაც ბლორნამ ვერაფრით გაიგო. ბუნებრივია, კატარინას მამას ბევრი უსიამოვნება შეხვდა ბლუმების საქმის გამოძიებისას, რომლებიც მისი კეთილგანწყობით ისედაც არ სარგებლობდნენ. მღვდელს უარესიც სმენია კატარინას გარდაცვლილი დედის შესახებ, რომელმაც სამსახურიდან გაგდებულ მეეტლესთან ერთად, მესისთვის განკუთვნილი ერთი ბოთლი ღვინო ეკლესიაში გამოყლურწა. უარესი კიდევ ის იყო, რაც მღვდელს კატარინას ხელიდან წასული ძმის შესახებ მოესმინა. მაგრამ ერთადერთი, რაც კატარინას მამის კომუნისტობას ადასტურებდა, იყო ის, რაც ამ უკანასკნელმა 1949 წელს, სოფლის ერთ-ერთ ლუდხანაში, ბაუერ შეუმელს უთხრა, – სოციალიზმი ჯერ კიდევ არ არის ყველაზე

უარესიო. ო, მეტის გაგება შეუძლებელი გახდა. ერთადერთი, რასაც ბლორნამ მიაღწია, ის იყო, რომ სოფლად თავისი წარუმატებელი გამოძიების დასრულების შემდეგ, თვითონვე კომუნისტობისთვის თუ არ გალანძღეს, ასეთად მიიჩნიეს მაინც და ყველაზე მეტად კი იმან ატკინა გული, რომ ეს ყველაფერი მოდიოდა იმ ქალისგან, რომელიც მას დაეხმარა და თითქმის სიმპათიითაც იყო მისდამი განწყობილი. ეს პენსიონერი მასწავლებელი ქალი ელმა ცუბინგერი გახლდათ, რომელმაც გამომშვიდობებისას დამცინავად ჩაიქირქილა, თითი დაუქნია და უთხრა: «რატომ არ აღიარებთ, რომ თქვენი მეუღლის მსგავსად თავადაც კომუნისტი ხართ!»

51

სამწუხაროდ, ვერ დავფარავთ ძალმომრეობის რამდენიმე ფაქტს. კატარინას პროცესისთვის მზადებისას, ბლორნამ დიდი შეცდომა დაუშვა, როცა კატარინასვე თხოვნით გოტენის დაცვაც თავის თავზე აიღო და ეცადა მათთვის შეხვედრის ნებართვა მიეღო, თან ამტკიცებდა, დანიშნულები არიან, ნიშნობა 20 თებერვლის საეჭვო საღამოს შედგაო და ა.შ და ა.შ. ადვილი წარმოსადგენია, თუ რას დაწერდა «ცაიტუნგი» მასზე, გოტენზე, კატარინაზე, ფრაუ ბლორნაზე. ამაზე არ ღირს ლაპარაკი. მხოლოდ მაშინ უნდა დავარღვიოთ ან შვცვალოთ დონეები, როცა ამის აუცილებლობა იქნება. აქ კი ნამდვილად არ არის ამის აუცილებლობა, რადგან კარგად მოგვეხსენება, თუ რას წარმოადგენს «ცაიტუნგი». ჭორი გავრცელდა, ბლორნამ ცოლის მიტოვება გადაწყვიტაო. ამ ჭორში არაფერი იყო სიმართლესთან ახლოს, მაგრამ ცოლ-ქმარს შორის ერთგვარი უნდობლობა გაჩნდა. ამტკიცებდნენ, ბლორნას ფინანსური საქმეები ცუდ დღეშიაო. ეს კი წარმოუდგენლად ცუდი აღმოჩნდა, რადგან ახლა მართლაც მიზანში გაარტყეს. ბლორნამ კატარინას სახლზე მეურვეობა თავის თავზე აიღო, მაგრამ მისი გაქირავება ან გაყიდვა ძნელი აღმოჩნდა, რადგან სახლს, სადაც მკლევლობა მოხდა, ყველა უფრთხოდა. ყოველ შემთხვევაში, ფასი საგრძნობლად დაეცა და ბლორნას მოუხდა მთლიანად შეეტანა მიმდინარე გადასახდელი თანხა თავისი პროცენტით და ა.შ. იმის

პირველი ნიშნებიც გაჩნდა, რომ კომპანია „ჰაფექსმა», რომელსაც ეკუთვნოდა «მდინარის პირას ელეგანტური სავანის» საცხოვრებელი კორპუსი, დააპირა საჩივრის შეტანა კატარინას წინააღმდეგ, ზიანი მოგვაყენა და ამ ბინის გაყიდვისა თუ გაქირავების საქმეში ჩვენი უფლებები შეილახაო. თვალსაჩინოა, რომ საკმაოდ დიდი გულისტკივილი მიადგა ფრაუ ბლორნასაც. მართალია, მცდელობა, ფრაუ ბლორნა არქიტექტურის ფირმიდან გაეთავისუფლებინათ (იმ მიზეზით, რომ მან ფირმის ნდობა დაარღვია და კატარინას საცხოვრებელი კორპუსის სუბსტრუქტურა გააცნო, პირველმა ინსტანციამ უარყო, მაგრამ არავინ იცის, თუ რა მოხდება მეორე და მესამე ინსტანციაში). კიდევ ერთი: ოჯახში მეორე მანქანა უკვე გაყიდული იყო, როცა «ცაიტუნგში» გამოქვეყნდა ელეგანტური სუპერავტომობილის ფოტო წარწერით: «როდის უნდა გადაბარგდეს წითელი პროკურორი ისეთივე მანქანაში, როგორითაც უბრალო მოქალაქეები სარგებლობენ?»

52

ბუნებრივია, ბლორნასა და «ლუმტრას» (ლუდინგისა და შტროიბლედერის კომპანია) შორის ურთიერთობა დაიძაბა, თითქმის შეწყდა. აი, როგორ განვითარდა მოვლენები: ცოტა ხნის წინ შტროიბლედერმა დაურეკა და უთხრა, – შიმშილით არ მოგკლავთო. ბლორნასთვის ყველაზე საკვირველი კი ის იყო, რომ შტროიბლედერმა მას თქვენობით მიმართა. ბლორნა ჯერ კიდევ მუშაობდა კომპანიებში «ლუმტრასა» და «ჰაფექსში», მაგრამ არა როგორც საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალისტი, მხოლოდ იშვიათად, რეგიონულ სამუშაოს თუ შეასრულებდა, უფრო ხშირად კი – ადგილობრივს, რაც იმას ნიშნავდა, რომ საქმე უნდა ჰქონოდა აბეზრებთან და ხელშეკრულებების უბადრუკ დამრღვევებთან, რომლებიც ჩივიან, რომ მათ მარმარილოს მოპირკეთება შესთავაზეს და სანაცვლოდ ზოლნოჰერის ფიქალით მოუპირკეთეს, ან იმ კლიენტებთან, ვისთვისაც სამ ფენად უნდა გაელაქათ აბაზანის კარი და რომლებიც დანით ფხეკენ საღებავს, იწვევენ ექსპერტებს, აღმოაჩენენ, რომ მხოლოდ ორი ფენაა

გადასმული; ისეთებიც არიან, რომელთათვისაც მოშლილი ონკანები, მოუწესრიგებელი ნაგავსაყრელები მიზეზია, რათა არ გადაიხადონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა და ა.შ. აი, ამგვარ საქმეთა მოწესრიგება ევალება ახლა. იმ დროს, როცა ადრე მოგზაურობდა ბუენოს-აირესიდან პერსეპოლისამდე, რათა დიდი პროექტების განხილვაში მიეღო მონაწილეობა. სამხედრო სამსახურში ამას დეგრადაციას უწოდებენ და ძალზე დამთრგუნელ ზეგავლენას ახდენს ადამიანზე. შედეგი: ბლორნას ჯერ კუჭის წყლული არ გასჩენია, მაგრამ კუჭმა კი უკვე თავი შეახსენა. ცუდია, რომ კოლფორსტენჰაიმში თვითონვე ჩაატარა გამოძიება, რათა ადგილობრივი პოლიციელისგან შეეტყო გოტენის დაკავებისას გასაღები შიგნიდან იყო დატოვებული თუ გარედან ან გოტენის მიერ ბინის გატეხის რაიმე ნიშანი თუ არსებობდა. რას ნიშნავდა ეს ყველაფერი, როცა ძიება უკვე დამთავრებული იყო? ეს, დარწმუნებით ვიტყვით, ძალიან თავაზიანადაც რომ მოჰქცეოდა პოლიციელი ჰერმანი, მის კომუნისტობაში ეჭვი არ შეეტანა და თითის ანაბეჭდებიც არ მოეთხოვა, კუჭის წყლულს ნამდვილად ვერ განკურნავდა. ერთი რამ ანუგეშებდა: ცოლი უფრო თბილი გახდა მისადმი, მართალია, ენამწარეობა არ მიუტოვებია, მაგრამ ამას მხოლოდ სხვებზე იყენებდა. მათი გეგმა, ვილა გაეყიდათ, კატარინას ბინა შეეძინათ და იქ გადასულიყვნენ საცხოვრებლად, მხოლოდ ბინის სიდიდის გამო არ გამოვიდა. უფრო სწორად, კატარინას ბინის ფართობის სიმცირის გამო, რადგან ბლორნას სურდა თავისი ბიურო სახლში გადმოეტანა და საქმე იქ დაესრულებინა. ის, ვისაც იცნობდნენ, როგორც ლიბერალს, ფუფუნების მოყვარულს, სასურველს, სიცოცხლისმოყვარე კოლეგას, რომლის წვეულებები ასე უყვარდათ, წარმოიდგინეთ, ასკეტურ ცხოვრებას იწყებს. მისი ტანსაცმელი, რომელსაც ადრე დიდ ყურადღებას აქცევდა, ახლა მოუვლელია და რადგან მოდასაც ჩამორჩა, ამიტომ ზოგიერთი კოლეგა ამტკიცებს კიდეც, ელემენტარულ ჰიგიენასაც აღარ იცავს და უსიამოვნო სუნიც ასდისო. ამგვარად, ახალი კარიერის დაწყების არავითარი იმედი არ შეიძლება ჰქონდეს, რადგან მართლაც აქ არაფერი, სულ არაფერი არ უნდა დაიმალოს. მისი სხეულის სურნელი აღარ ჰგავს იმ ადამიანისას, რომელიც დილაობით შხაპს იღებს, ხვავრიელად იყენებს არომატულ საპონს, დეზოდორანტს და სურნელოვან

ტუალეტის წყალს. მოკლედ, მასში შესამჩნევი ცვლილება მოხდა. მისი მეგობრები (ხომ კიდევ დარჩა რამდენიმე, სხვებთან ერთად ჰახი, რომელთანაც ლუდვიგ გოტენისა და კატარინა ბლუმის გახმაურებული საქმის გამო პროფესიული ურთიერთობა აკავშირებს) შეშფოთებულნი არიან, რადგან აგრესიულობას «ცაიტუნგისადმი», რომელიც მას მოკლე პუბლიკაციებით დროდადრო თავს ახსენებს ხოლმე, კი არ ამოაფრქვევს, არამედ საკუთარ თავშივე მარხავს. მისი მეგობრების შეშფოთება იქამდე მივიდა, რომ მათ ტრუდე ბლორნას სთხოვეს, ქმარი განუწყვეტლივ ეკონტროლებინა და დაედგინა, იარაღი ხომ არ უშოვია ან ხელყუმბარა ხომ არ დაუმზადებია, რადგან მოკლული ტოტგესის შემცვლელი გამოჩნდა ეგინჰარდ ტემპლერის სახით და მისი საქმის გაგრძელება დაიწყო. ამ ტემპლერმა მოახერხა, ბლორნასთვის ლომბარდში შესვლისას, ვიტრინიდან ფოტო გადაეღო, რათა «ცაიტუნგის» მკითხველებისთვის დაენახვებინა, თუ როგორ ესაუბრებოდა ბლორნა ლომბარდის მეპატრონეს ბეჭდის ფასზე, რომელსაც მევახშე ლუპით ათვალიერებდა. ფოტოს ქვემოთ მიწერილი იყო: „წითელი მდინარეები დაშრა თუ თავს იკატუნებენ და თავი გაჭირვებულად მოაქვთ?»

53

ბლორნას ახალი საზრუნავია მთავარი და გადამწყვეტი დაკითხვისთვის კატარინა ისე შეამზადოს, რომ მან თქვას, თითქოს შაბათ დილას გადაწყვიტა ტოტგესზე შურისძიება და რომ არავითარ შემთხვევაში მკვლელობას არ აპირებდა, არამედ მხოლოდ დაშინება სურდა. და რომ მან სწორედ შაბათს, როცა ის ტოტგესმა ინტერვიუზე მიიწვია, გადაწყვიტა, საკმაოდ მკაცრად მიეხალა მისთვის სახეში თავისი აზრი, თუ რა გაუკეთა მას და მის დედას, მაგრამ მისი მოკვლა, არც კვირას, არც «ზონტაგს ცაიტუნგის» სტატიის წაკითხვის შემდეგ არ ჰქონია მიზნად. უნდა გაქარწყლებულიყო შთაბეჭდილება, თითქოს კატარინამ დღის განმავლობაში დაგეგმა მკვლელობა და გეგმაზომიერად განახორციელა

კიდეც. ბლორნა ცდილობდა კატარინასთვის (რომელიც ამტკიცებდა, რომ უკვე ხუთშაბათს, სტატიის წაკითხვის შემდეგ ფიქრობდა მკვლელობაზე) განემარტა, რომ ყველას, თვით ბლორნასაც კი, შეიძლება ეფიქრა მკვლელობაზე, მაგრამ ხომ არსებობს განსხვავება მკვლელობაზე ფიქრსა და მკვლელობის დაგეგმვას შორის. ამის გარდა, მას აფიქრებს, რომ კატარინა ჯერჯერობით, სულაც არ გრძნობს სინანულს და ამას ვერც სასამართლოს წინაშე გაამჟღავნებს. ის ოდნავადაც არ არის დათრგუნვილი, არამედ რაღაცნაირად ბედნიერიც კია, რადგან იგი ახლა «იმავე პირობებში ცხოვრობს, როგორშიც მისი საყვარელი ლუდვიგი». კატარინა სამაგალითო პატიმრად ითვლება, სამზარეულოში მუშაობს და თუ მთავარი დაკითხვის ვადა გადაიწევს, შეიძლება სამეურნეო განყოფილებაშიც გადაიყვანონ. იქ კი, როგორც გაირკვა, სულაც არ არიან აღტაცებული ამ ამბით: როგორც ხელმძღვანელობას, ისე პატიმრებსაც აშინებს მასზე გავრცელებული ჭორი, მისი წესრიგისმოყვარეობის შესახებ. აშინებთ ისიც, რომ შეიძლება მთელი თავისი პატიმრობა კატარინამ (რომელსაც მათი ანგარიშით, თხუთმეტი წელი ეკუთვნის, მაგრამ ალბათ რვიდან ათ წლამდე მიუსჯიან) სამეურნეო განყოფილებაში გაატაროს. ეს ამბავი საზარელ ცნობად მოედო ციხის ყველა განყოფილებას. აქედან კი გამოდის, რომ პატიოსნება, მოწესრიგებულ ინტელიგენტობასთან ერთად, არსად არ ყოფილა სასურველი, არც ციხესა და არც ზემდგომ ორგანოებში.

54

როგორც ჰახმა უთხრა ბლორნას, გოტენს მკვლელობის ბრალდება არ უმტკიცდება და ამიტომაც სისხლის სამართლის საქმეც არ აღიძვრება მის წინააღმდეგო. ბუნდესვერიდან გაქცევა და ამ სახელგანთქმული დაწესებულებისთვის დიდი ზიანის მიაყენება (არა მარტო მორალური, არამედ მატერიალურიც) კი დაუმტკიცდა. მას არა მარტო ბანკის დაყაჩაღება, არამედ სალაროს მთლიანი გამოსუფთავება (სადაც ორი პოლკის ხელფასი და თანხის

მნიშვნელოვანი რეზერვი ინახებოდა), აგრეთვე ბალანსის უწყისების გაყალბება და იარაღის ქურდობა ედება ბრალად. ასე რომ, მის დანაშაულსაც რვიდან ათი წელი შეეფარდებაო. მაშინ ის, თავისი გათავისუფლების ჟამს, ოცდათოთხმეტი წლის იქნება და კატარინაც მომავალს ასე გეგმავს: ვარაუდობს, რომ მისი კაპიტალი გათავისუფლების დროისთვის მნიშვნელოვნად გაიზრდება და იგი სადმე (რა თქმა უნდა, აქ არა) რესტორანს გახსნის. რაც შეეხება მისი გოტენის საცოლედ აღიარებას, ეს უმაღლეს ინსტანციებში უნდა გადაწყვეტილიყო და შუამდგომლობებს ამ ინსტანციებში უკვე მიეცა მსვლელობა.

გაირკვა, რომ გოტენი, შტროიბლედერის ვილიდან ბუნდესვერის თანამშრომლებსა და მათ ცოლებს ურეკავდა, მათ შორის იყვნენ ოფიცრები და ოფიცრების ცოლები. ასე რომ, მოსალოდნელი იყო საშუალო სიდიდის სკანდალი.

55

იმ დროს, როცა დაპატიმრებული კატარინა მომავლის გეგმებს აწყობდა, ფრაუ ვოლტერსჰაიმის გაბოროტება სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. ის იმ ამბავმაც აღაშფოთა, რომ შეურაცხყვეს მისი მშობლები, რომლებიც სტალინიზმის მსხვერპლად მიაჩნდა. ფრაუ ვოლტერსჰაიმს საზოგადოებისადმი შეურიგებელი დამოკიდებულება განუვითარდა, რომლის განეიტრალება კონრად ბაიტერსმაც ვერ შეძლო. ელზე ცივი კერძების ოსტატად ითვლებოდა, კერძების შერჩევა და კონტროლი ევალებოდა, ამიტომაც მისი აგრესიულობა ძირითადად მიმართული იყო პარტიის წევრი სტუმრებისადმი, სულერთია უცხოელი თუ ადგილობრივი ჟურნალისტები იქნებოდნენ, მეწარმეები თუ პროფკავშირის ფუნქციონერები, ბანკირები თუ ხელმძღვანელი მუშაკები.

– ხანდახან, – შესჩივლა ახლახან ბლორნას, – თავს ძლივს ვიკავებ, რომ რომელიმე ვაჟბატონს ფრაკზე კარტოფილის სალათიანი ქვაბი არ მოვამხო, ხოლო რომელიმე ბატისტვინა ლამაზმანს ღრმა თეფშით ქაშაყის ნაჭრები დეკოლტეზე არ გადავაყარო, რათა ბოლოს და ბოლოს მიხვდნენ, თუ რა არის შიში. მათ ჩვენი

თვალით უნდა დაინახონ: თუ როგორ ეძგერებიან დუჟმორეული პირით, უფრო სწორად ხახით, ხიზილალიან ბუტერბროდებს. მათ შორის არიან ისეთებიც, მილიონერები თუ მილიონერთა ცოლებიც კი, რომლებიც სუფრიდან აღებულ სიგარეტს, ასანთს თუ ნამცხვარს ჯიბისკენ გააქანებენ ხოლმე. მეტიც, მათ თან დააქვთ სახურავიანი პლასტმასის ჭიქები, რომლებითაც ყავა მიაქვთ და ამ ყველაფერს ჩვენი ჯიბიდან ვიხდით. არიან ისეთებიც, რომლებიც საუზმისა და სადილის ფულს ზოგავენ და ძერებივით ეძგერებიან ბუფეტს. მაგრამ სულაც არ მინდა ამით ძერა ცუდად მოვიხსენიო.

56

ხელჩართული ჩხუბის მხოლოდ ერთი შემთხვევა გახდა ცნობილი, რომელმაც საკმაოდ დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია. ბლორნა მხატვარ ფრედერიკ ლე ბოშეს (რომლის მეცენატიც თავად გახლდათ) გამოფენის გახსნაზე იმ ამბების შემდეგ პირველად შეხვდა შტროიბლედერს და როცა იგი გაბრწყინებული გამოემართა მისკენ, გადაწყვიტა, ხელი არ ჩამოერთმია. ამასობაში შტროიბლედერს უკვე ჩაებღუჯა ბლორნას ხელი და აღელვებული ეჩურჩულებოდა: «ღმერთო ჩემო, გულთან ახლოს ნუ მიიტან, ჩვენ ნებას არ მოგცემთ სულით დაეცე, გამაგრდი». აი, ახლა კი ფრიად კორექტულად უნდა გაცნობოთ, რომ ამწუთას ბლორნამ შტროიბლედერს მართლაც «გაუნგრია ცხვირ-პირი». ეს კი სწრაფად უნდა ვთქვათ, რათა სწრაფადვე დავივიწყოთ: შტროიბლედერს ცხვირიდან სისხლი წასკდა, როგორც თავად აღიარა, რაღაც ოთხიდან შვიდ წვეთამდე, მაგრამ უარესი ის იყო, რომ მან უკან დაიხია და წამოიძახა: „გაპატიებ, გაპატიებ ყველაფერს – შენი ემოციური მდგომარეობის გამო». ბლორნა ამ ნათქვამმა კიდევ უფრო გამოიყვანა წონასწორობიდან და კვლავ მივარდა შტროიბლედერს. ეს კი თვითმხილველებმა „ხელჩართულ ბრძოლად» მონათლეს. როცა ისეთი პერსონები, როგორებიც შტროიბლედერი და ბლორნაა, საზოგადოებაში გამოჩნდებიან ხოლმე, ამ დროს შორიახლოს აუცილებლად აღმოჩნდება «ცაიტუნგის» ფოტორეპორტიორი. ამჯერად ვინმე

კოტენზელი ცვლიდა მოკლულ შონერს და ალბათ არ უნდა შემოვწყრეთ «ცაიტუნგს» (მით უმეტეს, რომ უკვე ვიცით მისი განწყობა და სპეციფიკა) იმის გამო, რომ გამოაქვეყნა ამ „ხელჩართული ბრძოლის» ფოტოკადრი წარწერით: „კონსერვატორ პოლიტიკოსს თავს დაესხა მემარცხენე ადვოკატი». მომდევნო დილით, გამოფენაზე მოდ შტროიბლედერი და ტრუდე ბლორნაც შეხვდნენ ერთმანეთს. მოდ შტროიბლედერმა ასე მიმართა ტრუდე ბლორნას: „დარწმუნებული იყავი ჩემს თანაგრძნობაში, ძვირფასო ტრუდე», რაზეც ტრუდე ბლორნამ ცივად მიახალა: „შენი თანაგრძნობა მაცივარში შეინახე, იქ, სადაც შენი გრძნობები გიწყვია». პასუხად კი, მოდ შტროიბლედერისგან მიიღო პატიების, სითბოს, თანაგრძნობის, დიახ, თითქმის სიყვარულის შეთავაზება: „ვერაფერი, აბსოლუტურად ვერაფერი შეამცირებს ჩემს სიმპათიას შენდამი, ვერც შენი გამანადგურებელი ფრაზები». ტრუდემ კი ამაზე ისეთი სიტყვებით უპასუხა, რომელთა ზუსტი ციტირება შეუძლებელია და შევეცდებით იგი მხოლოდ პერიფრაზით გადმოგცეთ. დიახ, თავაზიანი ქალისთვის შესაფერისი სიტყვები არ გამოუყენებია ტრუდე ბლორნას, მან – მიუხედავად საიდუმლოს შენახვის მოვალეობისა, რომელიც ადვოკატის მეუღლესაც ეკისრება, მიანიშნა ფრაუ შტროიბლედერს, მისი ქმრის, მრავალჯერ უარყოფილი მუსუსის მიერ მომხიბლავ ქალთან დაახლოების არაერთგზის მცდელობაზე და კატარინას ბინაში მის მიერ საჩუქრად დატოვებულ ბეჭედზეც. აქ მოკინკლავე ქალები ფრედერიკ ლე ბოშემ გააშველა, რომელმაც არც აცია, არც აცხელა და შტროიბლედერს სისხლი სასწრაფოდ, საშრობი ქაღალდით მოსწმინდა და, როგორც თავად განმარტა, one minute piece of art-ად [One minute piece of art (ინგლ.) – ექსპრომტი.] გადაამუშავა. ეს ფაქტი კი „მრავალწლიანი მამაკაცური მეგობრობის დასასრულად» შეაფასა, ქაღალდზე გადაიტანა, ხელიც მოაწერა და შტროიბლედერს კი არა, ბლორნას აჩუქა, სიტყვებით: „შეგიძლია გადაადნო, რათა ცოტა რამ შემატო შენს სალაროს». ამ, ბოლოს ნახსენები ფაქტიდან, როგორც ზემოთ აღნიშნული ძალმომრეობებიდან, შეიძლება დავასკვნათ, რომ ხელოვნებას კიდევ შერჩა სოციალური ფუნქცია.

57

რა თქმა უნდა, ძალიან სამწუხაროა, რომ საბოლოოდ ჰარმონიას ვერ მივაღწიეთ და იმედიც გადაგვეწურა. შედეგად, ინტეგრაცია კი არა, კონფრონტაცია მივიღეთ. საკითხავია, როგორ მოხდა ეს და რატომ? კარგ განწყობაზე მყოფი, თითქმის მხიარული ახალგაზრდა ქალი საცეკვაოდ მიდის, ოთხი დღის შემდეგ კი (აქ თხრობისას მხოლოდ ფაქტებს დავეყრდნობით) მკვლელობას სჩადის და თუ კარგად დავფიქრდებით, მიზეზი საგაზეთო სტატია გამოდის. ორ ძველ მეგობარს შორის გაღიზიანება და დაძაბულობა ისადგურებს და ხელჩართულ ბრძოლამდეც კი მიდის საქმე: მათი ცოლების მწარე რეპლიკები, უარყოფილი თანაგრძნობა, ასევე უარყოფილი სიყვარული, მოვლენათა სავალალო განვითარება. მხიარული, სამყაროსთვის გულგაღებული, სიცოცხლის, მოგზაურობის, კომფორტის მოყვარული კაცი ისე უდიერად ექცევა საკუთარ თავს, რომ მისი სხეული უსიამოვნო სუნს აფრქვევს! თავისი სახლის გაყიდვა სურს, მევახშესთან დადის, მისი ცოლი უკვე «რაღაც სხვას» ეძებს, რადგან იცის, რომ მეორე ინსტანციაში სამსახურს დაკარგავს. ეს ნიჭიერი და განათლებული ქალი მზად არის, ავეჯის ფირმაში ისევ გამყიდველად, «არქიტექტურის კონსულტანტის» თანამდებობაზე დაიწყოს მუშაობა, მაგრამ იქაც ზრდილობიანად განუმარტეს, – ის წრეები, სადაც ჩვენ ვვაჭრობთ, ზუსტად ისაა, რომელთაც თქვენ ხელი ჰკარითო.

მოკლედ, კარგი არაფერი მომხდარა! პროკურორი ჰახი თავის მეგობრებს საიდუმლოდ ჩასჩურჩულებს ყურში იმას, რის თქმასაც ბლორნას ვერ უბედავს: რომ მას, როგორც კატარინას ადვოკატს, ალბათ აცილებას მისცემენ პირადი დაინტერესების გამო. რა გამოვა აქედან, რით დასრულდება ეს ყველაფერი? რა დაემართება ბლორნას, როცა მას აღარ ექნება შესაძლებლობა, კატარინა მოინახულოს და (ამას უკვე ვეღარ დავმალავთ) დიდხანს ეჭიროს მისი პატარა ხელები თავისაში. ეჭვი არ არის, მას უყვარს კატარინა, კატარინას კი – არა! მას ოდნავი იმედიც არა აქვს, რადგან ყველაფერი, ყველაფერი ხომ კატარინას «საყვარელ ლუდვიგს» ეკუთვნის! და აქვე უნდა ჩავურთოთ, რომ «ხელების

დაჭერა» მხოლოდ ცალმხრივია, როცა კატარინა მას აქტებსა და საქმეებს აწვდის, ადვოკატი მის ხელებს ეხება, სამი, შეიძლება ოთხი, ყველაზე მეტი ხუთი წუთით, უფრო დიდხანს, ვიდრე საჭიროა. დალახვროს ეშმაკმა, როგორ დავამყარებთ ჰარმონიას, როცა მიუხედავად მისი კატარინასადმი სიყვარულისა (ახლა კი ვაღიაროთ), ხშირად მაინც აღარ ბანაობს. ბლორნა იმანაც ვერ დაამშვიდა, რომ დანაშაულის იარაღის (რასაც ასე უშედეგოდ ეძებდნენ ბაიცმენე, მოედინგი და მათი მეგობრები) წარმოშობა მხოლოდ მან აღმოაჩინა. «აღმოჩენა ძალიან ხმამაღალი ნათქვამია. საქმე ეხება კონრად ბაიტერსის ნებაყოფლობით აღიარებას, ძველი ნაცისტი ვარ და ამ ფაქტს უნდა ვუმადლოდე, რომ აქამდე ყურადღება არ მომაქციესო. კუირში პოლიტიკური ხელმძღვანელი ვიყავი, თავის დროზე დავეხმარე ფრაუ ვოლტერსჰაიმის დედას. პისტოლეტი კი ჩემი სამსახურებრივი იარაღი იყო, რომელიც გადანახული მქონდა და დაუდევრობის გამო, ელზესა და კატარინას ვაჩვენეო. ერთხელ სამივე ტყეშიც წავედით და იქ სროლაში ვივარჯიშეთ. კატარინა ჩინებული მსროლელი აღმოჩნდა და გამოტყდა კიდეც, ადრე მსროლელთა კლუბში ვმუშაობდი და იქ ვისწავლე სროლაო. შაბათ საღამოს კი კატარინამ კონრადს სახლის გასაღები სთხოვა, დაარწმუნა, მარტო დარჩენა მინდა, ჩემი ბინა ჩემთვის აღარ არსებობსო. შაბათს ელზესთან დარჩა და პისტოლეტი, ალბათ, კვირას წამოიღო მისი ბინიდან. საუზმისა და «ზონტაგს ცაიტუნგის» წაკითხვის შემდეგ კი ბედუინი ქალის სამოსი გადაიცვა და ჟურნალისტების რესტორანში წავიდა.

58

დასასრულისთვის რაღაც სასიამოვნო მაინც შემოვინახეთ: კატარინამ უამბო ბლორნას ჩადენილის შესახებ, თუ როგორ გაატარა მან რვა თუ შვიდ-ნახევარი საათი მკვლელობასა და მოედინგთან შეხვედრას შორის. რადგან კატარინამ ყველაფერი დაწერა და ბლორნას პროცესზე წარსადგენად გადასცა, ჩვენ ბედნიერი შემთხვევა გვეძლევა მისი ჩვენების სიტყვასიტყვით გადმოსაცემად:

«ჟურნალისტთა რესტორანში მხოლოდ იმიტომ წავედი, რომ იგი მენახა. მინდოდა გამეგო, როგორ გამოიყურება, რას წარმოადგენს, როგორ ჭამს, სვამს, ცეკვავს ის ადამიანი, ვინც ჩემი ცხოვრება დაანგრია. დიახ, მე ჯერ კონრადის ბინაში წავედი, პისტოლეტი ავიღე და თავად დავტენე. პისტოლეტის დატენა კარგად ვისწავლე, როცა ტყეში სროლაში ვეჯიბრებოდით ერთმანეთს. რესტორანში ერთ-ნახევარი თუ ორი საათი დავყავი, მაგრამ იგი არ გამოჩენილა. გადაწყვეტილი მქონდა, თუ ის ძალიან ამაზრზენად მომეჩვენებოდა, ინტერვიუზე აღარ წავსულიყავი. მაგრამ ის არ მოსულა. სირთულისთვის თავი რომ ამერიდებინა, მიმტანს, პეტერ კრაფლუნს (მას მეორე სამსახურიდან ვიცნობდი, როცა იგი მთავარი მიმტანის თანაშემწედ მუშაობდა) ვთხოვე, უფლება მოეცა სასმლის ჩამოსხმაში დავხმარებოდი. პეტერმა, რა თქმა უნდა, იცოდა, თუ რას წერდა ჩემ შესახებ «ცაიტუნგი». იგი დამპირდა ენიშნებინა, თუ ტოტგესი გამოჩნდებოდა. ერთი-ორჯერ ვიცეკვე კიდეც, რადგან კარნავალი იყო, მაგრამ ტოტგესი რომ არ მოვიდა, ძალიან გავნერვიულდი. არ მინდოდა, მოუმზადებელი შევხვედროდი. თორმეტი საათისთვის შინ წავედი. უსიამო იყო მოთხვრილ და მოთხუპნილ ბინაში ყოფნა. რამდენიმე წამში ზარიც დაირეკა, მხოლოდ ის მოვასწარი, პისტოლეტი მომესინჯა და გადატენილი ხელჩანთაში ჩამედო. ზარი ისევ დაირეკა. როცა გავაღე, ის უკვე კარის წინ იდგა. გავიფიქრე, ქვემოდან რომ დაერეკა, კიდევ რამდენიმე წამი მექნებოდა-მეთქი, მაგრამ ის უკვე ჩემ წინ იყო, მე კი შეშინებული ვიდექი. მაშინვე შევამჩნიე, რა ღორიც იყო, ნამდვილი ღორი, ოღონდ ლამაზი. მართლა ისეთი, როგორსაც ლამაზი ჰქვია. თქვენ ხომ უკვე ნახეთ ფოტოები. შემომხედა და წამოიძახა:

– აბა, ჩიტუნია, რა გავაკეთოთ ახლა ჩვენ ორმა?

მე სიტყვა არ მითქვამს, უკან, ოთახში დავიხიე. ის მომიახლოვდა და მითხრა:

– რას მიყურებ ასე დაბნეული, ჩიტუნია! იცი, მე გთავაზობ ახლა, კარგად გავერთოთ, ხომ?

ამასობაში მე ხელჩანთა ავიღე, ის კი კაბის ქვეშ შემიძვრა და გავიფიქრე: «გავერთობით, მაგრამ ჩემებურად». მაშინვე ამოვიღე პისტოლეტი და ვესროლე,

ორჯერ, სამჯერ, ოთხჯერ... აღარც კი მახსოვს, რამდენჯერ. თქვენ ამ ყოველივეს პოლიციისადმი მიცემულ ჩვენებაშიც წაიკითხავთ. არ იფიქროთ, ჩემთვის უცხო ხილი ყოფილიყო, კაცმა რომ ჩემს კაბაში შეძრომა მოინდომა. თქვენც რომ თოთხმეტი წლიდან შინამოსამსახურე ყოფილიყავით, თქვენც მიეჩვეოდით ამგვარ რამეებს. მაგრამ ეს ბიჭი – და კიდევ «გართობა»... და გავიფიქრე, კარგი, ახლა გაერთობი. რა თქმა უნდა, ამას არ მოელოდა და კიდევ ნახევარი წამი მომშტერებოდა, ისე გაკვირვებული, როგორც კინოში იციან ხოლმე, მოულოდნელად, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით რომ დაეწევათ ტყვია... იატაკზე დაეცა, მეგონა, მოკვდა. პისტოლეტი მის გვერდით მოვისროლე და გარეთ გავვარდი. ლიფტით ქვემოთ ჩავედი და რესტორანში დავბრუნდი. პეტერი გაოცებული მიყურებდა, რადგან ნახევარი საათიც არ გასულიყო ჩემი წასვლიდან. შემდეგ ისევ მივეხმარე ბარში, აღარ მიცეკვია და მთელი ამ ხნის განმავლობაში ვფიქრობდი, ყველაფერი სიზმარია-მეთქი, მაგრამ ვიცოდი, რომ სიზმარი არ იყო. ხანდახან პეტერი მოვიდოდა და მეუბნებოდა, – ის აღარ მოვა, ის ნაძირალაო. მე კი დროდადრო რომელიმე ახალშემოსულზე წამოვიძახებდი, – რაღაც ამას ჰგავს-მეთქი. თან ვცდილობდი, გულგრილი იერი მქონოდა. ოთხ საათამდე არაყსა და ლუდს ვასხამდი ჭიქებში, შამპანურის ბოთლებს ვხსნიდი და პატარა, გორგოლაჭებიან მაგიდებს სხვადასხვა სანოვაგით ვავსებდი. შემდეგ წავედი, ისე, რომ პეტერს არც დავემშვიდობე. იქვე, ეკლესიაში თითქმის ნახევარი საათი ვიჯექი. ვფიქრობდი დედაზე, მის გაჭირვებულ, დაწყევლილ ცხოვრებაზე; ვფიქრობდი მამაზეც, რომელიც ყველაფრით უკმაყოფილო იყო: სახელმწიფოთი, ეკლესიით, დაწესებულებებით და მოხელეებით, ოფიცრებით; ყველაფერს ლანძღავდა, მაგრამ როცა რომელიმეს შეხვდებოდა, მაშინვე მორჩილების გამოსახატავად მათ წინაშე მუცელზე ხოხვას, თითქმის წკმუტუნს იწყებდა. ვფიქრობდი ჩემს ქმარზე, ბრეტლოხზე, ამ ნეხვის გროვაზე, ტოტგესს რომ ყველაფერი ჩაუკაკლა; რა თქმა უნდა, ჩემს ძმაზეც ვფიქრობდი, რომელიც თუ ნახავდა, რომ ერთი-ორი მარკა თუ გამიჩნდა, შემეთილისმებოდა და მორიგი სისულელისთვის ფულს მთხოვდა: ტანსაცმლის ან მოტოციკლეტის, ან სათამაშო-გასართობი დაწესებულებისთვის. და, რა თქმა უნდა, ვფიქრობდი მღვდელზეც, რომელიც სკოლაში «ჩვენს წითურ კატრინხენს» მეძახდა, მე კი არც

მესმოდა, თუ რას ნიშნავდა ეს. მთელი კლასი იცინოდა, რადგან მაშინ მართლაც ვწითლდებოდი. რაღა თქმა უნდა, ლუდვიგზეც ვფიქრობდი. შემდეგ ეკლესიიდან გამოვედი და იქვე კინოთეატრში შევედი. კინოთეატრიდან ისევ ეკლესიაში შევიარე, რადგან ამ კარნავალის დღეებში იგი ერთადერთი ადგილი იყო,

სადაც სიმშვიდის პოვნა შეიძლებოდა. ბუნებრივია, მოკლულზეც ვფიქრობდი, იქ, ჩემს ბინაში რომ დავტოვე. სინანულისა და მონანიების გარეშე ვფიქრობდი. მას გართობა უნდოდა და ხომ მიიღო! მოულოდნელად თავში გამიელვა, ის ბიჭი ხომ არ იყო, ღამით რომ მირეკავდა-მეთქი და საწყალ ელზეს გამუდმებით სისხლს უშრობდა. მინდოდა კიდევ ერთხელ მომესმინა მისი ხმა, რათა გამეგო... მაგრამ რას მომცემდა ახლა ეს? და უცებ ძალიან მომინდა მაგარი ყავა და კაფე «ბეკერინგში» წავედი. დარბაზში კი არ შევსულვარ, არამედ სამზარეულოში, რადგან კეტე ბეკერინგს, კაფეს მეპატრონის ცოლს, სამეურნეო სკოლიდან ვიცნობდი. კეტემ ძალიან თავაზიანად მიმიღო, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ბევრი საქმე ჰქონდა. მან ერთი ფინჯანი ყავა ჩამომისხა თავისი ყავადნიდან, რომელსაც ბებიაჩემის მიერ მომზადებული ახალდაფქული ყავის არომატი დაჰკრავდა. შემდეგ კი ლაპარაკი ჩამომიგდო «ცაიტუნგზე», ძალიან თავაზიანად, მაგრამ მაინც იმ ელფერით, თითქოს ოდნავ მაინც სჯეროდა ამ აბდაუბდის. მართლაც, საიდან უნდა სცოდნოდათ მას და სხვებსაც, რომ ყველაფერი სიცრუე იყო. მე შევეცადე ამეხსნა, მაგრამ ვერ გაიგო, მხოლოდ თვალი ჩამიკრა და მკითხა: «ეი, მართლა გიყვარს ის ბიჭი?» და მე ვუპასუხე: «დიახ». შემდეგ მადლობა გადავუხადე ყავისთვის, ტაქსი დავიჭირე და მოედინგთან წავედი, რომელიც მაშინ ასე თავაზიანი იყო ჩემდამი».